

# **უ რ ო პ ი თ ი**

## **დ ა ვ ე ბ ი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**1. სამუშაოზე აღდგენა**  
**სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის**  
**ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება**  
**საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-388-377 (კ-13)

27 თებერვალი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ**  
**საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ლ. მურუსიძე,**  
**მ. ვაჩაძე**

**დავის საგანი:** მოხელის განთავისუფლება ორსულობისას, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ე. ბ-მა 20.02.13წ. სარჩელით მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა: თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. №7/1-66 ბრძანების, თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილის 18.02.2013წ. №ბ/14 პასუხის ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის მოსარჩელის სამსახურში აღდგენის დავალდებულება და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2012 წლის მაისიდან მუშაობდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად. 05.12.2012წ. ხელი მოაწერა გაფრთხილება რეორგანიზაციის გამო მოსალოდნელ შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. 21.01.2013წ. თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის №7/1-66 ბრძანებით ე. ბ-ი განთავისუფლდა სამსახურიდან, განთავისუფლებისას მიიღო კანონით გათვალისწინებული 2 თვის კომპენსაცია. მოსარჩელის თქმით, განთავისუფლების მომენტისათვის ის იყო 19-20 კვირის ორსული. განთავისუფლების შემდეგ – 28.01.2013წ. ე. ბ-მა ბრძანების გაუქმებისა და სამსახურში აღდგენის მოთხოვნით განცხადებით მიმართა გამგეობის მოვალეობის შემსრულებელს. განცხადების პასუხად, 18.02.2013წ. ე. ბ-ს ეცნობა, რომ განთავისუფლების მომენტში ადმინისტრაციისათვის ორსულო-

ბის ფაქტი უცნობი იყო, ვინაიდან მოსარჩელეს არ წარუდგენია ორსულობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისად, სამსახურში აღდგენის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნას ეთქვა უარი.

თელავის რაიონული სასამართლოს 15.03.2013წ. გადაწყვეტილებით ე. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულიება იღებენ უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება, ქალის მიერ ფეხმძიმობის შესახებ დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მიწოდებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში ან ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის ამონურვისას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელმა იცოდა ქალის ფეხმძიმობის შესახებ, მისი სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების საფუძველი დაუშვებელია. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს დამსაქმებლისათვის არ უცნობებია მისი ორსულობის შესახებ არც 05.12.2012წ., როდესაც მოხდა მისი გაფრთხილება მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ თანამდებობების შემცირებასთან დაკავშირებით, და არც 21.01.2013წ., როდესაც იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შტატების შემცირების გამო. თელავის რაიონულმა სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ასევე, რომ ე. ბ-მა მისი ორსულობის შესახებ მოპასუხეს განცხადებით მიმართა მხოლოდ 28.01.2013წ., მისი სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ორსულობის შესახებ სიტყვიერად ნათქვამი ჰქონდა ხელმძღვანელობისთვის, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება ე. ბ-ს სასამართლოში არ წარუდგენია. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ მისი ორსულობის შესახებ იცოდა მისმა უშუალო ხელმძღვანელმა და გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა. რაც შეეხება იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომით გასამრჯელოს, სასამართლომ განმარტა, რომ მოხელის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება პირდაპირ დაკავშირებულია მისი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტის დადგენასთან. სასამართლომ მიიჩნია, რომ მო-

ცემულ შემთხვევაში არ არსებობს ე. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 21.01.2013წ. ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-მა. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს აპელანტმა მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმაცია, კერძოდ: თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. №7/1-66 ბრძანების ბათილად ცნობის ნაცვლად ე. ბ-მა მოითხოვა მითითებული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა აპელანტის შუამდგომლობა და სასარჩელო მოთხოვნა თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. №7/1-66 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ ტრანსფორმირებულ იქნა შემდეგი სახით: ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. №7/1-66 ბრძანება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.05.2013წ. გადაწყვეტილებით ე. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს 15.03.2013წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ძალადაკარგულად გამოცხადდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. №7/1-66 ბრძანება 2013 წლის 28 იანვრიდან და მისი მოქმედება შეწყდა ამ დღიდან, ბათილად იქნა ცნობილი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 18.02.2013წ. №ბ/14 აქტი. ე. ბ-ის სარჩელი სამუშაოზე აღდგენის და განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ბ-ის სამსახურიდან დათხოვნის დროს ნამდვილად იყო ორსულად და ამის შესახებ მას ადმინისტრაციისათვის წერილობით არ უცნობებია სამსახურიდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ გაფრთხილების მიღების შემდეგაც. ე. ბ-ს არ უცნობებია ადმინისტრაციისთვის, რომ არსებობდა მისი სამსახურიდან განთავისუფლების ხელისშემშლელი გარემოება. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ე. ბ-ის მითითება იმის შესახებ, რომ მან ზეპირი ფორმით აცნობა ადმინისტრაციას ორსულობის შესახებ, რადგან აღნიშ-

ნულის დამადასტურებელი მტკიცებულება წარდგენილი არ ყოფილა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმის შესახებ, რომ გასაჩივრებულ აქტთან (თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. №7/1-66 ბრძანება ე. ბ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ) მიმართებაში სახეზეა სზაკ-ის 61-ე მუხლით განსაზღვრული წანამძღვრები მისი ძალადაკარგულად ცნობისათვის. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მას შემდეგ, რაც მოპასუხე ადმინისტრაციისათვის მოსარჩელის მიერ 28.01.2013წ. წარდგენილი განცხადებით ცნობილი გახდა ისეთი გარემოების არსებობა, რაც მას „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 111.2 მუხლის შესაბამისად ართმევდა მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ ბრძანების გამოცემის შესაძლებლობას, აღნიშნული ბრძანება სზაკ-ის 61-ე მუხლზე დაყრდნობით ადმინისტრაციის მიერ ძალადაკარგულად უნდა გამოცხადებულიყო. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის 18.02.2013წ. №ბ/14 აქტის ბათილად ცნობის თაობაზე საფუძვლიანია, რამდენადაც აღნიშნული აქტით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის 28.01.13წ. განცხადება ორსულობის საფუძვლით სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის შესახებ მოკლებულია საფუძველს, ვინაიდან სზაკ-ის 61.7 მუხლის მიხედვით აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი შედეგების გაუქმებას, შესაბამისად, ის სამართლებრივი შედეგი (სამსახურიდან გათავისუფლება), რაც თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის 21.01.2013წ. ბრძანების საფუძველზე კანონიერად წარმოიშვა მოსარჩელის მიმართ, არის ძალაში ამ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე. სააპელაციო პალატამ ასევე არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა განაცდურის ანაზღაურების თაობაზე იმ მოტივით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე და 127.6 მუხლების შესაბამისად იძულებითი განაცდური მოსამსახურეს მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხელე აღდგება სამსახურში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.05.2013წ. გადაწყვეტილება ე. ბ-ის სამუშაოზე აღდგენის და განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-მა. კასატორმა აღნიშნა, რომ

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა კანონმდებლის მიზანი და არ გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი, რომელიც ითვალისწინებს ორსული ქალის შრომის უფლების მნიშვნელოვან გარანტიას და მოითხოვს ორსული ქალის შრომითი უფლების დაცვას. კასატორის თქმით, სასამართლომ ასევე არ გამოიყენა ევროპის სოციალური ქარტიის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი და აღნიშნა, რომ არც კანონმდებლის და არც თავად კასატორის მიზანს არ წარმოადგენდა მხოლოდ გასაჩივრებული აქტების გაუქმება, ე. ბ-ი აღნიშნავს, რომ მისი ძირითადი მიზანი – სამსახურში აღდგენა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიუღწეველი დარჩა. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-6 ნაწილი და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს სადავო აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ უნდა ემსჯელა მათი ძალაში შესვლის დღიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმების ან არ გაუქმების შესახებ, ვინაიდან ე. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნების საბოლოო შედეგს ეს წარმოადგენდა. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას უგულვებლყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.5 მუხლის მოთხოვნა. ე. ბ-მა საკასაციო საჩივარს დაურთო სახალხო დამცველის რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ სახალხო დამცველის აპარატი სამართლიანად იზიარებს კასატორის პოზიციას და ამყარებს მის სასარჩელო მოთხოვნებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია და დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 05.12.2012წ. №7/2-462 ბრძანებით ე. ბ-ი ვაფრთხილებულ იქნა მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, რაც დადასტურდა მისი ხელმოწერით. საქმეში დაცული მტკიცებულებებით ასევე დგინდება, რომ ე. ბ-ი სამსახურიდან დათხოვნის დროს ნამდვილად იყო ორსულად და ამის შესახებ მას ადმინისტრაციისათვის წერილობით არ უცნობებია. თელა-

ვის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. №7/1-66 ბრძანებით თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის განცხადებებისა და საჩივრების განხილვის განყოფილების სპეციალისტის თანამდებობიდან ე. ბ-ი გათავისუფლდა შტატების შემცირების გამო. მას მიეცა ორი თვის თანამდებობრივი სარგო. ე. ბ-მა თავისი ორსულობის შესახებ შეატყობინა მოპასუხეს გათავისუფლების შემდეგ, კერძოდ, 28.01.2013წ. განცხადებით, რომლითაც განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურში აღდგენა, რაზეც თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის 18.02.2013წ. პასუხით ეთქვა უარი.

ე. ბ-ი სარჩელით მოითხოვს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. №7/1-66 ბრძანების, თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 18.02.2013წ. №ბ/14 პასუხის ბათილად ცნობას, მოპასუხისათვის მოსარჩელის სამსახურში აღდგენის დავალდებულებას და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.05.2013წ. გადაწყვეტილებით ე. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თელავის რაიონული სასამართლოს 15.03.2013წ. გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც: ე. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ძალადაკარგულად გამოცხადდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. №7/1-66 ბრძანება ე. ბ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ 2013 წლის 28 იანვრიდან და მისი მოქმედება შეწყდა ამ დღიდან; ბათილად იქნა ცნობილი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 18.02.2013წ. №ბ/14 აქტი ე. ბ-ისთვის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის შესახებ; ე. ბ-ის სარჩელი სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენაზე და განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-მა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების მომენტისათვის ის იყო 5 თვის ორსული და ამის შესახებ ჯერ კიდევ თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 05.12.2012წ. ბრძანების გამოცემამდე ცნობილი იყო მისი თანამშრომლებისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით მოწინააღმდეგე მხარე მიუთითებს, რომ გათავისუფლების ბრძანების გამოცემამდე ე. ბ-ის მიერ წარდგენილი არ ყო-

ფილა რაიმე დოკუმენტი მისი ორსულობის შესახებ. საქმის მასალებში არ მოიპოვება საწინააღმდეგო მტკიცებულება. დაწესებულების ადმინისტრაციისათვის ორსულობის შესახებ ზეპირად შეტყობინების ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება. სსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ასეთი კასატორს არ წარმოუდგენია.

საქართველოს კონსტიტუციის 36.3 მუხლის თანახმად, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. კონსტიტუცია აღნიშნული ნორმით ერთი მხრივ აღიარებს დედათა და ბავშვთა უფლებების (მათ შორის დედის შრომის უფლების) განსაკუთრებული დაცვის საჭიროებას, ხოლო მეორე მხრივ, ავალდებულებს კანონმდებელს მიიღოს სათანადო რეგულაციები. საჯარო მოსამსახურე ქალის შრომის უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, რომლის 111-ე მუხლი დაწესებულების ადმინისტრაციისათვის მოხელე ორსული ქალის სამსახურიდან გათავისუფლების შეზღუდვას აწესებს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხელე (ქალი) არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე, ატესტაციის შედეგების გამო. აღნიშნული მოწესრიგებით კანონმდებელი მიზნად ისახავს არა მხოლოდ ორსული მოხელე ქალის შრომითი უფლებების დაცვას და მისთვის დამატებითი სოციალური გარანტიების შექმნას, არამედ აგრეთვე 3 წლამდე ბავშვის ინტერესების განსაკუთრებული დაცვის უზრუნველყოფას. ამ სამართლებრივი სიკეთების მომეტებული დაცვის საჭიროებაზე საერთაშორისო აქტებიც მიუთითებენ. „ევროპის სოციალური ქარტის“ 8.2 მუხლის თანახმად, ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეებმა იკისრეს ვალდებულება უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადწვევტილება, ქალის მიერ ფეხმძიმობის შესახებ დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მინოდებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში ან ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის ამონაწერისას. მართალია აღნიშნული ნორმა რა-



ტიფიცირებული არ არის საქართველოს პარლამენტის მიერ, თუმცა „ევროპის სოციალურ ქარტიასთან“ მიერთებით (საქართველოს პარლამენტის 01.07.05წ. №1876 დადგენილება), საქართველომ იკისრა ისეთი პირობების უზრუნველყოფის ვალდებულება, რომლებიც შესაძლებელს გახდის ქარტიით გათვალისწინებული რიგი უფლებებისა და პრინციპების ეფექტურ განხორციელებას, რომელთა შორისაა ბავშვის დაბადების შემთხვევაში, დასაქმებული ქალის მიერ სპეციალური დაცვის მოთხოვნის უფლება („ევროპის სოციალური ქარტის“ პირველი ნაწილის მე-8 პუნქტი). ამასთან, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (რატიფიცირებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს 15.09.1991წ. დადგენილებით) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დედობა და ჩვილი ბავშვის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ორსული ქალის სამსახურიდან განთავისუფლების მხოლოდ საკანონმდებლო აკრძალვა საკმარისი არ არის მოხელის უფლებების რეალური დაცვისთვის, სახელმწიფო ორგანოებმა, სათანადო ნორმატიული საფუძვლების გათვალისწინებით, უნდა მოახდინონ ორსულ ქალთა უფლებების დაცვის პრაქტიკული უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ე. ბ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ, სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ 21.01.13წ. აქტის გასაჩივრების ვადაში, კერძოდ, 28.01.2013წ. ე. ბ-მა განცხადებით მიმართა გამგეობას, რომლითაც ადმინისტრაციისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოების არსებობის შესახებ, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 111.2 მუხლის შესაბამისად გამორიცხავდა ე. ბ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლებლობას.

ეფექტური მმართველობითი საქმიანობის იმპერატივი ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს უფლებამოსილებით მოახდინოს მმართველობითი აქტების რეალურ სამართლებრივ და ფაქტობრივ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა და კონკრეტული ურთიერთობის ახლებურად მონესრიგება. სზაკ-ის მე-5 მუხლით განმტკიცებული კანონიერების პრინციპი ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილებას მმართველობითი ღონისძიების (მათ შორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) მართლწინააღმდეგობის შემთხვევაში, გააუქმოს იგი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება მოიცავს როგორც აქტის ბათილად ცნობას, ისე ძალადაკარგულად გამოცხადებას. ბათილად ცნობის

ობიექტია უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო ძალადაკარგულად ცხადდება კანონიერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ორივე შემთხვევაში აქტი წყვეტს მოქმედებას, მათ შორის განსხვავება გაუქმებული აქტის სამართლებრივ ბუნებაში მდგომარეობს. ქართულ სამართალში აქტის გაუქმების თითოეული სახის თავისებურება ვლინდებოდა მხოლოდ აქტის გაუქმების სამართლებრივ შედეგებში, აქტის მოქმედების ძალის დაკარგვის მომენტში. სზაკ-ში 24.06.2005წ. კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად უარი ითქვა სამართლებრივი შედეგებით, აქტის ძალის დაკარგვის მომენტით გაუქმების ორი სახის ერთმანეთისგან გამოიჯვანაზე. ამჟამად, გამოიჯვანის უმთავრესი კრიტერიუმი გაუქმებული აქტის კანონშესაბამისობაა. ფაქტობრივი გარემოებების შეცვლის გამო გამოცემის მომენტში კანონიერი აქტის შემდგომში უკანონოდ ქცევა იწვევს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას და შესაბამისად მისი მოქმედების შეწყვეტას ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან (სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-6 ნაწილში 24.06.2005წ. კანონით შეტანილი დამატების გათვალისწინებით), ხოლო ბათილად ცნობის ობიექტი გამოცემის მომენტშივე უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. ბრძანება ე. ბ-ის გათავისუფლების შესახებ, ხოლო თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 18.02.2013წ. აქტი ე. ბ-ისთვის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის შესახებ ბათილად იქნა ცნობილი. გადანყვეტილების ეს ნაწილი მხარეების მიერ არ გასაჩივრებულა და ძალაშია. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გასაჩივრებული აქტები, თუმცა არ დააკმაყოფილა ე. ბ-ის მოთხოვნა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული აქტების გაუქმების მოთხოვნას საფუძვლად ედო ე. ბ-ის სამსახურში აღდგენის ინტერესი, რაც აქტების გაუქმებას შედეგად არ მოჰყვა. საკასაციო პალატა თვლის, რომ სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის სააპელაციო სასამართლოს სზაკ-ის 61-ე მუხლზე მითითება. სზაკ-ის 61.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. იმის გათვალისწინებით, რომ სზაკ-

ის 61-ე მუხლი ითვალისწინებს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო აღმჭურველი აქტის გაუქმების შესაძლებლობას, მით უფრო არის შესაძლებელი შემზღუდავი აქტის გაუქმება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებული იყო ძალადაკარგულად ეცნო თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.2013წ. ბრძანება ე. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და მოეხდინა კასატორის უფლებებში აღდგენა, რადგან არ არსებობდა გათავისუფლების შესახებ აქტის გამოცემის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, რის შესახებაც ადმინისტრაციამ მოგვიანებით – ე. ბ-ის 28.01.2013წ. განცხადებით შეიტყო.

სამსახურში აღდგენაზე უარს არ ასაბუთებს სააპელაციო პალატის მითითება სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ე. ბ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 21.01.13წ. №7/1-66 ბრძანების გამოცემამდე ე. ბ-ი დასაქმებული იყო, ის იკავებდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის განცხადების და საჩივრების განხილვის განყოფილების სპეციალისტის თანამდებობას, ამდენად გასაჩივრებული აქტის – 21.01.13წ. №7/1-66 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებით ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი სწორედ რომ სამსახურში აღდგენა და არა აღდგენაზე უარის თქმა. სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილი ადასტურებს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმების არდაშვებას იმ თვალსაზრისით, რომ სამსახურიდან განთავისუფლებიდან აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი (განსახილველ შემთხვევაში – სამსახურიდან განთავისუფლება) არ გაუქმდება, ხსენებული ნორმა ადასტურებს ახალი მონესრიგების შემოღებას არა სადავო აქტის გამოცემიდან, არამედ საკითხზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანიდან, სადავო აქტის გაუქმებიდან, რასაც მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ახალი მონესრიგების ძალაში შესვლის მომენტისთვის (მოცემულ შემთხვევაში განაცდურის ანაზღაურებისათვის) და არ გამორიცხავს თვით ახალი მონესრიგების – განსახილველ შემთხვევაში სამსახურში აღდგენის შესაძლებლობას. წინააღმდეგ

შემთხვევაში აზრს დაკარგავდა სზაკ-ის 61-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების წესი. ძალადაკარგულობა სამართლებრივ შედეგს ინვესს მომავალში, სზაკ-ის 61-ე მუხლის მე-7 ნაწილი ხაზს უსვავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას ახალი აქტის გამოცემიდან, სამომავლოდ (ex nunc) და არა მანამდე (ex tunc), შესაბამისად, ის არ ინვესს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე ამ აქტის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმებას. აღნიშნულს მნიშვნელობა აქვს, როდესაც პირმა მოახდინა რაიმე თანხის ან ქონების ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადაცემა ან მიიღო რაიმე სიკეთე ადმინისტრაციული ორგანოსგან. ძალადაკარგულობა ინვესს სამართლებრივ შედეგს, მაგრამ არა გაუქმებული აქტის ძალაში შესვლიდან, არამედ გაუქმებიდან, სახელდობრ ამ თვალსაზრისით აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ ინვესს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგის გაუქმებას. ამასთანავე, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ ნიშნავს გაუქმებული აქტის რეგულაციის ძალაში დატოვებას, ნორმის ასეთი გაგება აზრს დაუკარგავდა აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, ფვის სასამართლოში განხილვას, ვინაიდან სასამართლოს უფლება შედეგზე ორიენტირებული უფლებაა. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სახეზეა სსკ-ის 393.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ნორმა, რაც აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს ქმნის.

ამდენად, ორსული მოხელის მიერ სამუშაოზე დარჩენის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უპირატესობით სარგებლობის უფლების რეალიზებისათვის ე. ბ-ი აღდგენილ უნდა იქნეს სამსახურში. საკასაციო სასამართლო იზიარებს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლოსათვის 24.05.13წ. №2740/08-2/0743-13 წარდგენილ რეკომენდაციაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ე. ბ-ის სამსახურიდან განთავისუფლება არღვევს მის უფლებებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ე. ბ-ის უფლებებში აღდგენაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის კადრების შემცირების შედეგად გატარებული რეორგანიზაციის გამო იმ სტრუქტურის (განცხადებების და საჩივრების განხილვის განყოფილების) გაუქმება, რომელშიც ე. ბ-ი დათხოვნამდე მსახურობდა.

მართალია თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახური, ამჟამად მოქმედი დებულების მიხედვით, სტრუქტურულად აღარ იყოფა განყოფილებად, თუმცა მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის უზრუნველყოფის ვალდებულება იურიდიულ სამსახურს შენარჩუნებული აქვს (იხ. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30.10.2013წ. №45 დადგენილებით დამტკიცებული თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი). ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 111-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით, მოსარჩელის დაკავებული თანამდებობიდან არამართლზომიერად განთავისუფლება, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უქმნის ე. ბ-ის სამსახურში აღდგენის ვალდებულებას მსგავსი ფუნქციების მქონე თანამდებობაზე.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას მისთვის იძულებით განაცდურის სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების შესახებ, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გათავისუფლების აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება მოცემულ შემთხვევაში არ გამორიცხავს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას შესაძლებლობას. საქმის მასალებიდან დასტურდება, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, ერთი კვირის თავზე, ე. ბ-მა განცხადებით მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მოითხოვა სამსახურში აღდგენა, რაზეც გამგეობის 18.02.13წ. აქტით მას უარი ეთქვა. სააპელაციო სასამართლომ ბათილად ცნო გამგეობის აღნიშნული აქტი და მიუთითა, რომ არსებობდა გათავისუფლების შესახებ ბრძანების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს გადანიშნულების ეს ნაწილი არ გასაჩივრებულა და ძალაშია. ამდენად, ე. ბ-ს გააჩნია გამგეობის მიერ სამსახურში აღდგენაზე უარის თქმიდან იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე და 127.6 მუხლების შესაბამისად, სამსახურში აღდგენის შემთხვევაში მოხელეს მიეცემა იძულებითი განაცდური პერიოდის შრომითი გასამრჯელო არაუმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ განაცდური ხელფასის ანაზღაურების მომენტად უნდა განისაზღვროს არა ე. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების (21.01.13წ.), არამედ მის მიერ გამგეობისთვის ორსულობის შეტყობინების მომენტი (28.01.13წ.). ამასთან, საქმეზე დადგენილია და დავას არ იწვევს, რომ ე. ბ-ს შტატების შემცირების

გამო სამსახურიდან განთავისუფლებისას მიეცა ორი თვის თანამდებობრივი სარგო. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსკ-ის 407-ე მუხლის შესაბამისად, საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ე. ბ-ს ოფიციალურად არ უცნობებია გამგეობისათვის ორსულობის შესახებ, შესაბამისად კეთილსინდისიერი მმართველობის პრინციპიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ, ადმინისტრაციის ოფიციალური ინფორმირების შემთხვევაში, კასატორი სამსახურიდან არ განთავისუფლდებოდა და შესაბამისად, გასასვლელი დახმარება მასზე არ გაიცემოდა. საფუძველს არის მოკლებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადმინისტრაცია გათავისუფლებამდე ვალდებული იყო გადაემონმებინა მოხელის განთავისუფლების გამომრიცხავი გარემოება, მოცემულ შემთხვევაში ორსულობა. ამდენად, ვინაიდან ე. ბ-ის სამსახურიდან განთავისუფლება და ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება სწორედ მისი უმოქმედობით და არა ადმინისტრაციული ორგანოს ბრალით იყო გამოწვეული, კასატორს უნდა აუნაზღაურდეს მხოლოდ 1 თვის იძულებითი განაცდური ხელფასი, მოთხოვნილი 3 თვის განაცდურის ნაცვლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.05.2013წ. გადაწყვეტილება ე. ბ-ის სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. ბ-ის სარჩელი სამუშაოზე აღდგენის და განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ე. ბ-ის სამსახურში მონყოფის თაობაზე;

5. თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალოს ე. ბ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის – 520 ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება**

### **განჩინება**

№ბს-362-351 (ე-კს-13)

25 მარტი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე**

**ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2012 წლის 31 დეკემბერს ლ. ს-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ ლ. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანების ბათილად ცნობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტში სოციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის თანამდებობრივ პოზიციაზე აღდგენა და მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის სამსახურში აღდგენამდე თვეში 1600 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წლიდან მუშაობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2012 წლის იანვრიდან იმავე წლის 6 დეკემბრამდე ეკავა დევნილთა საკითხების დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის თანამდებობა. 2012 წლის 7 ნოემბერს სამინისტროში შევიდა ქ. თბილისში, ... მე-4 მ/რ. 34-ე კორპუსის ბინის მესაკუთრეთა განცხადება, რომელიც ეხებოდა მათი საკუთრებიდან დევნილთა იძულების წესით გამოსახლებისათვის რეაგირებას. განცხადება მას გადაეცა რეზოლუციის გარეშე, რომელიც მოსარჩელემ განსახილველად გადასცა თავის მოადგილეს. დამუშავებისა და მიღებული მონაცემების საფუძველზე უნდა ჩატარებულიყო ადმინისტრაციული წარმოება. მისმა მოადგილემ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე მისგან მიიღო კონსულტაცია და გატარდა რიგი ღონისძიებები. განმცხადებლების პრეტენზიის საფუძველზე სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს უნდა გამოეკვლია საკითხი, მოხდა თუ არა რეაგირება 2012 წლის 7 ნოემბრის განცხადებაზე. მოსარჩელის მოადგილემ დაწერა ორი ურთიერთგამომრიცხავი ახსნა-განმარტება, პირველის თანახმად სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა წერილებზე პასუხის დროული გაცემა და გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მეორე ახსნა-განმარტების თანახმად, სამმართველოს უფროსმა რეაგირების გარეშე დატოვა განცხადება. 2012 წლის 6 დეკემბერს ჩაბარდა ამავე თარიღის ბრძანება, მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ მაშინ, როდესაც მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების ვადა ჯერ კიდევ ამონურული არ იყო. აღნიშნული ბრძანება ეყრდნობა შიდა აუდიტის უფროსის ახსნა-განმარტებას, რაც თავის მხრივ დაფუძნებულია ლ. ს-ას მოადგილის ახსნა-განმარტებაზე და მინისტრის თანაშემწეების განმარტებით ბართებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ს-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2012 წლის 7 აპრილს სამინისტროში შესული განცხადებით განმცხადებლები ითხოვდნენ დევნილთა გამოსახლებას მათი კუთვნილი შენობიდან. ამასთან, შენობიდან გამოსახლების შემთხვევაში, ის დევნილები, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებოდათ სხვა საცხოვრებლებზე, დარჩებოდნენ თავშესაფრის გარეშე. თავის მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებას



წარმოადგენს დევნილთა საცხოვრებლით დაკმაყოფილება. შესაბამისად, საქირო გახდებოდა დევნილთა შემდგომი განსახლება. მოსარჩელეს საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ეკისრებოდა პირდაპირი ვალდებულება შეესრულებინა მინისტრის დავალება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მინისტრი დებულების მე-4 მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილი იყო ზემოხსენებული განცხადება შესასრულებლად დაენერა მოსარჩელისადმი (მიეცა დავალება ქვემდგომი პირისათვის). თავის მხრივ, მოსარჩელე ასევე უფლებამოსილი იყო დავალება შესასრულებლად გადაეცა ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული პირისათვის და ეკისრებოდა ვალდებულება სათანადო კონტროლი გაენია დავალების კანონით დადგენილ ვადაში შესრულებისათვის. საქმესთან დაკავშირებით არსებული ფაქტობრივი გარემოებები ცალსახად ადასტურებდა, რომ 2012 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით, ფაქტობრივად, განცხადებასთან დაკავშირებით არანაირი ღონისძიება არ იყო განხორციელებული. მოსარჩელის გაათავისუფლების მომენტისათვის (6 დეკემბრისათვის), მართალია, ჩატარებული იყო სადავო კორპუსში რეალურად მაცხოვრებელი დევნილების აღწერა, მაგრამ რამდენადაც 7 დეკემბრისათვის განცხადებაზე სათანადო რეაგირების მოხდენის კანონით დადგენილი ვადა იწურებოდა, ცხადია, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროს მიერ, საკითხზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება ვერ მოხდა. აღნიშნულით ადრესატის მიერ მოხდა მინისტრის დავალების სრული იგნორირება, რამაც განმცხადებლების, როგორც უძრავი ქონების მესაკუთრეების კანონიერი ინტერესების შელახვა გამოიწვია, რაც წარმოადგენს სამსახურებრივი ვალდებულების უხეშად დარღვევას.

საქალაქო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოსაზრება რეზოლუციის გარეშე განცხადების შესასრულებლად მისთვის გადაწერის თაობაზე. რაკი მოსარჩელეს არ დაუზუსტებია დავალება, სავარაუდოა, რომ მისთვის ნათელი და გასაგები იყო გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე. ამასთან, თუკი საკითხი არ წარმოადგენდა მის კომპეტენციას, ვალდებული იყო განცხადება შესასრულებლად სამინისტროს სხვა სტრუქტურული ერთეულისათვის გადაეცა. სასამართლომ ასევე, დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის მოსაზრება, თით-

ქოს მისი სამსახურიდან გათავისუფლება დაეფუძნა მისივე მოადგილის მიერ შედგენილი მეორე ახსნა-განმარტებით ბარათს. მეორე მოხსენებითი ბარათი სრულად შეესაბამებოდა რეალობას, ვინაიდან განცხადების განხილვის მაქსიმალური ვადის ამონურვამდე, რამოდენიმე დღით ადრე, არანაირი ღონისძიება არ იყო გატარებული საკითხის გადასაწყვეტად და ამისათვის დარჩენილი ვადა საკმარისი არ იყო. ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი არ იყო დაინტერესებული მხარეების მოსმენა. სზაკ-ის მე-13 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილზე, 75-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე, 95-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 99-ე მუხლის მე-6 ნაწილზე მითითებით სასამართლომ დაასკვნა, რომ ბინის მესაკუთრეები და ბინებში ფაქტობრივად მცხოვრები დევნილები წარმოადგენდნენ დაინტერესებულ მხარეებს და კანონიერი გადაწყვეტილება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვერ იქნებოდა მიღებული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის, მათი მოსაზრებების წარდგენის გარეშე. ყოველივე ეს ვერ მოესწრებოდა სავალდებულო პროცედურების გავლით გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი ვადის ამონურვამდე დარჩენილი ოთხი დღის ვადაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა და არაჯეროვნად შესრულება, რის გამოც, მოსარჩელის მიმართ გამოყენებული იქნა 79-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება – დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გერეშე, როგორც ეს 99-ე მუხლის მე-3-ე პუნქტით არის გათვალისწინებული სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევისათვის.

საქალაქო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მინისტრის მიერ სადავო ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და სათანადო შეფასების შედეგად გამოსცა დასაბუთებული აქტი მოსარჩელესთან მიმართებაში. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლით

მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა კანონიერად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ს-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ს-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ლ. ს-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანება ლ. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. აღდგენილ იქნა ლ. ს-ა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტში სოციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ლ. ს-ას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, არა უმეტეს სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 3 მაისის №115-კ ბრძანებით ლ. ს-ა დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. 2012 წლის 7 ნოემბერს სამინისტროში ქ. თბილისში, ... მე-4 მ/რ. 34-ე კორპუსის ბინის მესაკუთრეებმა შეიტანეს №22914/01 განცხადება, რომელიც ეხებოდა მათი საკუთრებიდან დევნილთა იძულებითი წესით გამოსახლებისათვის რეაგირებას. განცხადება შესასრულებლად 2012 წლის 14 ნოემბერს ლ. ს-ას გადაეცა, მან იმავე დღეს განსახილველად გადას-

ცა სოციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოადგილეს. კონსულტაციის გავლის შემდეგ, საკითხის შესასწავლად გატარდა რიგი ღონისძიებები 1. დევნილებთან შეხვედრა ინფორმაციის სრულყოფილად მისაღებად. 2. ადგილზე გასვლა და დევნილთა პროფაილინგი (ანკეტირება-აღწერა). 3. პროფაილინგის მონაცემების მონაცემთა ბაზასთან დადარება. მოადგილემ 2012 წლის 4 დეკემბერს შეადგინა ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შეტანილი იყო ქ. თბილისის ... მე-4 მ/რ. 34-ე კორპუსის ბინის მესაკუთრეთა №2294/01 წერილი 2012 წლის 7 ნოემბერს და №24358/01 წერილი 2012 წლის 15 ნოემბერს. აღნიშნულ წერილებში დასმული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო იყო რიგი ღონისძიებების გატარება, რაც საჭირო დროს მოითხოვდა, კერძოდ, საჭირო იყო უშუალოდ ადგილზე შესწავლა, შემონგების დროს არსებული მდგომარეობით, რომელ კონკრეტულ ბინაში რომელი დევნილი ოჯახი ცხოვრობდა. ამის შემდეგ, გადასაწყვეტი იყო იმ დევნილი ოჯახების შემდგომი განსახლების საკითხი, რომლებიც სამინისტროს მიერ დარეგისტრირებულები (დამისამართებულები) იყვნენ აღნიშნულ კორპუსებში და სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდათ. ამას გარდა, ასევე გადასაწყვეტი იქნებოდა იმ დევნილების საკითხი, რომლებიც რეესტრაციის გარეშე ცხოვრობდნენ აღნიშნულ კორპუსებში და არ გააჩნდათ საცხოვრებელი ადგილი. ამასთან გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ კორპუსში მცხოვრები დევნილები კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ კორპუსის დატოვების და დევნილთა განსახლების თაობაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში, აუცილებლად ექნებოდა ადგილი დევნილთა მხრიდან წინააღმდეგობის განევას, რამდენადაც, ამ ეტაპზე, დევნილთა სამინისტროს არ გააჩნდა დევნილთათვის თბილისში ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების რესურსი. ყოველივე აღნიშნული გარემოების გამო, დროულად ვერ მოხერხდა წერილზე პასუხის გაცემა და თავი შეიკავეს აღნიშნულ წერილზე – დევნილთა გამოსახლებაზე თანხმობის მიცემაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ასევე ლ. ს-ას მოადგილის მიერ 2012 წლის 5 დეკემბერს შედგენილ ახსნა-განმარტებით ბარათზე, რომლითაც მან უარყო 2012 წლის 4 დეკემბერს შედგენილ ახსნა-განმარტებაში მოყვანილი ფაქტები და განმარტა, რომ 2012 წლის 7 ნოემბრის №2294/01 წერილი და 2012 წლის 15 ნოემბრის №24358/01 წერილი ლ. ს-ასაგან შემდგომი რეაგი-

რებისათვის გადაეწერა 2012 წლის 16 ნოემბერს, ამასთან, გაი-  
არა კონსულტაცია აღნიშნულ საკითხზე, კერძოდ: ამ წერილებ-  
ზე რეაგირებისაგან თავის შეკავებაზე, რაზეც დაეთანხმა ლ. ს-  
ას და რეაგირება აღარ მოახდინა. შიდა აუდიტის დეპარტამენ-  
ტის უფროსის მიერ 2012 წლის 5 დეკემბერს შედგენილი სამსა-  
ხურებრივი ბარათის თანახმად, 2012 წლის 7 ნოემბერს, საქარ-  
თველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაად-  
გილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო-  
ში წარდგენილ იქნა ქ. თბილისის ... მე-4 მ/რ. 34-ე კორპუსის ბი-  
ნის მესაკუთრეთა №22914/01 განცხადება, რომელიც ეხებოდა  
მათი საკუთრებიდან დევნილთა იძულებითი წესით გამოსახლე-  
ბისათვის რეაგირებას. განცხადება მოსარჩელეს გადაეცა რე-  
ზოლუციის გარეშე, რომელიც მოსარჩელემ განსახილველად გა-  
დასცა თავის მოადგილეს, რომელმაც ლ. ს-ასთან „კონსულტა-  
ციის“ შემდეგ რეაგირების გარეშე დატოვა წერილის მსვლელო-  
ბა. მინისტრის თანაშემწის 2012 წლის 4 დეკემბრის ახსნა-გან-  
მარტების თანახმად, 2012 წლის 7 ნოემბერს შემოსული №22914/  
01 განცხადება მინისტრის ელექტრონული გვერდიდან გადაე-  
წერა ადრესატს მინისტრთან შეთანხმებისა და მისი რეზოლუ-  
ციის გარეშე; საგარაუდოდ, რის გამოც დოკუმენტს არ მიექცა  
სათანადო ყურადღება და დარჩა განუხილველად. მისივე გან-  
მარტებით, შეცდომა შესაძლოა ყოფილიყო როგორც მექანიკუ-  
რი, ასევე ტექნიკური ხასიათის. ამავე შინაარსისაა მინისტრის  
თანაშემწე-მდივნის 2012 წლის 4 დეკემბრის ახსნა-განმარტე-  
ბა. მ. ა-ს სამსახურებრივი ბარათის მიხედვით სააპელაციო სა-  
სამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 4 დეკემბერს  
სოციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმართველოს ყო-  
ფილმა უფროსმა ლ. ს-ამ მას გადასცა ..., მე-4 მიკრორაიონის  
36-ე კორპუსში არსებულ შენობაში მაცხოვრებელ დევნილთა  
აღწერის მასალები, ელექტრონული ვერსიის სახით. საქართვე-  
ლოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილე-  
ბულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012  
წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანებით ლ. ს-ა გათავისუფლდა  
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გა-  
დაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინის-  
ტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის სოციალურ სა-  
კითხთა სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან 2012 წლის  
6 დეკემბრიდან. აღნიშნულ ბრძანებას საფუძვლად დაედო გ.  
ლ-ის №07-12-2460-05/12/2012 მოხსენებითი ბარათი. საქართვე-  
ლოს მთავრობის 2012 წლის 23 აგვისტოს №1631 განკარგულე-  
ბით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით

გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების შესახებ დასტურდება, რომ ლ. ს-ას ყოველთვიური სამსახურებრივი სარგო დაბეგვრის გარეშე 1600 ლარს შეადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, იმავე მუხლის მეორე ნაწილზე, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და იმავე მუხლის მეორე ნაწილზე. აღნიშნულ ნორმათა ანალიზის შედეგად მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში წარდგენილ იქნა ქ. თბილისის ... მე-4 მ/რ. 34-ე კორპუსის ბინის მესაკუთრეთა №22914/01 განცხადება, რომელზეც ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2012 წლის 7 ნოემბერს მისი შესაბამისი წესით რეგისტრაციის მომენტიდან. სააპელაციო სასამართლომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით განმარტა, რომ სამინისტროში წარდგენილ განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი ვადა იწურებოდა 2012 წლის 7 დეკემბრისათვის, ხოლო ამ წარმოების არასწორად წარმართვისათვის ლ. ს-ა სამსახურიდან 2012 წლის 6 დეკემბერს გათავისუფლდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით უდავოდ დასტურდებოდა ლ. ს-ასათვის განცხადების 7 კალენდარული დღის ვადით დაგვიანებით გადაცემა, მისი მხრიდან განცხადებაზე დაუყოვნებლივ რეაგირების მოხდენა (განცხადების მოადგილესათვის რეზოლუციით გადაცემა), ადმინისტრაციული წარმოებისათვის გათვალისწინებულ ვადაში გარკვეული სახის სამუშაოების წარმოება და იგივე ვადის ამოწურვამდე ლ. ს-ასათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლის ყველაზე მძიმე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის „სამსახურიდან გათავისუფლების“ შეფარდება, წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ლ. ს-ასადმი დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანება ლ. ს-ას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. შესაბამისად, ლ. ს-ა უნდა აღდგენილიყო სამსახურში იმ თანამდებობაზე, რომელიც მას დაკავე-

ბული ჰქონდა სადავო აქტის გამოცემდე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ სადავო აქტის ბათილად ცნობისა და ლ. ს-ას სამსახურში აღდგენის პირობებში, საფუძვლიანი იყო მოსარჩელის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივნისის განჩინებით ლ. ს-ას განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 3 ივნისის განჩინება ლ. ს-ამ გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საკაცო წესით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ლ. ს-ას მიმართ ყველაზე მძიმე ადმინისტრაციული სახდელის გამოყენება დისკრიმინაციის გამოვლინება იყო და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული დასკვნა ისე გამოიტანა, რომ არ გამოუკვლევია სხვა მოსამსახურეთა მიმართ გამოყენებული იქნა თუ არა დისკრიპლინური ზემოქმედების ღონისძიებები. სამინისტროში შესულ განცხადებაში დასმული საკითხი უშუალოდ ლ. ს-ასადმი დაქვემდებარებული სამმართველოს ფუნქციებში შედიოდა. მას, როგორც თანამდებობით მაღლა მდგომს დისკრიპლინური ზემოქმედების ყველაზე მძიმე სახდელი დაეკისრა. სააპელაციო სასამართლომ ასევე გამოკვლევის გარეშე მიიჩნია, რომ ლ. ს-ამ განცხადებასთან დაკავშირებით გარკვეული სამუშაოები გასწია. რეალურად, მინისტრთან განმცხადებლების შეხვედრისას ვინაიდან მოსარჩელემ და მისმა მოადგილემ ვერ მიუთითეს თუ რა ღონისძიებები გაატარეს განცხადებასთან დაკავშირებით, შეხვედრის დასრულების შემდეგ, მინისტრმა განცხადება რეზოლუციით გადაწერა სხვა მოსამსახურეებს. იმავე დღეს, 2012 წლის 3 დეკემბერს, დღის მეორე ნახევარში, როდესაც ლ. ს-ამ მოახდინა სადავო კორპუსში მაცხოვრებელთა აღწერა, განცხადება მას აღარ ეწე-

რა და იგი აღარ იყო უფლებამოსილი ამ განცხადებასთან დაკავშირებით რაიმე ღონისძიებები განეხორციელებინა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სადავო არ გამხდარა ის გარემოებები, რომ სამინისტროში შესულ განცხადებაზე რეაგირება ლ. ს-ას უშუალო სამსახურებრივ მოვალეობაში შედიოდა. ასევე მის ვალდებულებაში შედიოდა მისდამი დაქვემდებარებული სამმართველოს საჯარო მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვანი განხორციელების კონტროლი. ასევე განცხადების ლ. ს-ასათვის დაწერიდან სხვა პირებისათვის გადაწერამდე (2012 წლის 3 დეკემბრის დღის პირველ ნახევრამდე) განცხადებაზე არანაირი რეაგირება არ მომხდარა და არც იყო დაგეგმილი. ყოველივე აღნიშნული წარმოადგენდა სამსახურებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევას, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა. კასატორი თვლის, რომ სასამართლომ, მართალია, გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტი, ამავე კანონის 79-ე მუხლი, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. სააპელაციო სასამართლომ ამავე კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის იგნორირებით ფაქტობრივად არასწორად განმარტა კანონი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით, წარმოებაში იქნა მიღებული ლ. ს-ას კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით. ამავე თარიღის განჩინებით დადგინდა კერძო საჩივრის განხილვა მხარეთა დასწრებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის სა-



ფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 3 მაისის №115-კ ბრძანებით ლ. ს-ა დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. ლ. ს-ას მოადგილის 2012 წლის 4 დეკემბრის ახსნა-განმარტების თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში 2012 წლის 7 ნოემბერს და 2012 წლის 15 ნოემბერს შევიდა ქ. თბილისის ... მე-4 მ/რ, 34-ე კორპუსის ბინების მესაკუთრეთა №2294/01 და №24358/01 წერილები. აღნიშნულ წერილებში დასმული საკითხების გადასაწყვეტად საჭირო იყო რიგი ღონისძიებების გატარება, რაც დროს მოითხოვდა. კერძოდ, საჭირო იყო უშუალოდ ადგილზე შესწავლა, შემოწმების დროს არსებული მდგომარეობით, რომელ კონკრეტულ ბინაში რომელი დევნილი ოჯახი ცხოვრობდა. ამის შემდეგ, გადასაწყვეტი იყო იმ დევნილი ოჯახების შემდგომი განსახლების საკითხი, რომლებიც სამინისტროს მიერ დარეგისტრირებულები (დამისამართებულები) იყვნენ აღნიშნულ კორპუსებში და სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდათ. ამას გარდა, ასევე გადასაწყვეტი იქნებოდა იმ დევნილების საკითხი, რომლებიც რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობდნენ აღნიშნულ კორპუსში და არ გააჩნდათ საცხოვრებელი ადგილი. ამასთან გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ კორპუსში მცხოვრები დევნილები კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ კორპუსის დატოვების და დევნილთა განსახლების თაობაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში, აუცილებლად ექ-

ნებოდა ადგილი დევნილთა მხრიდან წინააღმდეგობის განევას, რამდენადაც, ამ ეტაპზე, დევნილთა სამინისტროს არ გააჩნდა დევნილთათვის თბილისში ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების რესურსი. აღნიშნული გარემოების გამო, დროულად ვერ მოხერხდა წერილზე პასუხის გაცემა და თავი შეიკავეს აღნიშნულ წერილზე – დევნილთა გამოსახლებაზე თანხმობის მიცემაზე. ლ. ს-ას მოადგილემ 2012 წლის 5 დეკემბრის ახსნა-განმარტებითი ბარათით განმარტა, რომ 2012 წლის 7 ნოემბრის №2294/01 წერილი და 2012 წლის 15 ნოემბრის №24358/01 წერილი ლ. ს-ასაგან შემდგომი რეაგირებისათვის გადაეწერა 2012 წლის 16 ნოემბერს. ამასთან, გაიარა კონსულტაცია აღნიშნულ საკითხზე, კერძოდ, ამ წერილებზე რეაგირებისაგან თავის შეკავებაზე. აღნიშნულზე დაეთანხმა ლ. ს-ას და განცხადებაზე რეაგირება აღარ მოახდინა. შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 5 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში 2012 წლის 7 ნოემბერს შევიდა ქ. თბილისის ... მე-4 მ/რ. 34-ე კორპუსის ბინების მესაკუთრეთა №22914/01 განცხადება, რომელიც ეხებოდა მათი საკუთრებიდან დევნილთა იძულებითი წესით გამოსახლებისათვის რეაგირებას. განცხადება მოსარჩელეს გადაეცა რეზოლუციის გარეშე, რომელიც მოსარჩელემ განსახილველად გადასცა თავის მოადგილეს. ამ უკანასკნელმა ლ. ს-ასთან კონსულტაციის შემდეგ რეაგირების გარეშე დატოვა წერილი. მინისტრის თანაშემწის 2012 წლის 4 დეკემბრის ახსნა-განმარტების თანახმად, 2012 წლის 7 ნოემბერს შემოსული №22914/01 განცხადება მინისტრის ელექტრონული გვერდიდან გადაეწერა ადრესატს მინისტრთან შეთანხმებისა და მისი რეზოლუციის გარეშე; სავარაუდოდ, რის გამოც დოკუმენტს არ მიეცა სათანადო ყურადღება და დარჩა განუხილველად. მისივე განმარტებით, შეცდომა შესაძლოა ყოფილიყო როგორც მექანიკური, ასევე ტექნიკური ხასიათის. ამავე შინაარსისაა მინისტრის თანაშემწე-მდივნის 2012 წლის 4 დეკემბრის ახსნა-განმარტება. დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის სამსახურებრივი ბარათის მიხედვით 2012 წლის 4 დეკემბერს სოციალურ საკითხთა და მონიტორინგის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა ლ. ს-ამ მას გადასცა ..., მე-4 მიკრორაიონის 36-ე კორპუსში არსებულ შენობაში მაცხოვრებელ დევნილთა აღწერის მასალები ელექტრონული ვერსიის სახით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახ-

ლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2012 წლის 6 დეკემბრის №399-კ ბრძანებით ლ. ს-ა გათავისუფლდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან 2012 წლის 6 დეკემბრიდან. აღნიშნულ ბრძანებას საფუძვლად დაედო №07-12-2460-05/12/2012 მოხსენებითი ბარათი. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 აგვისტოს №1631 განკარგულებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების შესახებ დასტურდება, რომ ლ. ს-ას ყოველთვიური სამსახურებრივი სარგო 1600 ლარს შეადგენდა.

მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ სამინისტროში 2012 წლის 7 ნოემბერს შესული №22914/01 განცხადება ლ. ს-ას ერთი კვირის დაგვიანებით, 2012 წლის 14 ნოემბერს გადაეცა. ასევე მხარეები სადავოდ არ მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ლ. ს-ამ განცხადება რეზოლუციით იმავე დღეს თავის მოადგილეს გადასცა. საკასაციო პრეტენზია შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ გარემოებას, რომ ლ. ს-ამ სამინისტროში შესულ განცხადებაზე რეაგირება მოახდინა 2012 წლის 3 დეკემბერს. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია ის გარემოება, რომ ლ. ს-ამ განცხადებასთან დაკავშირებული კონკრეტული სამუშაოები განცხადების სხვა პირებზე გადაწერის შემდეგ განახორციელა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოცემული დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი არ არის ის გარემოება, რომ 2012 წლის 3 დეკემბერს, ლ. ს-ას მიერ მასალების შედგენისას კორპუსის ბინების მესაკუთრეთა განცხადება მინისტრის რეზოლუციით გადაწერილი ჰქონდა თუ არა სხვა პირს, არამედ მოცემული დავის გადანყვეტა მოითხოვს იმის შეფასებას ლ. ს-ას მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი სამსახურებრივი მოვალეობების ისეთ უხეშ დარღვევას, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე გათავისუფლების შესაძლებლობას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ სამინისტროში წარდგენილ განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი ვადა იწურებოდა 2012 წლის 7 დეკემბრისათვის მაშინ, როცა ამ წარმოების არასწორად წარმართვისათვის ლ.

ს-ა სამსახურიდან 2012 წლის 6 დეკემბერს გათავისუფლდა. ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ განცხადება ლ. ს-ას დაგვიანებით გადაეცა. ამასთან, მოსარჩელემ იმავე დღეს განცხადება რეზოლუციით თავის მოადგილეს დაანერა. კასატორის განმარტებით ადმინისტრაციულმა ორგანომ დისციპლინური დარღვევის შეფასებისას 2012 წლის 3 დეკემბერს (განცხადების სამინისტროში რეგისტრაციიდან 27-ე დღეს) რაიმე ქმედების განუხორციელებლობა განცხადებაში დასმული საკითხის გადაჭრისათვის საჭირო სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით სამსახურებრივ მოვალეობათა უხეშ დარღვევად მიიჩნია. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ იღებს განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. ამდენად, კანონმდებლობა ადგენს კონკრეტულ ვადას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისათვის, მაგრამ კონკრეტულად არ განერს ადმინისტრაციული წარმოების ეტაპებს. ლ. ს-ამ თავის მოადგილესთან ერთად სადავო კორპუსში მცხოვრები დევნილები 2012 წლის 3 დეკემბერს აღწერა, შექმნა მასალების ელექტრონული ვერსია და 2012 წლის 4 დეკემბერს გადასცა თავის ხელმძღვანელ თანამდებობის პირს. საკასაციო საჩივრის ავტორი მხოლოდ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ლ. ს-ა შესასრულებელი სამუშაოს სირთულიდან გამომდინარე, დარჩენილ ვადაში ადმინისტრაციული წარმოების დასრულებას ვერ შეძლებდა. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო გარკვეული მოქმედებები ლ. ს-ამ მოადგილესთან ერთად ერთ დღეში შეასრულა და ადმინისტრაციული წარმოების ვადა ლ. ს-ას გათავისუფლებისათვის ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია არ არის დასაბუთებული და იგი მხედველობაში ვერ იქნება მიღებული.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვე-პუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია: შენიშვნა; გაფრთხილება; არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა – არა უმეტეს ერთი წლისა; სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. ამავე კანონის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. როგორც ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას, უფრო მეტიც, მითითებული ნორმა ატარებს იმპერატიულ ხასიათს და დაუშვებლად მიიჩნევს აქტის მიღებას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და მტკიცებულებების შესწავლის გარეშე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ უდავოდ დადგენილად მიჩნეულ იმ გარემოებას, რომ ლ. ს-ას წარსულში რაიმე გადაცდომა და შესაბამისად, მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ლ. ს-ა თანამდებობიდან გათავისუფლდა კორპუსის ბინების მესაკუთრეთა 2012 წლის 7 ნოემბრის განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისათვის განსაზღვრული ერთთვიანი ვადის ამოწურ-

ვამდე. ამასთან, მისთვის გადაცემული განცხადება იმავე დღეს გადააწერა თავის მოადგილეს. ადმინისტრაციული წარმოები-სათვის განკუთვნილი ვადის ამონაწერად მან გარკვეული მოქმედებები შეასრულა საკითხის შესწავლის მიზნით. აღნიშნულით მოსარჩელემ, როგორც სამმართველოს უფროსმა სამინისტროში შესულ განცხადებაზე რეაგირება მოახდინა. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს არსებული ფაქტობრივი მდგომარეობიდან მომდინარე დასაბუთებას იმის თაობაზე, მოსარჩელის მიერ განხორციელებული მოქმედებები თუ რატომ იქნა მიჩნეული ისეთ უხემ გადაცდომად, რომლისთვისაც მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უკიდურესი ზომის სახდელის გამოყენება იყო შესაძლებელი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას იმის თაობაზე, რომ ლ. ს-ას მიერ კონკრეტული განცხადების განხილვისათვის მიღებული ზომები არ წარმოადგენდა სამსახურებრივ მოვალეობათა ისეთ უხემ დარღვევას, რომლისთვისაც დისციპლინური ზემოქმედების მხოლოდ ყველაზე მძიმე სახდელის დაკისრება შეიძლებოდა. შესაბამისად, სახეზე იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

## **დაადგინა:**

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2013 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სამუშაო ალდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სასახლით**

№ბს-512-494 (კ-13)

29 მაისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
მ. ვაჩაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ლ-მა 01.04.2013წ. სარჩელით მიმართა ლენტეხის მაგისტრატის სასამართლოს მოპასუხე ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 26.03.13წ. №2პ-159, 27.03.13წ. №2პ-159, 28.03.13წ. №2პ-163 ბრძანებების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და 3 თვის იძულებითი განაცდურის – 2400 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წლიდან მუშაობდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მო-

სარჩელემ მიუთითა, რომ 26.03.13წ. 27.03.13წ. ბრძანებებს მი-  
ნიჭებული აქვთ ერთი და იგივე ნომერი, რაც კანონდარღვევაა,  
ვინაიდან არ შეიძლება არსებობდეს ერთი და იგივე ნომრით  
სხვადასხვა დღეს გამოცემული ბრძანებები. ამასთან, 28.03.13წ.  
ბრძანებით თანამდებობიდან უკვე გათავისუფლებული გ. ლ-ი  
გამგებელმა კვლავ გაათავისუფლა დაკავებული თანამდებო-  
ბიდან, რასაც მოსარჩელე დაუშველად მიიჩნევს. ლენტიხის მუ-  
ნიციპალიტეტის გამგებელმა, ადმინისტრაციული წარმოების  
ჩატარების გარეშე, 26.03.13წ., 27.03.13წ. და 28.03.13წ. მიიღო  
სამი იდენტური შინაარსის ბრძანება დაკავებული თანამდებო-  
ბიდან მისი გათავისუფლების შესახებ, რითაც უხეშად დაარ-  
ღვია კანონი, კერძოდ ზაკ-ის 53-ე მუხლი, გასაჩივრებული აქ-  
ტები არ შეიცავენ წერილობით დასაბუთებას და აქტების გამო-  
ცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებზე მითითე-  
ბას, რაც სსკ-ის 32.1 მუხლის საფუძველზე სადავო ბრძანებე-  
ბის ბათილად ცნობის საფუძველია. მოსარჩელემ აგრეთვე მიუ-  
თითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127.5, 112-ე მუხ-  
ლებზე და აღნიშნა, რომ სამსახურიდან უკანონო განთავისუფ-  
ლება ქმნის გ. ლ-ის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენის და 3  
თვის იძულებითი განაცდურის – 2400 ლარის ანაზღაურების სა-  
ფუძველს.

მოსარჩელემ 01.04.13წ. შუამდგომლობით მიმართა სასამარ-  
თლოს, რომლითაც სსკ-ის 182-ე მუხლის საფუძველზე მოით-  
ხოვა მისი სარჩელის მ. ხ-ის და სხვათა სარჩელის გამო საქმეს-  
თან გაერთიანება და ერთად განხილვა. 02.04.03წ. განჩინებით  
შუამდგომლობა საქმეთა გაერთიანების შესახებ არ დაკმაყო-  
ფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ მ.ხ-ის და სხვათა საქმე  
არის მომზადებული და ჩანიშნულია მთავარი სხდომა, ხოლო  
გ.ლ-ის სარჩელი არის მომზადების სტადიაზე.

ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შესაგებელში მი-  
უთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50-ე და  
101-ე მუხლები ითვალისწინებენ 65 წელს მიღწეული მოხელის  
სამსახურიდან გათავისუფლებას. გამგებლის 26.03.13წ.,  
27.03.13წ., №23-159 ბრძანებებში დაშვებული ტექნიკური შეც-  
დომის გამო 28.03.13წ. №23-162 ბრძანებით ისინი ბათილად იქ-  
ნენ ცნობილნი, რის შემდეგაც კანონიერად მიღებულ იქნა  
28.03.2013 წ. №23-163 ბრძანება.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას  
გ.ლ-მა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ  
28.03.13წ. №23-163 ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობა-  
ზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოით-



ხოვა, რადგან ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 26.03.13წ. №23-159 და 27.03.13წ. №23-159 ბრძანებები ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 28.03.13წ. №23-162 ბრძანებით, გამოვლენილი ხარვეზების გამო. მოსარჩელემ აგრეთვე აღნიშნა, რომ სადავო ბრძანების მიღების სამართლებრივი საფუძველი – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 101-ე მუხლი ამოღებულია 20.03.13წ. №358 კანონით (გამოქვეყნდა 02.04.13წ.). შესაბამისად, აღარ არსებობს გ. ლ-ის გათავისუფლების საფუძველი და კანონის უკუქცევითი ძალის გამოყენებით შესაძლებელია მისი სამსახურში აღდგენა. ამასთანავე მოსარჩელე 1 თვით ადრე არ იყო წერილობით გაფრთხილებული შესაძლო გათავისუფლების შესახებ, რაც სადავო ბრძანების ბათილად ცნობის დამატებითი საფუძველია.

ლენტეხის მაგისტრი სასამართლოს 18.04.2013წ. გადაწყვეტილებით გ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 28.03.13წ. №23-163 ბრძანებით, 06.04.47წ. დაბადებული, გ. ლ-ი გათავისუფლდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან საპენსიო ასაკის გამო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50-ე და 101-ე მუხლების საფუძველზე. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასებისას სასამართლომ აღნიშნა, რომ 02.04.13წ. კანონით შეტანილ ცვლილებამდე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტით სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი 65 წელს შეადგენდა. ამავე კანონის 101-ე მუხლი ითვალისწინებდა სამსახურიდან ასაკის გამო გათავისუფლებას ამ კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის 39.3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილი იყო კანონით დადგენილი წესით თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში 20.03.13წ. კანონით შეტანილი ცვლილების შედეგად (ამოქმედდა 02.04.13წ.), გაუქმდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 101-ე მუხლი. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი კანონისთვის უკუქცევითი ძალის მინიჭებით გ. ლ-ის სამსახურში აღდგენის შესახებ, რადგან „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 24.1 მუხლის შესაბამისად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ მაშინ, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული

აქტით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი მსგავს დათქმას არ ითვალისწინებს.

ის გარემოება, რომ გ. ლ-ი გათავისუფლებამდე 1 თვით ადრე წერილობით არ ყოფილა გაფრთხილებული შესაძლო გათავისუფლების შესახებ, სასამართლოს აზრით ვერ გახდება სადავო ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან წერილობითი გაფრთხილების შემთხვევაშიც მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა იგივე გადაწყვეტილება. სზაკ-ის 60<sup>1</sup>.2 მუხლის საფუძველზე სასამართლომ მიუთითა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 28.03.13წ. №2პ-163 ბრძანების მიღებისას არსებითად არ დარღვეულა სზაკ-ისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნები, სადავო ბრძანება არ ეწინააღმდეგება კანონს და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველები. შესაბამისად უსაფუძველოა მოსარჩელის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

ლენტეხის მაგისტრი სასამართლოს 18.04.2013წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.06.2013წ. გადაწყვეტილებით გ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ლენტეხის მაგისტრადი სასამართლოს 18.04.2013წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, გ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 28.03.2013წ. №2პ-163 ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, გ. ლ-ი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და დადგინდა მისთვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას გ. ლ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის (02.04.13წ. მოქმედი რედაქციით) 50.1 მუხლის თანახმად, სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი განისაზღვრება 65 წლით. მოსამსახურე პენსიაში გადის კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამავ კანონის 101-ე მუხლის შესაბამისად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ასაკის გამო ამ კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. 108-ე

მუხლის 1-ლი ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ მოხელეს ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს დანესებულების ლიკვიდაციის, თანამდებობის შემცირების, ატესტაციის არადაამაკმაყოფილებელი შედეგების ან ასაკის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის შესაბამისად, არ უცნობებია მოსარჩელე გ. ლ-ისათვის ასაკის გამო სამსახურიდან მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, რაც კანონის დარღვევას წარმოადგენს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გ. ლ-მა, რომელიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50.1 და 101-ე მუხლების საფუძველზე იქნა სამუშაოდან გათავისუფლებული, მისი გათავისუფლების შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაასაჩივრა სასამართლოში, რა დროშიც მითითებულმა ნორმებმა განიცადეს ცვლილება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ 20.03.13წ. კანონით (რომელიც ამოქმედდა 02.04.13წ.) 101-ე მუხლი ამოღებულ იქნა, ხოლო 50-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით-მოსამსახურე პენსიაში გადის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ, რომელიც ასაკის გამო გათავისუფლდა სამუშაოდან, უნდა გავრცელდეს კანონის ახალი რედაქცია და საპენსიო ასაკის მიღწევა არ უნდა გახდეს მისი სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი. მით უმეტეს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე დაადასტურა, რომ სამსახურიდან არ გათავისუფლებულა 65 წლის ასაკს მიღწეული ყველა მოხელე, შესაბამისად გაურკვეველია რის საფუძველზე მიიჩნია ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გ. ლ-ის გათავისუფლება მიზანშეწონილად. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს ამგვარი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ზაკ-ის 4.3 მუხლის დანაწესს, რომლის მიხედვით საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ მოპასუხემ იმსჯელა გ. ლ-ის პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის, მისი შრომისუნარიანობის, პროფესიული უნარ-ჩვევების თაობაზე, რაც დაადასტურებდა სადავო გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე, 112-ე და 127-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნია, რომ მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენა უნდა მოხდეს იმავე თანამდებობაზე, რომელიც მოხელეს ეკავა გათავისუფლებამდე-ბათილად ცნობილი ბრძანების გამოცემამდე. ამასთან, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი წარმოშობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მიზნად ისახავს პირის იმ უფლებებში აღდგენისაკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სახეზეა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გემგებლის 28.03.13წ. №23-163 ბრძანების ბათილად ცნობისა და გ. ლ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

გ. ლ-მა 03.07.2013წ. შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.07.2013წ. განჩინებით გ. ლ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.06.2013წ. გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

გ. ლ-მა 26.07.2013წ. განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სააპელაციო პალატის 25.06.2013წ. გადაწყვეტილების განმარტება, რაზეც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.08.2013წ. განჩინებით ეთქვა უარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.06.2013წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ. კასატორის მოსაზრებით, გ. ლ-ის გათავისუფლება მოხდა 2013 წლის 2 აპრილამდე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50-ე და 101-ე მუხლების მოქმედების პირობებში, შესაბამისად, გამგებლის ბრძანება გ. ლ-ის გათავისუფლების შესახებ კანონიერი და შეესაბამება ზემოაღნიშნულ მუხლების მოთხოვნებს. მოსარჩელე იყო კანონით განსაზღვრული 65 წელს მიღწეული პირი, რის გამო სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო ბრძანების უკანონოდ მიჩნევა უსაფუძვლოა, სააპელაციო სასამართლომ კანონში განხორციელებულ ცვლილებებს არასწორად მიანიჭა უკუქცევის ძალა, რაც ეწინააღმდეგება „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მოთ-

ხოვნებს, ამ ნორმის თანახმად, კანონს უკუქცევის ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირაა გათვალისწინებული ნორმატიული აქტით. კასატორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია კონსტიტუციის 42.5 მუხლი, რადგან კანონდარღვევად მიიჩნია გამგებლის ისეთი ქმედება, რომელიც მისი განხორციელების დროს მართლზომიერი იყო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 28.03.13წ. №23-162 ბრძანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 101-ე მუხლისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი გ. ლ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, რის გამოც განსახილველ დავაზე უნდა შემოწმდეს სადავო ბრძანების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ლ-ი (დაბ. 06.09.1947წ.) სამსახურიდან განთავისუფლების (28.03.13წ) მომენტისათვის იყო 65 წლის. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით გამგებელი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს გამგეობის სტურქტურული ერთეულების და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის სხვა თანამშრომლებს. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანების გამოცემისას მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50.1 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი იყო 65 წელი, ამავე კანონის 101-ე მუხლი ითვალისწინებდა მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას ასაკის გამო. ამდენად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი, სადავო აქტის გამოცემის მომენტისთვის, ფორმალური

თვალსაზრისით უფლებამოსილი იყო სამსახურიდან გაეთავისუფლებინა გამგეობის მოხელე ზღვრული ასაკის მიღწევის საფუძველზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში 20.03.13წ. კანონით შეტანილი ცვლილებები ძალაში შევიდა გამოქვეყნებიდან, 20.03.13წ. კანონი ოფიციალურად 02.04.13წ. გამოქვეყნდა, შესაბამისად, სადავო აქტის გამოცემის დროისათვის ის არ იყო ძალაში შესული. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. განსახილველ შემთხვევაში მსგავსი დათქმა გათვალისწინებული არ ყოფილა, რაც გამორიცხავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილების მიმართ უკუქცევითი ძალის მინიჭების შესაძლებლობას. საკაცო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს იმოქმედოს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ. ადმინისტრაციული ორგანო თითოეული მმართველობითი ღონისძიების განხორციელებისას მოქმედებს კონკრეტული ნორმატიული აქტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაბამისად, აქტის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისას, უნდა დადგინდეს აქტის შესაბამისობა მისი გამოცემისას მოქმედ ნორმატიულ საფუძველთან. კანონმდებელი უფლებამოსილია შეცვალოს კონკრეტული ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგება, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს ცვლილების შეტანამდე დამდგარი ყველა სამართლებრივი შედეგის გაუქმებასა და შეცვლას. ადმინისტრაციული ორგანო, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულია იმოქმედოს მმართველობითი ღონისძიების განხორციელების მომენტში არსებული ნორმატიული ბაზის საფუძველზე. ამდენად, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში 20.03.2013წ №358 კანონით შეტანილი ცვლილება არ ითვალისწინებს უკუქცევითი ძალის გამოყენების შესაძლებლობას, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 42.5 მუხლით განსაზღვრული დანაწესი (კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს) ორგანულადაა დაკავშირებული იურიდიულ პასუხისმგებლობასთან და მხოლოდ მასთან ერთობლიობაში გამოიყენება, ამასთანავე, სამსახურიდან გათავისუფლების აქტი არის ერთჯერადი, მას არ აქვს განგრძობადი ხასიათი, გათავისუფლებისთანავე ის დასრულებულია, რის გამოც არ დგას ნორმატიული აქტის არაპირდაპირი უკუქცევითი

თი ძალის საკითხი, შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში 20.03.2013წ №358 კანონით შეტანილ ცვლილებებს უკუძალა არ ენიჭება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ აქტის კანონიერების შემოწმება მისი მხოლოდ ფორმალური კანონიერების კუთხით შეფასებას არ გულისხმობს: აქტი აგრეთვე მატერიულურად კანონიერი უნდა იყოს, ანუ აქტი შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ გამოცემის საფუძვლებზე მითითებას, არამედ სარწმუნოდ უნდა ასაბუთებდეს აქტის გამოცემის ფაქტობრივ და სამართლებრივ წინამძღვრებს. დასაბუთებიდან უნდა იკვეთებოდეს, თუ რა გარემოებებმა მოახდინა გავლენა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებაზე. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების მოთხოვნა არამართ ადმინისტრაციული ორგანოს თვითკონტროლის განხორციელებას ემსახურება, არამედ აქტის კანონიერების შემოწმებასაც უწყობს ხელს. განსახილველ შემთხვევაში ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სადავო ბრძანება არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას, იგი მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50.1, 101-ე მუხლებზე მიუთითებს. სააპელაციო პალატაში საქმის ზეპირი განხილვისას მოპასუხის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დღემდე დასაქმებულები არიან ზღვრულ ასაკს მიღწეული პირები (05.06.13წ. სხდომის ოქმი, 15:23 სთ). სზაკ-ის 4.3 მუხლის თანახმად, საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. ამდენად, გ. ლ-ის სამსახურიდან განთავისუფლებას საფუძვლად დაედო არა მხოლოდ მოხელის ასაკი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმის მასალებით სრულად არ დგინდება სადავო გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. მოხელის ასაკი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 5.1 პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის პირობას ქმნის. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად ასაკის გამო სამსახურიდან განთავისუფლება ქმნის არა სამსახურიდან განთავისუფლების, არამედ დასაქმებულის პენსიაზე გასვლის უფლებას (გარდა იმ მოსამსახურეებისა, რომლებზედაც ვრცელდება „სახელმწიფო კომპენსაციისა და

სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების შესახებ“ კანონი (მე-4 მუხ. „გ“ ქვეპუნქტი, 5.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი)). რაც შეეხება 02.04.13წ. კანონით ცვლილების შეტანამდე არსებულ რედაქციას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 65 წლის ასაკის მიღწევა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით ქმნიდა სამსახურიდან გათავისუფლების არა იმპერატიულ ვალდებულებას, არამედ შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელი სარგებლობდა დისკრეციული უფლებამოსილებით. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენას, რომლებიც საფუძვლად შეიძლება დაედოს გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვას. სადავო ბრძანება არ შეიცავს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების რაიმე დასაბუთებას. საპენსიო ასაკს მიღწეული მოხელის სამუშაოდან გათავისუფლება ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი ინიციატივით შექმლო გადაწყვეტილება მოხელის შრომისუნარიანობის, პროფესიული მომზადებისა და სხვა გარემოებების შეფასების შემდეგ, რაც ადმინისტრაციის და არა სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება. სზაკ-ის 96-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და სზაკ-ის 96-ე მუხლის მოთხოვნათა უგულვებელყოფით, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველია. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის შრომისუნარიანობის, პროფესიული მომზადების, უნარ-ჩვევების და სხვა გარემოებათა გამოკვლევა დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება, სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სასკ-ის 32.4 მუხლი და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სადავო ბრძანება.



საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე საქმის მასალებში დაცულ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.04.13წ. №04-122 დახასიათებაზე, რომლის მიხედვით გ. ლ-ი თავისი მუშაობის პერიოდში გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით და შრომისუნარიანობით, პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, გამოირჩეოდა პასუხისმგებლობის გრძნობით და სარგებლობდა ავტორიტეტით. საქმეში დაცულია ასევე მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებლის ზ. ლ-ის წერილობითი განმარტება, რომელშიც აღნიშნულია, რომ გ. ლ-ი თავის სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებდა არაჯეროვნად, რაც გამოიხატა მის მიერ მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტში სრული სარეზერვო ფონდის თანხის ჩამოჭრასა და სხვა მუხლებში გადატანაში, რის გამოც გამგეობამ ვერ შეძლო მისთვის დაკისრებული მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულება, გ. ლ-ი აყოვნებდა ასევე გამგებლის მიერ მოთხოვნილი, გამგეობის ბალანსზე არსებული ქონების თაობაზე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციის დროულ წარდგენას. ამდენად, სახეზეა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები, თუ გ. ლ-ის სამსახურიდან განთავისუფლებისას ორგანომ მოხელის ასაკის გარდა, მისი პროფესიული მახასიათებლების შეფასებითაც იხელმძღვანელა, სზაკ-ის 96-ე მუხლიდან გამომდინარე, ორგანომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს საქმეში არსებული გარემოებები, მიუთითოს გათავისუფლების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ამასთანავე, სადავო აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 108-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებდა ადმინისტრაციის ვალდებულებას ერთი თვით ადრე მოხელისათვის გაეზავნა შეტყობინება ასაკის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. ამ მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში 108-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებდა მოხელისათვის ხელფასის გაცემას. აღნიშნულის მიუხედავად არ დასტურდება ადმინისტრაციის მიერ ასაკის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მოხელის გაფრთხილება, ამ მოვალეობის დარღვევისათვის მოხელისათვის ხელფასის გაცემა. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ 05.02.14 წ. ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 59-ე, მე-60.4 მუხლების თანახმად, გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლება, აგრეთვე ახალი გამგებლის არჩევა არის გამგებლის სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ინდივი-

დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე. აქტი არ შეიცავს მითითებას მისი გამოცემის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე, შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია სადავო აქტის კანონიერების შეფასების შესაძლებლობას, რაც სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გ. ლ-ის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების საკითხის გადაწყვეტილად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 28.03.12წ. №23-162 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველს ქმნის. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.06.13წ. გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.07.2013წ. განჩინება 25.06.2013წ. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 32.4 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.07.2013წ. განჩინება, 25.06.2013წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნეს ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 28.03.2013წ. №23-163 ბრძანება და ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გ. ლ-თან დაკავშირებით;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები

### სამსახურიდან გათავისუფლება ავადმყოფობის გამო

#### ბანჩინება

№ბს-433-428(კ-12)

23 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძუ-  
ლებითი განაცდურის ანაზღაურება.

#### აღწერილობითი ნაწილი:

06.01.2012 წ. ნ. გ-მა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალა-  
ქო სასამართლოს, საქართველოს შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუ-  
მისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მი-  
მართ, მოპასუხის 05.12.2011წ. №1515181 ბრძანების ბათილად  
ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის  
ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ის 1998 წლიდან მუშაობდა სა-  
ქართველოს შსს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე. მო-  
სარჩელე 2009 წლის 13 ნოემბრიდან დასაქმებულია ქუთაისის  
საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-... განყოფილებაში უბ-  
ნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე, საიდანაც გან-  
თავისუფლებულ იქნა სამმართველოს უფროსის 05.12.2011წ.  
№1515181 ბრძანებით. ნ. გ-ი ბრძანებას უკანონოდ მიიჩნევს და  
აღნიშნავს, რომ სადავო აქტს საფუძვლად დაედო სამხედრო  
სამედიცინო კომისიის №3534 ცნობა, რომელიც სუბიექტური  
ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე ჯანმრთელია,  
კომისიამ დასკვნაში მიუთითა, რომ იგი დაავადებულია გუნე-  
ბა-განწყობის აფექტური აშლილობა F38-ით და საჭიროებს ამ-  
ბულატორიულ მკურნალობას, რის გამოც არ არის ვარგისი ოპე-  
რაციული საგუშავო სამსახურისთვის. მოსარჩელე თვლის, რომ  
მისი ავადმყოფობა რომც ყოფილიყო დადგენილი, მოპასუხეს

მაინც არ უნდა გაეთავისუფლებინა სამსახურიდან, რადგან ჯერ უნდა მომხდარიყო მოსარჩელის ბიულეტენზე გაშვება, მკურნალობა და უკვე შემდგომში, გადანყვეტილების მიღება.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ სადავო ბრძანებას საფუძვლად დაედო სამხედრო სამედიცინო კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვითაც მოსარჩელე დაავადებულია გუნება-განწყობის აფექტური აშლილობა F38-ით და რეკომენდირებულია ამბულატორიული მკურნალობა. დასკვნის მიხედვით, იგი არ არის ვარგისი ოპერატიული საგუშაგო სამსახურისთვის, ხოლო ის თანამდებობა, რომელზეც მუშაობდა ნ. გ-ი წარმოადგენს ოპერატიულ სამსახურს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 09.02.2012წ. გადანყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება კომისიის №3534 ცნობის არაობიექტურობის შესახებ და აღნიშნა, რომ პირის პოლიციის ორგანოში სამსახურისათვის ვარგისიანობის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი მისი ჯანმრთელობაა, რომლის მდგომარეობასაც მოპასუხე სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ცენტრალური სამხედრო საექიმო კომისიის მეშვეობით ამოწმებს. კომისიამ შეამოწმა მოსარჩელის ჯანმრთელობა და დაადგინა, რომ იგი არ არის ვარგისი ოპერატიული საგუშაგო სამსახურისთვის. მოპასუხეს არ ჰქონდა უფლება ეჭვი შეეტანა სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს დასკვნის ნამდვილობაში. ნ. გ-ს ჰქონდა შესაძლებლობა სადავო გაეხადა და ემტკიცებინა კომისიის დასკვნის უსწორობა, მიუხედავად ამისა, მოსარჩელემ თავისი ოპერატიული საგუშაგო სამსახურისთვის ვარგისიანობა რაიმე მტკიცებულებით ვერ გაამყარა და მხოლოდ ზეპირი განმარტებებით შემოიფარგლა, შესაბამისად, ვერ შეძლო კომისიის დასკვნის საწინააღმდეგო მოსაზრების დამტკიცება. მოპასუხე, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო უფლებამოსილებების ეფექტური განხორციელებისა და სწორი მენეჯმენტის გათვალისწინებით, ვალდებული იყო ემსჯელა მოსარჩელესთან სამსახურეობრივი ურთიერთობის შეწყვეტაზე და მიეღო მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი გადანყვეტილება.

სასამართლომ არ გაიზიარა აგრეთვე მოსარჩელის მოსაზრება მისი სხვა სამსახურში გადაყვანის შესაძლებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ თუ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა ისე, რომ ის აღარ არის ვარგისი დაკავებულ თანამდებობაზე სამსახურის გასაგრძელებლად, პოლიციის ორგანო

არ არის ვალდებული იმსჯელოს მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესაძლებლობაზე. ადმინისტრაციულ ორგანოს, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლებამოსილია სხვა სამსახურში გადაყვანის შეთავაზების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება დაკავებული თანამდებობიდან პირის გათავისუფლების შესახებ, თუმცა ორგანო შეზღუდული არ არის მოახდინოს პირის სხვა თანამდებობაზე გადაყვანაც, აღნიშნული ორგანოს დისკრეციის სფეროს განეკუთვნება. საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელე სამსახურიდან განთავისუფლდა კანონიერად, საექიმო კომისიის დასკვნის საფუძველზე. შესაბამისად, არ არსებობს გათავისუფლების უკანონოდ მიჩნევის საფუძველი, რაც სასამართლოს აზრით, თავისმხრივ განაპირობებს სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების დაუსაბუთებლობას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 09.02.2012წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.03.2012წ. გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 09.02.2012წ. გადაწყვეტილება ნ. გ-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 200 ლარიდან 100 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად ჩათვლის ნაწილში და ნ. გ-ს დაუბრუნდა მის მიერ სს „ბანკ რესპუბლიკის“ ქუთაისის ფილიალში 06.01.2012 წ. გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 200 ლარიდან 100 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასებები და დამატებით აღნიშნა, რომ საკითხის სწორი გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია იმ საქმიანობის ფუნქციური განსაზღვრა, რასაც ნ. გ-ი ახორციელებდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე. ნ. გ-ზე, როგორც შს სამინისტროს ყოფილი ინსპექტორ-გამომძიებლის საქმიანობაზე, ვრცელდებოდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. აღნიშნული კანონებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სახელმწიფო ორგანოების სპეციალურ სამსახურებში მომუშავე პირებისაგან კანონმდებელი მოითხოვს მაღალ პასუხისმგებლობას, შესაბამის ჯანმრთელობას, მაღალ შრომისუნარიანობას, დავალების შესრულების სიზუს-

ტეს და მდგრად ემოციურ-ნებით რეგულაციას. აღნიშნული გარემოებების გარკვევა მნიშვნელოვანია, როგორც ასეთ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატის, ასევე უკვე მომუშავე მუშაკის შესაფასებლად, რათა ამ უფლებამოსილების განხორციელების პირობებში სამსახურებრივ საქმიანობასთან პირის შეუსაბამობამ არ გამოიწვიოს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაუსაბუთებელი ხელყოფა. პალატამ აღნიშნა, რომ სწორედ ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური და ამ სამსახურის შემადგენლობაში არსებული ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისია.

სააპელაციო პალატამ ნ. გ-ის ოპერატიული საგუშაგო სამსახურისთვის ვარგისიანობის დამადასტურებელ მტკიცებულებად არ მიიჩნია აპელანტის – ნ. გ-ის მიერ წარდგენილი შპს „...“ დასკვნა და აღნიშნა, რომ ცენტრის დასკვნა ემყარება არასწორ ინფორმაციას აპელანტის მშობლის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სამხედრო-საექიმო კომისიის დასკვნა მიუთითებს აფექტური და არა პათოლოგიური აშლილობის არსებობაზე. პალატამ განმარტა, რომ გუნება-განწყობის აფექტური აშლილობის დროს სწორი თერაპიული და სხვა შესაბამისი მკურნალობის შემთხვევაში შესაძლებელია პირის ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია და შრომითი ადაპტაცია, რაც უფრო გართულებულია ფსიქიკურ ფუნქციებში პათოლოგიური გადახრისას. გუნება-განწყობის აფექტური აშლილობის შემთხვევაში პირის სულიერი მღვლეობის, ძლიერი განცდის ფონზე და ამ მდგომარეობის შებრუნებითი ხასიათის გათვალისწინებითაც არსებობს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების უუნარობის რისკიც, რაზეც ჩატარებულ კვლევაში შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სამხედრო-საექიმო კომისიის ექსპერტებიც უთითებენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას კანონის მოთხოვნათა არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. ამასთანავე, პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი, რა ნაწილშიც შეცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.03.2012 წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-მა, რომელმაც აღნიშნული განჩინების გა-

უქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ დასაბუთების გარეშე არ გაიზიარა ნ. გ-ის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნა და არც თვითონ ის დასკვნა იქნა გამოკვლეული, რომლის საფუძველზეც კასატორი გათავისუფლდა სამსახურიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგინდებოდა, რომ კომისიის დასკვნა არასრული, არაზუსტი და არასარწმუნოა: კასატორმა სამედიცინო შემონმებისას არაერთი ტესტი ჩააბარა წარმატებით, რაზეც სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა. ამასთან, ექსპერტიზის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნის არსებობის პირობებში, მოსამართლეს თავად უნდა დაენიშნა ექსპერტიზა, რათა უზრუნველყო კომისიის სადავოდ გამხდარი დასკვნის ნამდვილობის შემონმება. სასამართლომ შეფასება არ მისცა იმას, რომ შემონმების აქტი იყო ხელმოუწერელი და დაუმონმებელი. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სამედიცინო შემონმების საფუძველი საერთოდ არ არსებობდა, იგი გახდა მისდამი დაუსაბუთებელი ნეგატიური დამოკიდებულების მსხვერპლი.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. მონინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრის საფუძველები არ ცნო და მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენისა და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

ნ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 05.12.2011 წ. №1515181 ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სადავო აქტით დგინდება, რომ კასატორის სამსახურიდან განთავისუფლება განხორციელდა „საქართველოს შსს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების მე-60 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც, შსს ორგანოს თანამშრომელი შეიძლება სამსახურიდან დაითხოვონ ავად-

მყოფობის გამო, თუ პირს აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება. ამდენად, სადავო ბრძანების მართლზომიერების დასადგენად, უპირველესად უნდა დადგინდეს ნ. გ-ის ავადმყოფობის ფაქტი, რომლის გამო შეუძლებელია სამსახურის გაგრძელება. ადმინისტრაციული ორგანო და ქვედა ინსტანციების სასამართლოები ავადმყოფობის ფაქტის დადგენისას დაეყრდნენ სსიპ საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ცენტრალური სამხედრო-საექიმო კომისიის 18.11.2011 წ. შემოწმების აქტის ამონაწერს, რომლის მიხედვითაც, ნ. გ-ს ახასიათებს რეალობიდან მოწყვეტა, ზოგადი პროდუქტიულობის დაქვეითება, ალქმის დარღვევები, აქვს მიდრეკილება მოვლენათა გადაჭარბებული დეტალიზაციისკენ, ახასიათებს აზროვნების არათანმიმდევრულობა, დაუსაბუთებელი დასკვნები და მტკიცებები, რომლებიც მოკლებულები არიან ლოგიკურ ხაზს, აზროვნებას აკლია სიმკვეთრე, აღენიშნება გადაჭარბებული ემოციურობა, არაგულახდილია, ცდილობს დამალოს თავისი ხასიათის დეფექტები და კონფლიქტები. შემოწმების აქტის თანახმად, ნ. გ-ს აქვს გუნება-განწყობის აფექტური აშლილობა F38, რის გამოც არ არის ვარგისი ოპერატიული საგუშაგო სამსახურისთვის და რეკომენდირებულია მისი ამბულატორიული მკურნალობა.

ხსენებული შემოწმების აქტის პარალელურად ქვედა ინსტანციების სასამართლოებში საქმის განხილვისას ნ. გ-ის მიერ წარმოდგენილ იქნა შპს „...“ 24.02.2012წ. ამბულატორიული ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური გამოკვლევის №5 დასკვნა, რომლის მიხედვითაც ნ. გ-ი ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტებსა და მოვლენებს ათარიღებს სწორად, ალქმის პათოლოგია ობიექტურად არ აღენიშნება, ბოდვით აზრებს არ გამოთქვამს, ყურადღება მობილიზებული აქვს, ძალუძს სააზროვნო ამოცანების არსებითი წვდომა და ლოგიკური განზოგადება, ასოციაციები თანმიმდევრული და შინაარსობრივად გასაგებია, ინტელექტი შეესაბამება მიღებულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას, ახასიათებს შინაგანი შფოთვის ელემენტები, თუმცა ემოციურად სტაბილურია. ამასთან, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ნ. გ-ი ფსიქიკური ავადმყოფობით დაავადებული არ არის, ფსიქიკურ ფუნქციებში რაიმე პათოლოგიური გადახრა არ აღენიშნება. ჩატარებული გამოკვლევით დადასტურებულ იქნა აგრეთვე, რომ ფსიქიკის მხრივ რაიმე დარღვევა არ არსებობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასება ხდება მათი



ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის საფუძველზე, რაც მტკიცებულებათა სწორი შეფასების აუცილებელი წინაპირობათაგანია. მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს ორი კრიტერიუმით: მათი სარწმუნოების თვალსაზრისით და, იმის მიხედვით, თუ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებს ესა თუ ის მტკიცებულება. სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასება გულისხმობს მტკიცებულებათა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ერთობლივ შეფასებას, მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ექსპერტის დასკვნის, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულების, შემოწმება და სათანადოდ შეფასება მტკიცების პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ექსპერტიზის კვალიფიციური, ობიექტური დასკვნა სასამართლოს მიერ დასაბუთებული და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაა, რაც თავის მხრივ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინებაა.

სამხედრო საქეიმო კომისიის შემოწმების აქტში მითითებულია, რომ რეკომენდირებულია პაციენტის ამბულატორული მკურნალობა, თავის მხრივ სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ გუნება-განწყობის აფექტური აშლილობის დროს სწორი თერაპიული და სხვა შესაბამისი მკურნალობის პირობებში შესაძლებელია პირის ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა ნ. გ-ის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლების დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 17.03.1997წ. №139 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების 52-ე მუხლის შესაბამისად, ავადმყოფობის გამო სამსახურიდან გათავისუფლებამდე მას უნდა მისცემოდა ავადმყოფობის გამო შვებულება, სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში შვებულებაში გაშვება ხდება სამხედრო-სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომლის არარსებობის გამოც, ნ. გ-ს სამსახურიდან განთავისუფლებამდე შვებულება არ მიეცემა. სააპელაციო სასამართლოს ხსენებული მოსაზრება დაუსაბუთებელია, რადგან კომისიის დასკვნა შეიცავს რეკომენდაციას ამბულატორიული მკურნალობის საჭიროების შესახებ, ამასთანავე, საქართველოს შს მინისტრის 05.03.2005წ. №192 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის წესდების პირველი მუხლის მიხედვით შსს ჯან-

მრთელობის დაცვის სამსახური ახორციელებს მიმაგრებული კონტინგენტის – შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა, მათი ოჯახის წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულების მსმენელთა სამედიცინო უზრუნველყოფას. ამდენად, სამხედრო-სამედიცინო კომისია, რომელიც შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის შემადგენელი ნაწილია (შს მინისტრის 05.03.2005წ. №192 ბრძანებით დამტკიცებული წესდების 3.1 მუხ.), ახდენს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას, ავადმყოფობის დადგენას და არა ავადმყოფობის გამო შვებულების მიცემის საჭიროების განსაზღვრას.

სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსთვის სავალდებულო არ არის და მისი უარყოფა ხდება სასამართლოს დასაბუთებული დასკვნის საფუძველზე. სააპელაციო პალატის მიერ შპს „...“ დასკვნის უარყოფის საფუძველები არ არის დამაჯერებელი. სააპელაციო პალატამ შპს „...“ დასკვნა უარყო იმის გამო, რომ მასში გარკვეული სახის უზუსტობაა დაშვებული კასატორის მშობლის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ აღნიშნა აგრეთვე, რომ ცენტრის დასკვნა უარყოფს ნ. გ-ის ფსიქიკურ ფუნქციებში პათოლოგიური გადახრის არსებობას, რომელსაც არც სამხედრო-საექიმო კომისიის შემომწმების აქტი ადასტურებს, ამ უკანასკნელით დადგენილია მხოლოდ გუნება-განწყობის აფექტური აშლილობა F38, რაც პათოლოგიური გადახრისაგან არსებითად განსხვავდება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული „...“ დასკვნა არამარტო ფსიქიკურ ფუნქციებში პათოლოგიურ გადახრას უარყოფს, არამედ ერთმნიშვნელოვნად უთითებს, რომ გამოკვლევით არ დასტურდება ფსიქიკის მხრივ რაიმე დარღვევის არსებობა. რაც შეეხება ცენტრის მითითებას მემკვიდრეობითი დატვირთვის არარსებობის შესახებ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ანალოგიურ დასკვნას შეიცავს აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული სამხედრო-საექიმო კომისიის დასკვნაც. ამასთან, დაუშვებელია ნ. გ-ის დედის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით არსებული უზუსტობის გამო ექსპერტიზის დასკვნის უარყოფა, რადგან მშობლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, არ არის ნ. გ-ის ფსიქიკური ჯანმრთელობის განსაზღვრისთვის გადამწყვეტი კრიტერიუმი.

საქმის მასალებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დას-

ტურდება, რომ სამხედრო-საექიმო კომისიის გამოკვლევაზე ნ. გ-ი წარდგენილი იყო ფსიქიატრიული შემონმების მიზნით. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ჩატარებული შემონმება არ პასუხობს ფსიქიატრიული გამოკვლევის ჩატარების დადგენილ სტანდარტს, კერძოდ, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლისა და „პირველადი ფსიქიატრიული გამოკვლევის ჩატარებისა და დასკვნის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.09.2007 წ. №285/ნ ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პირველადი ფსიქიატრიული გამოკვლევა ტარდება შესაბამის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება ნ. გ-ისთვის ფსიქიატრიული კვლევის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ჩატარების ფაქტი.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ კომისიის დასკვნა არ ესადაგება საქმის მასალებით დადგენილ გარემოებებს, კერძოდ, საქმეზე დადგენილია, რომ ნ. გ-ი 1998 წლიდან მსახურობდა შსს დაქვემდებარებაში მყოფ უწყებებში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2009 წლის 13 ნოემბრიდან 2011 წლის 5 დეკემბრამდე კასატორი დასაქმებული იყო უზნის ინსპექტორ-გამომძიებლად ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-... განყოფილებაში. დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებამდე (05.12.11წ.) მცირე ხნით ადრე ნ. გ-ს შინაგან საქმეთა მინისტრის 29.03.2011 წ. ბრძანებით მიენიჭა პოლიციის მაიორის სპეციალური წოდება. საქართველოს პრეზიდენტის 17.03.1997 წ. №139 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შსს ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“ დებულების (ძალადაკარგულად არის გამოცხადებული 2013 წლის 1 იანვრიდან საქართველოს პრეზიდენტის 28.12.12 წ. №1141 ბრძანებულებით) 31-ე მუხლის მიხედვით, ოფიცერი მორიგი წოდების მისანიჭებლად უნდა წარადგინოს მისმა უშუალო უფროსმა, ამასთან, მორიგი სპეციალური წოდება ოფიცრებს მიენიჭებათ დადებითი ატესტაციის, წოდებით სამსახურის ვადის გავლისა და დაკავებული თანამდებობის ზღვრული წოდების მისანიჭებელ წოდებასთან შესაბამისობის შემთხვევაში. ამდენად, დასტურდება, რომ ნ. გ-ი წოდების მიანიჭების დროისთვის პასუხობდა სამსახურებრივ მოთხოვნებს, შესაბამისად, მას არ ჰქონდა კონფლიქტური ურთიერთობა გარემომყოფებთან და მოქალაქეებთან, არ იმყოფებოდა აფექტურ მდგომარეობაში, ჰქონდა დადებითი სამსახურებრივი მაჩვენებლები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილ დასკვნებს შორის სახეზეა არსებითი ხასიათის ურთიერთწინააღმდეგობა. ნ. გ-ის შუამდგომლობის მიუხედავად არ იქნა დაკითხული კომისიის დასკვნის მომზადებაში მონაწილე პირები, დასკვნების ურთიერთწინააღმდეგობის და საკითხის გარკვევისთვის სპეციალური ცოდნის საჭიროების მიუხედავად სასამართლოს მიერ არ დანიშნულა განმეორებითი ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნის დაუსაბუთებლობის, წინააღმდეგობრიობის, არასარწმუნოობის ან მისი პროცედურული წესების დარღვევით ჩატარების შემთხვევაში ინიშნება განმეორებითი ექსპერტიზა, რომელიც ატარებს მაკონტროლებელ ხასიათს და ემსახურება იმ საფუძვლიანი ეჭვების აღმოფხვრას, რომლებიც უკვე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის სანდოობასთან დაკავშირებით ჩნდება. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს განმეორებითი ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ერთ-ერთი დანიშნულება პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის სათანადო პროფესიულ თვისებებთან შესაბამისობის დადგენაა. ამდენად, განმეორებითმა ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს ნ. გ-ის ფსიქიკური მდგომარეობის შესაბამისობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად არ იქნა გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. საკასაციო პალატა საჭიროდ თვლის საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, სსკ-ის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილ შემოწმებას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახალი განხილვისათვის უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარ-

და აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტის თანახმად გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის შესაბამისად არის საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.03.12წ. გადანყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 09.02.12წ. გადანყვეტილება. ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურიდან გათავისუფლება შტატების  
შემცირების გამო**

**ბანჩინება**

№ბს-301-292(2კ-13)

19 ნოემბერი, 2013 წელი ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების  
ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაც-  
დურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**მოსარჩელები:** თ. ზ-ი, გ. ბ-ე

**მოპასუხე:** საქართველოს მთავრობის კანცელარია

**სარჩელის სახე:** საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-  
ცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ  
სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

სარჩელის საგანი:

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012  
წლის 30 ნოემბრის №108 ბრძანების ბათილად ცნობა, თ. ზ-ის  
სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება;

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012  
წლის 30 ნოემბრის №109 ბრძანების ბათილად ცნობა, გ. ბ-ის  
სამსახურში აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძველი:

**ფაქტობრივი:** საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფ-  
როსის 2012 წლის 30 ნოემბრის №108 ბრძანებით თ. ზ-ი გათავი-  
სუფლდა საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარ-  
ტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის პირველი კა-  
ტეგორიის მრჩევლის თანამდებობიდან.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012  
წლის 30 ნოემბრის №109 ბრძანებით გ. ბ-ე გათავისუფლდა სა-  
გარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის  
საგარეო ურთიერთობათა სამსახურის პირველი კატეგორიის  
მრჩევლის თანამდებობიდან.

მოსარჩელებების განმარტებით, ზემოაღნიშნული ბრძანებები უკანონოა, ვინაიდან საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტს სახელი არა შეცვლია და მათ მიერ დაკავებულ პოზიციაზე შტატები არ შემცირებულა.

მოსარჩელებების მოსაზრებით, რეორგანიზაცია შტატების შემცირებით და პირის გაფრთხილება შესაძლო გათავისუფლებაზე არ გულისხმობს პირის ავტომატურ გათავისუფლებას დაკავებული თანამდებობიდან რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ და იგი პირდაპირ კავშირშია იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ან/და საშტატო ერთეულის გაუქმებასთან, რომელზეც საჯარო მოსამსახურე მუშაობდა. რაც იმას გულისხმობს, რომ რეორგანიზაციის ყველა ის საშტატო ერთეული უნდა გაუქმდეს, რომლიდანაც გათავისუფლდა საჯარო მოსამსახურე. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში არსებობს განსაზღვრული ფუნქციის მქონე სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომლიდანაც გათავისუფლდა საჯარო მოსამსახურე, მაგრამ ამავე ქვედანაყოფში რჩება საშტატო ერთეული, რომელიც ეკავა აღნიშნულ საჯარო მოსამსახურეს, მოსარჩელებების განმარტებით, გაუგებარია რა ნიშნით ან რა წესით მოხდა ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფში თანამშრომელთა შერჩევა/გადარჩევა.

**სამართლებრივი:** სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მოსარჩელებმა მიუთითეს „საჯარო მოსამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე, 127-ე, 112-ე მუხლებზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლებზე.

**მოპასუხე** – საქართველოს მთავრობის შესაგებელი:

**ფაქტობრივი:** მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელები გ. ბ-ე და თ. ზ-ი 2012 წლის 8 აგვისტოს №274 და №275 საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ბრძანებებით, დაინიშნენ საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის პირველი კატეგორიის მრჩევლებად.

2012 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს პრემიერ-მინისტრის №1502 ბრძანების „საქართველოს მთავრობის კანცელარიაში რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ შესაბამისად, საქართველოს მთავრობის კანცელარიას დაევალა განეხორციელებინა რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნული ბრძანების შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობის კან-

ცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის №577 ბრძანების პირველი პუნქტით განისაზღვრა, რომ 2012 წლის პირველ დეკემბრამდე უნდა განხორციელებულიყო საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეორგანიზაცია, რომელსაც შეესაძლოა მოჰყოლოდა შტატების შემცირება.

2012 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის კანცელარიის თანამშრომლები, მათ შორის, გ. ბ-ე და თ. ზ-ი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაფრთხილებულ იქნენ რეორგანიზაციის თაობაზე, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ.

მოპასუხის განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის №455 დადგენილებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 ივლისის №244 დადგენილების მე-3 მუხლში, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული ცვლილებით საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის ნაცვლად შეიქმნა საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა საგარეო ურთიერთობის სამსახური.

2012 წლის 30 ნოემბრის საქართველოს პრემიერ-მინისტრის №1590 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს მთავრობის კანცელარიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 9 ივლისის №1083 ბრძანება და დამტკიცდა ახალი საშტატო ნუსხა, რომლის შესაბამისად, საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის ნაცვლად შეიქმნა საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა საგარეო ურთიერთობის სამსახური და რომელშიც განისაზღვრა პირველი კატეგორიის მრჩევლისთვის ერთი საშტატო ერთეული, მაშინ როცა მოსარჩელეთა კანცელარიაში მუშაობის პერიოდში, საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურში პირველი კატეგორიის მრჩევლისათვის გამოყოფილი იყო 3 საშტატო ერთეული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის განმარტებით, უსაფუძვლოა მოსარჩელეთა მითითება, რომ მთავრობის კანცელარიაში რეორგანიზაციას და შტატების შემცირებას ადგი-



ლი არ ჰქონია, ამასთან, მოსარჩელებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის შესაბამისად, მიეცათ კომპენსაცია ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

**სამართლებრივი:** მოპასუხემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე, 97-ე 108-ე, 109-ე მუხლებზე, მოპასუხის განმარტებით, საქართველოს მთავრობის კანცელარია სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედებდა კანონის ზუსტი დაცვით, თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რის გამოც არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

#### **საქმის გარემოებები:**

მოსარჩელეთა განმარტებით, 2012 წლის 8 აგვისტოს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რეკომენდაციით მუშაობა დაიწყეს საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტში, საგარეო სამსახურის პირველი კატეგორიის მრჩეველებად.

მათ სამსახურებრივ ფუნქციას წარმოადგენდა საინფორმაციო სივრცის მონიტორინგი და ანალიზი, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ასევე დეპარტამენტში შესული ოფიციალური კორესპონდენციის თარგმნა. მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდნენ ხარისხიანად და კეთილსინდისიერად.

2012 წლის ოქტომბრის ბოლოს მთავრობის კანცელარიაში გამოცხადდა რეორგანიზაცია.

2012 წლის პირველ დეკემბერს ჩაბარდათ ბრძანებები სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, გათავისუფლების საფუძვლად მიითვებული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტი.

#### **საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით თ. ზ-ისა და გ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 8 აგვისტოს №274 ბრძანებით თ. ზ-ი დაინიშნა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მრჩეველად (I კატეგორია);

საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 8 აგვისტოს №275 ბრძანებით გ. ბ-ე დაინიშნა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მრჩეველად (I კატეგორია);

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 ივლისის №244 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულები იყო, საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატი, რეგიონალური მართვის დეპარტამენტი, საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტი, ადმინისტრაციული დეპარტამენტი, საზოგადოებრივი ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 9 ივლისის №1083 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის თანდართული საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები. აღნიშნული ბრძანების №3 დანართის თანახმად, საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საშტატო ერთეულის რაოდენობა განისაზღვრა 15 ერთეულით. ამასთან საგარეო ურთიერთობათა სამსახური ექვსი საშტატო ერთეულით, მათ შორის, მრჩეველის (I კატეგორია) – სამი საშტატო ერთეულით. ამავე დეპარტამენტში გათვალისწინებული იყო შემდეგი თანამდებობები: საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის – ერთი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის – ერთი, მთავარი სპეციალისტის (თანაშემწის) – ერთი და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამსახურის – ექვსი საშტატო ერთეული;

საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 29 ოქტომბრის №577 ბრძანების შესაბამისად, 2012 წლის პირველ დეკემბრამდე უნდა განხორციელებულიყო საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეორგანიზაცია, რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა შტატების შემცირება;

მითითებული ბრძანების საფუძველზე, თ. ზ-ი და გ. ბ-ე 2012 წლის 30 ოქტომბერს გაფრთხილებულ იქნენ საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეორგანიზაციის გამო (რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება) თანამდებობიდან შესაძლო განთავისუფლების შესახებ;

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის №455 დადგენილებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების დამტკიცების თაობაზე საქართვე-

ლოს მთავრობის 2012 წლის 6 ივლისის №244 დადგენილებაში, რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულებად განისაზღვრა: იურიდიული დეპარტამენტი, ადმინისტრაციული დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი;

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 30 ნოემბრის №1590 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის თანდართული საშტატო ნუსხა (დანართები №1-№7) და თანამდებობრივი სარგოები (დანართი №8). ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს მთავრობის კანცელარიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 9 ივლისის №1083 ბრძანება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 30 ნოემბრის №1590 ბრძანების №6 დანართის თანახმად, შეიქმნა საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი, რომლის საშტატო ერთეულის რაოდენობა განისაზღვრა 32 ერთეულით. ამავე დანართის მიხედვით, საგარეო ურთიერთობის სამსახურში განისაზღვრა ორი, მათ შორის, მრჩევლის (I კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული. ამავე დანართის თანახმად, გათვალისწინებულია დეპარტამენტის უფროსის ერთი, მთავარი სპეციალისტის – ერთი, სპიკერის – ერთი, სტრატეგიული დაგეგმარების სამსახურის – ექვსი, საზოგადოებასთან ურთიერთობის – ექვსი, ანალიტიკური სამსახურის – ოთხი, პრესსამსახურის – ხუთი, ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს – ექვსი საშტატო ერთეული.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 30 ნოემბრის №108 ბრძანებით თ. ზ-ი გათავისუფლდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მრჩევლის (I კატეგორია) თანამდებობიდან 2012 წლის 1 დეკემბრიდან შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე;

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 30 ნოემბრის №109 ბრძანებით გ. ბ-ე გათავისუფლდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მრჩევლის (I კატეგორია) თანამდებობიდან

2012 წლის 1 დეკემბრიდან შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე;

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 30 ნოემბრის №179 ბრძანებით დადგინდა რეორგანიზაციის შედეგად დაწესებულების შტატებით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირების საფუძველზე განთავისუფლებულ საჯარო მოხელეებზე კომპენსაციის – ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით გაცემა. აღნიშნული ბრძანების დანართის შესაბამისად, კომპენსაცია გაიცა თ. ზ-ზე და გ. ბ-ზეც.

#### **სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:**

სადავოა საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 30 ნოემბრის №108 და №109 ბრძანებების კანონიერების საკითხი.

#### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საჯარო სამსახურის – დაწესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 9 ივლისის №1083 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის კანცელარიის თანდართული საშტატო ნუსხისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 30 ნოემბრის №1590 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის კანცელარიის თანდართული საშტატო ნუსხის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის კანცელარიაში განხორციელდა რეორგანიზაცია, რასაც თან სდევდა შტატების შემცირება. საერთო ჯამში საქართველოს მთავრობის კანცელარიის საშტატო რაოდენობა შემცირდა 64 საშტატო ერთეულით. ამასთან, მართალია, საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი წინამორბედ დეპარტამენტთან შედარებით გაცილებით მეტი საშტატო ერთეულით დაკომპლექტდა, მაგრამ ნაცვლად საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტში რეორგანიზაციამდე განსაზღვრული ორი სამსახურისა, ახლად შექმნილ – საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტში დამატებით შევიდა ოთხი სამსახური. ნაცვლად საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012

ნლის 9 ივლისის №1083 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით განსაზღვრული საგარეო ურთიერთობათა სამსახურში გათვალისწინებული ექვსი საშტატო ერთეულისა (მათ შორის, მრჩეველი (I კატეგორია) 3 ერთეული), საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 30 ნოემბრის №1590 ბრძანებით დამტკიცდა საგარეო ურთიერთობების სამსახური მხოლოდ ორი საშტატო ერთეულით (მათ შორის, მრჩეველი (I კატეგორია) 1 ერთეული).

სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში იმ დეპარტამენტში, რომელშიც შედიოდა მოსარჩელეთა სამსახური – საგარეო ურთიერთობათა სამსახური, მოხდა სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილება, აღნიშნულმა ფაქტმა საერთო ჯამში, მართალია, გამოიწვია დეპარტამენტში შემავალ თანამდებობათა რიცხოვნობის გაზრდა, მაგრამ აღნიშნული მოხდა სხვა სამსახურების ამავე დეპარტამენტში გაერთიანების გამო. სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეთა განთავისუფლება არ მომხდარა დაწესებულების დაქვემდებარების შეცვლის გამო, იმ სამსახურში, რომელშიც დასაქმებული იყვნენ მოსარჩელები, მოხდა შტატების შემცირება, კერძოდ, მოსარჩელეთა მიერ დაკავებული თანამდებობა შემცირდა ორი ერთეულით და დარჩა მხოლოდ ერთი, რაც მითითებული ნორმების შესაბამისად, იძლევა თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელების მოსაზრება, რომ სამსახური ვალდებული იყო მოსარჩელეთათვის შეეთავაზებინა სხვა სამსახური, ან მათი განთავისუფლების შემთხვევაში დაესაბუთებინა, თუ რატომ არ იქნენ დატოვებული ისინი საგარეო ურთიერთობათა სამსახურში გათვალისწინებულ საშტატო ერთეულზე და განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 პუნქტი (რომელიც მოქმედებდა კანონში 2005 წლის 23 დეკემბერს ცვლილებების შეტანამდე), რომელიც ითვალისწინებდა მოხელის სამუშაოდან განთავისუფლების დაუშვებლობას, თუ იგი გამოთქვამდა სურვილს მისი საშტატო ერთეულის შემცირების მიუხედავად დაეკავებინა სხვა თანამდებობა, კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ამოღებულ იქნა და ადმინისტრაციული ორგანოს ამგვარ ვალდებულებას დღეს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი აღარ ითვალისწინებდა.

ამასთან საქალაქო სასამართლოს განმარტებით, რეორგანიზაციის დროს შტატების შემცირების გამო მოხელეთა სამსახურიდან განთავისუფლების მომენტში ადმინისტრაციული ორგა-

ნოს მიერ განხორციელებულ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით, დარჩენილ საშტატო ერთეულზე მათი უპირატესი დატოვების შესაძლებლობას მოსარჩელები ვერ ასაბუთებენ. მოსარჩელები მიუთითებენ, მხოლოდ იმაზე, რომ ისინი დაკისრებულ ვალდებულებებს ასრულებდნენ სათანადოდ და კეთილსინდისიერად.

რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელებმა ვერ შეძლეს საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 30 ნოემბრის №108 და №109 ბრძანებების ბათილად ცნობისათვის საჭირო არგუმენტების წარმოდგენა, სასამართლო მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, იმჯგუხვად სამსახურში აღდგენასა და იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

**აპელანტები:** თ. ზ-ი, გ. ბ-ე,

**მონინააღმდეგე მხარე** – საქართველოს მთავრობის კანცელარია,

**აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

**აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტის განმარტებით, სასამართლომ დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებად ჩათვალია, რომ თ. ზ-ისა და გ. ბ-ის გათავისუფლება განხორციელდა სახელმწიფო კანცელარიაში, კერძოდ, საზოგადოებასთან და საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტში მიმდინარე რეორგანიზაციის საფუძველზე, შტატების შემცირების გამო, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. შტატების შემცირება რეალურად არ მომხდარა, კერძოდ, რეორგანიზაციამდე თ. ზ-ი და გ. ბ-ე მუშაობდნენ საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტში, საგარეო ურთიერთობის სამსახურის მრჩეველად (პირველი კატეგორია). აღნიშნული დეპარტამენტის საშტატო განრიგი 2012 წლის 9 ივლისის საქართველოს პრემიერ-მინისტრის №108 ბრძანებით განისაზღვრებოდა 15 საშტატო ერთეულით. რეორგანიზაციის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 30 ნოემბრის №1590 ბრძანებით შემოაღნიშნულ დეპარტამენტს დაერქვა საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი და განისაზღვრა 32 საშტატო ერთეულით (აღნიშნულ დეპარტამენტში შესულია ასევე ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ფუნქციურად სრულიად სხვა

სამსახურია).

„საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 ივლისის №244 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულია მთავრობის კანცელარიის მხოლოდ ძირითადი ფუნქციები, ასევე მთავრობის კანცელარიის სტრუქტურა, მაგრამ არ არის გათვალისწინებული სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მასში შემავალი ერთეულების ფუნქციები, მოვალეობები, ამოცანები, რომლითაც გარკვეული იქნებოდა თუ რა ფუნქციური ცვლილებები განხორციელდა დღეს მოქმედ დეპარტამენტსა და არსებულს შორის, გარდა სახელწოდების შეცვლისა.

აპელანტების განმარტებით, მთავრობის კანცელარიის დებულებით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციების თანახმად, რეორგანიზაციამდე არსებულ საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტსა და დღეის მდგომარეობით არსებულ საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტს გააჩნიათ ფაქტობრივად იდენტური ფუნქციები. ამასთან შტატით გათვალისწინებული თანამდებობები დეპარტამენტში შემცირების ნაცვლად გაიზარდა.

„საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულება ითვალისწინებს საჯარო თანამდებობათა რეესტრს და არა კატეგორიებს. მოსარჩელეთა თანამდებობა იყო მრჩეველი და არა პირველი კატეგორია. აპელანტების მითითებით, ფუნქციურად ზემოაღნიშნულ დეპარტამენტში არაფერი შეცვლილა და მრჩევლის შტატები გაზრდილია, ცვლილება განიცადა მხოლოდ დეპარტამენტის დასახელებამ და დეპარტამენტში შევიდა ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ფუნქციურად სრულიად სხვა სამსახურია.

აპელანტების მოსაზრებით, სასამართლო არ მსჯელობს იმის შესახებ, მოცემულ შემთხვევაში დაირღვა თუ არა აპელანტებთან მიმართებაში მთავრობის აპარატის თანამდებობის პირების მიერ მათზე მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება. 2012 წლის 18 ოქტომბრის შემდეგ სახელმწიფო კანცელარიაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშნულ იქნენ ახალი პირები, რომლებსაც დაევალათ რეორგანიზაციის ჩატარება. 29 ოქტომბერს გამოცხადდა რეორგანიზაცია. ახალი თანამდებობის პირები არ იცნობდნენ ძველ თანამშრომლებს და არც სურვილი გასჩენიათ მათთან შეხვედრისა და გასაუბრების, არათუ მათი პროფესიული უნარ-ჩვევების გაცნობის, რითაც ცალსა-

ხად გადაამეტეს დისკრეციის ფარგლებში მინიჭებული უფლებამოსილება.

აპელანტების განმარტებით, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუყენებია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით ადმინისტრაციულ ორგანოსათვის მინიჭებული უფლება და არ შეუმომწებია მათი პროფესიული ჩვევები, კვალიფიკაცია, შრომის დისციპლინა და ა.შ.

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების /სარეზოლუციო/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით თ. ზ-ისა და გ. ბ-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; რომლითაც თ. ზ-ისა და გ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2012 წლის 30 ნოემბრის №108 და №109 ბრძანებები; მოპასუხე – საქართველოს მთავრობის კანცელარიას დაევალა მოსარჩელების საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა; მოსარჩელებს უარი ეთქვათ სამსახურში აღდგენაზე; მოპასუხეს, საქართველოს მთავრობის კანცელარიას დაევალა გადაწყვიტოს მოსარჩელებისათვის იძულებით განაცდურის ანაზღაურების საკითხი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლით, ასევე 127-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესების დაცვით.

### **გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების არ გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოხდა რა შტატების შემცირება მთლიანად მთელი კანცელარიის მასშტაბით და მათ შორის – კანცელარიის ერთ-ერთ სტრუქტურულ ქვეერთეულში (საგარეო ურთიერთობების სამსახურში), საქართველოს მთავრობის კანცელარია დადგა არჩევანის წინაშე, ანუ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოეშვა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება; საქმის მასალებით დადგენილია, რომ რეორგანიზაციამდე, ანუ 2012 წლის 1 დეკემბრამდე საქართველოს



მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულში – საგარეო ურთიერთობათა სამსახურში არსებობდა ექვსი სამტატო ერთეული, მათ შორის, სამსახურის უფროსი – 1 სამტატო ერთეული, მრჩეველი (I კატეგორია) – სამი სამტატო ერთეული, მთავარი სპეციალისტი – 1 სამტატო ერთეული, წამყვანი სპეციალისტი – ერთი სამტატო ერთეული. რეორგანიზაციის შემდგომ ჩამოყალიბებულ სტრუქტურულ ერთეულში – საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტში გათვალისწინებულ იქნა იგივე სტრუქტურული ქვეერთეული – საგარეო ურთიერთობის სამსახური შემდეგი სამტატო რიცხოვნებით – სამსახურის უფროსი – ერთი შტატი, მრჩეველი (1-ლი კატეგორია) – 1 შტატი, ანუ სულ 2 სამტატო ერთეული;

დადგენილია, რომ რეორგანიზაციის მომენტისთვის საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულში – საგარეო ურთიერთობათა სამსახურში მრჩეველის (I კატეგორია) სამი სამტატო ერთეულიდან ერთ შტატს იკავებდა თ. ზ-ი, მეორეს – გ. ბ-ე, ხოლო მესამე შტატი იყო ვაკანტური, თავისუფალი; (თუმცა, პალატა აქვე აღნიშნავს, რომ მესამე შტატის ვაკანტურობა არსებითად გავლენას ვერ ახდენს დავის გადაწყვეტაზე) სააპელაციო პალატის გაანმარტებით, მრჩეველის (I კატეგორია) სამი სამტატო ერთეულის ერთ სამტატო ერთეულამდე შემცირების პირობებში მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა უფლება, ორივე საჯარო მოხელე – თ. ზ-ი და გ. ბ-ე უპირობოდ გაენთავისუფლებია დაკავებული თანამდებობებიდან; მრჩეველის (I კატეგორია) ერთი სამტატო ერთეულის შენარჩუნების პირობებში მოპასუხე, სულ მცირე, ვალდებული იყო, გამოერკვია, დაედგინა და შესაბამისად, არჩევანის გაკეთების გზით გადაეწყვიტა, რომელ მოხელეს გაათავისუფლებდა სამსახურიდან და რომელს დატოვებდა სამსახურში ახალი სამტატო ნუსხით გათვალისწინებულ იმ ერთ თანამდებობაზე.

მოსარჩევეების სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი იყო ის საქართველოს მთავრობის კანცელარიაში განხორციელებული რეორგანიზაცია, რასაც თან ახლდა შტატების შემცირება, მაგრამ არა შტატების მთლიანად გაუქმება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხეს შესაბამისი სახის, შინაარსისა და მოცულობის ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით უნდა გამოერკვია რეორგანიზაციის მომენტში კანცელარიაში და-

საქმებული საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, პროფესიული უნარ-ჩვევები, წარსულში (რეორგანიზაციამდე) თითოეული მათგანის დამოკიდებულება შრომის დისციპლინისადმი და მხოლოდ ყველა ამ მონაცემის ურთიერთშედარების და ანალიზის პირობებში უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით მიეღო გადაწყვეტილება ცალკეულ მოხელეთა განთავისუფლების და ცალკეული, ანუ სხვა მოხელეებთან შედარებით უკეთესი მონაცემებისა და კონკრეტული უპირატესობების მქონე მოხელეების სამსახურში დატოვების თაობაზე;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო მოსარჩელეთა შრომითი მონეობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას არ უნდა შემოიფარგლოს მარტოდენ ერთი სტრუქტურული ერთეულის (საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის, ამჟამად – საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტის) შიგნით არსებული მხოლოდ ერთი ქვესტრუქტურული ერთეულის – საგარეო ურთიერთობის სამსახურის ძველი და ახალი სამტატო ერთეულების რიცხოვნებისა და ფუნქციურ-შინაარსობრივი დატვირთვის შესახებ საკითხების გამოკვევით; მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, რომ არჩევანის გასაკეთებლად, ანუ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მისაღებად, მოხელეთა უპირატესობების გამოვლენის მიზნით ჩაატაროს სხვა საჯარო მოხელეებისა და მოსარჩელების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შედარებითი (ანალიტიკური) კვლევა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თუ რეორგანიზებულ სამსახურში – საქართველოს მთავრობის კანცელარიაში არსებობს ისეთი შტატები, რომლებთან დაკავშირებულ შრომით მოვალეობებსაც სრულად გაართმევენ თავს მოსარჩელები, დაუშვებელია, რომ მოპასუხემ რეორგანიზაციის თანმხლები მხოლოდ ფორმალური ელემენტების გათვალისწინებით, სადავო საკითხების შინაარსობრივი გამოკვლევის გარეშე, უარი თქვას მოსარჩელების სამსახურში უპირატესად დატოვების, ან პირიქით – მოსარჩელების მოტივირებულად, დასაბუთებულად დათხოვნის შესაძლებლობაზე.

სააპელაციო პალატის შეფასებით, არამართებულია საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ მოსარჩელებმა უნდა დაასაბუთონ დარჩენილ სამტატო ერთეულზე მათი უპირატესად დატოვების შესაძლებლობა და განმარტა, რომ იმ პირობებში,

როდესაც თავად ადმინისტრაციული ორგანო, მიუხედავად ვალდებულებისა, არ მოქმედებს დისკრეციის ფარგლებში, ანუ არ იღებს გადაწყვეტილებას არჩევანის გზით. შესაბამისად, არ იკვლევს საქმესთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ფაქტს და გარემოებას, მიუხედავად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლებით, 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით დაკისრებული მოვალეობებისა, საერთოდ არ ასაბუთებს თავის ადმინისტრაციულ აქტებს, დაუშვებელია, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტების ადრესატებს – მოსარჩელებს სასამართლოში მტკიცების ტვირთის ზიდვის ფარგლებში მოეთხოვოთ ბუნებაში არარსებული დასკვნების და არგუმენტების, გამოუკვლეველი ფაქტებისა და გარემოებების უარყოფა, გაბათილება, საწინააღმდეგოს დადასტურება; მოსარჩელები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდნენ ვალდებულნი, ემტკიცებინათ სამსახურში მათი უპირატესად დატოვების შესაძლებლობა, თუკი სადავო ადმინისტრაციული აქტები იქნებოდა დასაბუთებული, მოტივირებული, აქტებში გამოსახულ გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედებოდა გამოკვლეული ფაქტები და გარემოებები;

რაც შეეხება სამსახურში აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნებს, ამასთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე, 127-ე მუხლებზე და განმარტავს, რომ, ვინაიდან სასამართლომ საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2012 წლის 30 ნოემბრის №108 და №109 ბრძანებები ბათილად ცნო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება მოსარჩელების კონკრეტულ თანამდებობებზე აღდგენისა და ამ აღდგენის თანმდევი იძულებით განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

**კასატორი** – საქართველოს მთავრობის კანცელარია

**მონინალმდევე მხარეები** – თ. ზ-ი; გ. ბ-ე

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

**კასაციის მოტივები:**

**პროცესუალური:** სააპელაციო სასამართლომ მიუხედავად იმისა, რომ სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოე-

ბები, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ და გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებია, თუმცა არასწორად განმარტა იგი.

**მატერიალური:** „საქართველოს მთავრობის კანცელარიაში რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2012 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს პრემიერ-მინისტრის №1502 ბრძანებით, საქართველოს მთავრობის კანცელარიას დაევალა განეხორციელებინა რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები. აღნიშნული ბრძანების შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის №577 ბრძანების პირველი პუნქტით განისაზღვრა, რომ 2012 წლის პირველ დეკემბრამდე უნდა განხორციელებულიყო საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეორგანიზაცია, რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა შტატების შემცირება.

2012 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის კანცელარიის თანამშრომლები, მათ შორის, გ. ბ-ე და თ. ზ-ი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაფრთხილებულ იქნენ რეორგანიზაციის თაობაზე, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, თანამდებობიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ.

2012 წლის 30 ნოემბრის საქართველოს პრემიერ-მინისტრის №1590 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს მთავრობის კანცელარიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 9 ივლისის №1083 ბრძანება და დამტკიცდა ახალი საშტატო ნუსხა, რომლის შესაბამისად, საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის ნაცვლად შეიქმნა საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა საგარეო ურთიერთობის სამსახური და რომელშიც განისაზღვრა პირველი კატეგორიის მრჩევლისთვის ერთი საშტატო ერთეული, მაშინ როცა მოსარჩელეთა კანცელარიაში მუშაობის პერიოდში, საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურში პირველი კატეგორიის მრჩევლისათვის გამოყოფილი იყო 3 საშტატო ერთეული, შესაბამისად, დადასტურებულია, რომ შტატების შემცირებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებას, კასატორის განმარტე-

ბით, სასამართლო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ მათ კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე და არა მათ მიზანშეწონილობაზე. ასევე კასატორის განმარტებით, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე ვალდებული იყო საკითხის გადაწყვეტისას, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, მოხელეთა უპირატესობის გამოვლენის მიზნით ჩაეტარებინა სხვა საჯარო მოხელეებისა და მოსარჩევეების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შედარებითი კვლევა და გამოერკვია მთლიანად საქართველოს მთავრობის კანცელარიაში ხომ არ არსებობდა მსგავსი თანამდებობის ფუნქციური როლისა და დატვირთვის მატარებელი სხვა შტატები, რასაც მოსარჩევეები თავს გაართმევდნენ, ვინაიდან აღნიშნული შესაძლებელი იქნებოდა იმ პირობებში გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან თუ საგარეო ურთიერთობათა სამსახური არ იარსებებდა და მისი ფუნქციები გადაეცემოდა სხვა სამსახურს. კონკრეტულ შემთხვევაში კი საგარეო ურთიერთობათა სამსახური იმავე ფუნქციებით არსებობს, თუმცა შემცირებული შტატებით.

**კასატორები:** თ. ზ-ი, გ. ბ-ე

**მონინალმდევე მხარე:** საქართველოს მთავრობის კანცელარია

**კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების ნაწილობრივ, კერძოდ, სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების ნაწილში გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

კასატორი საკასაციო საჩივარს აფუძნებდა ძირითადად იმავე ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე, რაზეც მიუთითებდა სასარჩელო და სააპელაციო საჩივრებში და დამატებით მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს შეეძლო თავად მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩევეების სამუშაოზე აღდგენის თაობაზე.

**საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:**

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიის, თ. ზ-ისა და გ. ბ-ის საკასაციო საჩივრები დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხ-

ლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და ისინი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც პროცესუალური კასაცია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თ. ზ-ის, გ. ბ-ისა და საქართველოს მთავრობის კანცელარიის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს; უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივრის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 „გ“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების გადამოწმების შედეგად მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის განხილვა-გადაწყვეტისას არ არის დაშვებული იმგვარი საპროცესო-სამართლებრივი დარღვევა, რომელსაც შესაძლოა გამოენვია საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენა, სასამართლომ სწორად შეუფარდა ნორმა სადავო სამართალურთიერთობას და არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლეული და დადგენილია კანონშესაბამისად, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, რადგან წარმოდგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 8 აგვისტოს №274 ბრძანებით თ. ზ-ი დაინიშნა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მრჩეველად (I კატეგორია).

საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 8 აგვისტოს №275 ბრძანებით გ. ბ-ე დაინიშნა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მრჩეველად (I კატეგორია).

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012

წლის 30 ნოემბრის №109 ბრძანებით გ. ბ-ე გათავისუფლდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მრჩეველის (I კატეგორია) თანამდებობიდან 2012 წლის 1 დეკემბრიდან შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 30 ნოემბრის №108 ბრძანებით თ. ზ-ი გათავისუფლდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის მრჩეველის (I კატეგორია) თანამდებობიდან 2012 წლის 1 დეკემბრიდან შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2012 წლის 30 ნოემბრის №179 ბრძანებით დადგინდა რეორგანიზაციის შედეგად დაწესებულების შტატებით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირების საფუძველზე განთავისუფლებულ საჯარო მოხელეებზე კომპენსაციის – ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით გაცემა. აღნიშნული ბრძანების დანართის შესაბამისად, კომპენსაციის გაცემა დადგინდა თ. ზ-სა და გ. ბ-ეზეც.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის 2012 წლის 29 ოქტომბრის №577 ბრძანების, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის №455 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეორგანიზაცია, რომელსაც თან ახლდა შტატების შემცირება; კერძოდ, დადგენილია, რომ რეორგანიზაციამდე (ანუ 2012 წლის 1 დეკემბრამდე) საქართველოს მთავრობის კანცელარიაში იყო სულ – 214 საშტატო ერთეული, რეორგანიზაციის შედეგად კანცელარიის შტატების რაოდენობა განისაზღვრა – 150 საშტატო ერთეულით (ანუ შტატების რიცხოვნება შემცირდა 64 საშტატო ერთეულით). საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის №455 დადგენილებით შეიცვალა საქართველოს მთავრობის კანცელარიის შინაგანი სტრუქტურა, კანცელარიის შიგნით შეიქმნა (გარდაიქმნა, ჩამო-

აყალიბდა) შესაბამისი საშტატო ერთეულების მქონე ახალი სტრუქტურული ერთეულები (დეპარტამენტები, დეპარტამენტების შიგნით – სამსახურები და სამმართველოები).

კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩევეები მუშაობდნენ საგარეო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულში – საგარეო ურთიერთობათა სამსახურში, რომელშიც რეორგანიზაციამდე არსებობდა ექვსი საშტატო ერთეული, მათ შორის, სამსახურის უფროსი – 1 საშტატო ერთეული, მრჩეველის (I კატეგორია) სამი საშტატო ერთეული, მთავარი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული, წამყვანი სპეციალისტი – ერთი საშტატო ერთეული. რეორგანიზაციის შემდგომ შეიქმნა საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი და მასში შევიდა იგივე სტრუქტურული ქვეერთეული – საგარეო ურთიერთობის სამსახური შემდეგი საშტატო რიცხოვნებით: სამსახურის უფროსი – ერთი შტატი, მრჩეველი (1-ლი კატეგორია) – 1 შტატი, ანუ სულ 2 საშტატო ერთეული.

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალებიდან და საქართველოს მთავრობის კანცელარიის საკასაციო საჩივრიდან გამომდინარე დადგენილად მიაჩნია, რომ ადგილი ჰქონდა რეორგანიზაციას, რომელსაც მოჰყვა შტატების შემცირება, მაგრამ ვერ გაიზარებს მთავრობის საკასაციო საჩივრის მოტივს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის შეფასებასთან დაკავშირებით და აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბრძანებები თ. ზ-ისა და გ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეწყდა შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობა მოსარჩევეებსა და საქართველოს მთავრობის კანცელარიას შორის. სადავო აქტებში ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია: „შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე“.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალების თანახმად ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გაათავისუფლა შტატების შემცირების მოტივით მოსარჩევეები, რომ არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, ადმინისტრაციამ ცალმხრივი ნების გამოვლენით ყოველ-



გვარი დასაბუთების გარეშე შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა მოხელესთან, ამასთან, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე, რაც სრულიად კანონსაწინააღმდეგოა, რამდენადაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი ნაწარმოებები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, სწორედ რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე, ანუ სწორედ კონკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებები განსაზღვრავს გადაწყვეტილების იურიდიულ შედეგს და არა პირიქით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოფა დაკარგავს უზრუნველყოფადობას, სტაბილურობას, გარანტირებულობას, დაირღვევა სამართლის ნორმის და ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნდობის პრინციპი, სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, ხოლო ასეთ პირობებში, მყარი სამართლებრივი წესრიგის ადგილს დაიკავენ მმართველობითი ორგანოს სახელისუფლო

ძალაზე დამყარებული თვითნებობა, მაშინ როცა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, შესაბამისად, სახელმწიფოსადმი ნდობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოება, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. გარდა აღნიშნულისა, გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით, მას უნდა შეეძლოს იცოდეს რა არგუმენტებით უნდა დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია. აგრეთვე, დასაბუთებული აქტის გამოცემა ადვილებს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს, უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი – უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საქართველოს მთავრობის კანცელარიის მოსაზრებას, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ საკასაციო სასამართლო მართალია ადასტურებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციისათვის მინიჭებულ შესაძლებლობას შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების პროცესში მოახდინოს ცალკეულ თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნა, მაგრამ აქვე მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანაზომიერებისა და კანონიერების პრინციპის უგულვებელყოფას. ადმინისტრაციული ორგანოს თავისუფალი მოქმედების სფერო შეზღუდულია კანონით და მთავრდება იქ, სადაც იწყება კანონით დადგენილი შეზღუდვები.

შრომის კონსტიტუციურ უფლებას სოციალურ ხასიათთან ერთად გააჩნია კლასიკური უფლების მნიშვნელობა, რომლის დანიშნულებაც გამოიხატება იმაში, რომ პირს ეძლევა უფლება დაიცვას თავი სახელმწიფოს უკანონო ჩარევისაგან. იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო სასამართლო გაიზიარებს საკასაციო სა-

ჩივრის მოტივაციას ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის, როგორც განუსაზღვრელი უფლების თაობაზე, ამ შემთხვევაში შრომის უფლება, ისევე როგორც პირის უფლება – დაიცვას თავი, იძენს ფიქტიურ შინაარსს და გამოდის სასამართლო კონტროლის ფარგლებიდან.

სამართლის ნორმა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას რამდენიმე სასურველი გადაწყვეტილებიდან მიიღოს ერთ-ერთი, როგორც ქცევის ზოგადი წესი, განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებას განსაზღვრული ურთიერთობა დაარეგულიროს თანასწორობის პრინციპის დაცვით. რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი პირის სამართლებრივი მდგომარეობა არ შეიძლება გადაწყდეს მეორე პირის სამართლებრივი მდგომარეობისაგან განსხვავებულად იმ ვითარებაში, როდესაც მათ შორის არსებული განსხვავება ვერ ამართლებს დადგენილ უთანასწორობას. ერთი და იგივე ნორმა სხვადასხვა პირთან მიმართებაში სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გამოყენებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებული განსხვავება იძლევა ამ უთანასწორობის დასაბუთების შესაძლებლობას.

საქართველოს მთავრობის კანცელარია მოსარჩელებთან – თ. ზ-თან და გ. ბ-ესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პირობებში, აქტის გამოცემის შემთხვევაშიც, შეზღუდული იყო კანონის მოთხოვნის ფარგლებით, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამასთან საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 7.2 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი დაწესებულებაში შტატების შემცირების პირობებში, ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს მნიშვნელოვან-

ნია არა მხოლოდ კონკრეტული საჯარო მოხელის, არამედ მთლიანად საჯარო სამსახურისათვის. სწორედ ამგვარი ობიექტური შერჩევა განაპირობებს საჯარო სამსახურის სტაბილურ, კვალიფიციურ და ეფექტიან მუშაობას, რაც ბიუროკრატიისადმი ნდობის ხარისხს და ავტორიტეტის უნდა განაპირობებდეს.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის პრეამბულის საფუძველზე განმარტავს, რომ ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

საკასაციო სასამართლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე განმარტავს, რომ კანონის მე-13 მუხლით განისაზღვრა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელთა სულისკვეთებით და გათვალისწინებით საქართველოს სახელმწიფოში უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები; ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. სამოხელეო სამართალი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და შესაბამისად სრულად იზიარებს კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას საჯარო-შრომით ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნული პრინციპი ბოჭავს გადაწყვეტილების მიმღებ საჯარო მოსამსახურეებს (მათ შორის თანამდებობის პირებს) მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით, ამავე კანონის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარებულია საჯარო მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საჯარო მოხელის სამართლებრივი დაცვის პრინციპი წარმოადგენს მისი უფლების დაცვის გარანტიას, რომ მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი ინსტრუმენტებით და კანონის საფუძველზე განხორციელდება.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი აღჭურავს მოხელეს იმ უფლებებით და შეღავათებით, რაც ამ კანონით არის დადგენილი. ასევე აღნიშნული კანონი ადგენს განსაკუთრებულ უფლებებს მოხელის მიმართ, რომ ის განსხვავებით კერძო სექტორში მომუშავე მოსამსახურისაგან, საჯარო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში სწორედ ამ საჯარო სამართლებრივი

ნორმატიული აქტით იქნება დაცული, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით იქნება განხილული როგორც მისი შრომითი მოწყობის, დანიშნულების, აგრეთვე მისი გათავისუფლების საკითხიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ გასაჩივრებული აქტებით მოხდა მოსარჩელების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების (კერძოდ, შრომითი საქმიანობის სტაბილურად, უწყვეტად განხორციელების, ადეკვატური გასამრჯელოს მიღების უფლებების, პროფესიული უნარ-ჩვევების შექმნა-განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლების და ა.შ. ინტერესების) შეზღუდვა, იმისთვის, რომ შემომდგეს შეზღუდვის კანონიერება იგი უნდა იყოს დასაბუთებული და შესაბამისად, კანონშესაბამისი. დასაბუთების ფაქტორი გადაწყვეტ როლს თამაშობს ასევე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული აქტის კანონიერების შემოწმებისას, ვინაიდან, დასაბუთება იძლევა ამ აქტში გამოხატული ადმინისტრაციული ორგანოს შემზღუდველი ხასიათის გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობის შემოწმების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, იმასთან მიმართებაში, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიაში განხორციელდა რეორგანიზაცია, რასაც თან ახლდა შტატების შემცირება, მაგრამ არა მთლიანად გაუქმება, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მთავრობის კანცელარიას უნდა ჩაეტარებინა შესაბამისი სახის ადმინისტრაციული წარმოება და გამოეკვლია რეორგანიზაციის მომენტში კანცელარიაში დასაქმებული საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, პროფესიული უნარ-ჩვევები და ა.შ. მით უფრო იმ ვითარებაში, როცა კანონმდებელი საჯარო სამსახურის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად მოსამსახურეთა პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის „ე“ პუნქტი) აღიარებს, ადმინისტრაციის მხრიდან ასეთის გაუთვალისწინებლობა საჯარო სამსახურის არსის, საჯარო ვალდებულებისა და მთლიანად საჯარო ინტერესის გაუთვითცნობიერებლობის და არაკომპეტენტური მართვის ნიშანია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო შეფასებით სადავო ბრძანებები გამოცემულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს საქმის ფაქტობრივი გარე-

მოებები არ იქნა მოკვლეული ჯეროვნად, შესაბამისად, სამსახურებრივი მოკვლევა ჩატარებულია არასრულყოფილად. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება თ. ზ-ისა და გ. ბ-ის საქმიანობასა და უნარჩვევებთან დაკავშირებით. გაურკვეველია, იქნა თუ არა მოკვლეული საქმის მასალები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ასრულებდნენ თუ არა მოსარჩელები სამსახურებრივ მოვალეობას კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად, მისცა თუ არა ობიექტური შეფასება ადმინისტრაციულმა ორგანომ მოხელეების გათავისუფლებისას მისი პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის ხარისხს შტატების შემცირების მომენტში.

რაც შეეხება თ. ზ-ისა და გ. ბ-ის საკასაციო საჩივარს, რომლითაც იგი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში, საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად არის ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს მთავრობის კანცელარიას დაევალა გამოიკვილოს და შეაფასოს თ. ზ-თან და გ. ბ-ესთან დაკავშირებით ფაქტები და გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები, საკასაციო სასამართლომ შეამოწმა რა მთავრობის საკასაციო საჩივრის საფუძველზე, მიიჩნია დასაბუთებულად და კანონშესაბამისად, შესაბამისად არ არსებობს მოსარჩელეთა საკასაციო საჩივრისა და სარჩელის სრულად დაკმაყოფილების ობიექტური წინაპირობები, სადავო საკითხის გადასაწყვეტად მოჰასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთებული და ფაქტობრივი გარემოებების ობიექტური გარკვევის გარეშე შეუძლებელია დავის არსებითად გადაწყვეტა, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შტატების შემცირებით რეორგანიზაციის ფაქტი, რაც გაზიარებულია საკასაციო სასამართლოს მიერ. ამდენად, სარჩელის არსებითად დაკმაყოფილების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები სახეზე არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი შეფასება მისცეს საქმის მასალებს, სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმატიულ ბაზას და კანონიერად და ობიექტურად გა-

დანყვეტეს დავა, შესაბამისად, არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები.

ამასთან, სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხე – საქართველოს მთავრობის კანცელარიას უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის, ხოლო თ. ზ-სა და გ. ბ-ეს თითოეულს 50-50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე და 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ზ-ის, გ. ბ-ისა და საქართველოს მთავრობის კანცელარიის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება;

3. კასატორებს თ. ზ-სა და გ. ბ-ეს დაეკისროთ სასამართლო ხარჯების სახით თითოეულს 50-50 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

4. საქართველოს მთავრობის კანცელარიას დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სამსახურიდან გათავისუფლება ასაკის გამო

## გადანყვიბილება საქართველოს სახელით

№ბს-518-500(2კ-კს-13)

30 იანვარი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და  
იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 7 მარტს თ. ფ-მა, ტ. ჩ-მა, ა. (ჯ.) ო-მა, შ. ჯ-მა, მ. ზ-  
მა, ს. ტ-მა, მ. ხ-მა, მ. ბ-ემ, ზ. ო-მა, გ. ქ-მა და ა. ბ-მა სასარჩელო  
განცხადებით მიმართა ცაგერის რაიონულ სასამართლოს, მო-  
პასუხის – ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ.

მოსარჩელებმა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის:

1. 2013 წლის 13 თებერვლის №2პ-065; 2. 2013 წლის 18 თებერ-  
ვლის №2პ-079; 3. 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-080; 4. 2013  
წლის 18 თებერვლის №2პ-081; 5. 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-  
082; 6. 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-083; 7. 2018 წლის 18 თე-  
ბერვლის №2პ-084; 8. 2013 წლის 13 თებერვლის №2პ-085; 9.  
2013 წლის 18 თებერვლის №2პ-7-87; 10. 2013 წლის 27 თებერ-  
ვლის №2პ-7-114; 11. 2013 წლის 27 თებერვლის №2პ-7-109 და  
2013 წლის 27 თებერვლის №2პ-7-110 ბრძანებების ბათილად  
ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზ-  
ღაურება მოითხოვეს.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გა-  
დანყვიბილებით: 1. გაუქმდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამ-  
გებლის 2013 წლის 13 თებერვლის №2პ-065 ბრძანება; 2. თ. ფ-  
ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ლენტე-  
ხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის  
№2პ-085 ბრძანება თ. ფ-ის გათავისუფლების შესახებ; ლენტე-  
ხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა თვითმმართველი  
ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე ... თემ-  
ში აღადგინოს თ. ფ-ი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას



დაეკისრა თ. ფ-ს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 18 თებერვლიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 3. ტ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-084 ბრძანება ტ. ჩ-ის გათავისუფლების შესახებ; ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე ... თემში აღადგინოს ტ. ჩ-ი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ტ. ჩ-ს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 18 თებერვლიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 4. მ. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-081 ბრძანება მ. ზ-ის გათავისუფლების შესახებ; ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე ... თემში აღადგინოს მ. ზ-ი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა მ. ზ-ს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 18 თებერვლიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 5. მ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-111 ბრძანება მ. ბ-ის გათავისუფლების შესახებ; ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობაზე აღადგინოს მ. ბ-ე. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა მ. ბ-ეს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 1 მარტიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 6. ზ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-109 ბრძანება ზ. ო-ის გათავისუფლების შესახებ; ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ... თანამდებობაზე აღადგინოს ზ. ო-ი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ზ. ო-ს აუნაზღაუროს ხელფასი 2013 წლის 1 მარტიდან სამსახურში არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში; 7. ს. ტ-ის, მ. ხ-ის, შ. ჯ-ის, ა.ი (ჯ.ი) ო-ის, გ.ი ქ-ისა და ა.ი ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის განწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრეს სააპელაციო საჩივრით ს. ტ-მა, მ. ხ-მა, შ. ჯ-მა, ა.ი (ჯ.ი) ო-მა, გ.ე ქ-მა და ა.ი ბ-მა, რომლებმაც სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაასაჩივრა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც სარჩელის აღნიშნულ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 6 ივნისის განჩინებით საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაებნენ ქ. ფ-ი, რ. ჩ-ი, რ. თ-ე, ბ. ლ-ი, ნ. ლ-ი, გ. ქ-ა, ვ. ბ-ი, ნ. ლ-ი, ლ. ზ-ი, ბ. ო-ი და ა. გ-ე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის, გ. ქ-ის, ა. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის, გ. ქ-ის, ა. ბ-ის ნაწილში; შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის, გ. ქ-ის, ა. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: 1. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-080 ბრძანება შ. ჯ-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ჯ-ი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს ... და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; 2. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079 ბრძანება ა. (ჯ.) ო-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ა. (ჯ.) ო-ი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; 3. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №23-110 ბრძანება გ. ქ-ის ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; გ. ქ-ი აღდგენილ იქნა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; 4. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 ბრძანება დაბა ... ტერიტორიული ორგანოს ... ა. ბ-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ა. ბ-ი დაბა ...

ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; 5. ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-083 ბრძანება ს. ტ-ის გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ს. ტ-ი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

– მ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება მ. ხ-ის სარჩელის უარყოფის ნაწილში, მ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-087 ბრძანება – ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი მ. ხ-თან დაკავშირებით;

– ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ცვლილება შევიდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაში და ტ. ჩ-ს, მ. ზ-ს, მ. ბ-ეს და ზ. ო-ს აუნაზღაურდათ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით;

– ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ საქმეზე ...ნ. მიღებულ იქნა დამატებითი გადაწყვეტილება; ცვლილება შევიდა თ. ფ-ის სარჩელთან დაკავშირებით მიღებულ ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაში, თ. ფ-ს აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ივლისის განჩინებით ტ. ჩ-ის, მ.

ზ-ის, მ. ბ-ის, ზ. ო-ის, ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ისა და ს. ტ-ის წარმომადგენლის ადვოკატ გ. ჭ-ის განცხადება დაკმაყოფილდა: გადაეცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა შ. ჯ-ის, ა. (ჯ.) ო-ის, ს. ტ-ის სარჩელი: – ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-080 ბრძანება შ. ჯ-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ჯ-ი აღდგენილ იქნა ... ტერიტორიული ორგანოს ... და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079 ბრძანება ა. (ჯ.) ო-ის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ა. (ჯ.) ო-ი აღდგენილ იქნა ... ტერიტორიული ორგანოს ... და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-083 ბრძანება ს. ტ-ის გათავისუფლების შესახებ. აღდგენილ იქნა ს. ტ-ი ლენტეხის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ასევე იმ ნაწილში, რომლითაც ცვლილება შევიდა ლენტეხის მაგისტრატი სასამართლოს 2013 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებაში ტ. ჩ-ს, მ. ზ-ს, მ. ბ-ეს და ზ. ო-ს აუნაზღაურდათ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14 ივნისის გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული ნაწილის დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით დადგინდა სააღსრულებო ფურცლების გაცემა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 15 ივლისის განჩინებით თ. ფ-ისა და გ. ქ-ის წარმომადგენლის – ადვოკატ გ. ჭ-ის, ასევე, ა. ბ-ის განცხადებები დაკმაყოფილდა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ა. ბ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი: – ბათილად იქნა ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის

გამგებლის 2013 წლის 27 თებერვლის №2პ-110 ბრძანება გ. ქ-ის ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; გ. ქ-ი აღდგენილ იქნა ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – ბათილად იქნა ცნობილი ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-082 ბრძანება დაბა ... ტერიტორიული ორგანოს ... ა. ბ-ის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა ა. ბ-ი დაბა ... ტერიტორიული ორგანოს ... თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; – გადაეცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ფ-ს აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების მ. ხ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის მის ნაწილში სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილება, საკასაციო წესით გაასაჩივრა ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის განჩინებით მ. ხ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი თ. ფ-ის, ტ. ჩ-ის, მ. ზ-ის, ს. ტ-ის, მ. ბ-ისა და ზ. ო-ის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად. უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2013 წლის 5

ივლისის დამატებითი გადანყვეტილება მ. ხ-ის, თ. ფ-ის, ტ. ჩ-ის, მ. ზ-ის, ს. ტ-ის, მ. ბ-ისა და ზ. ო-ის ნაწილში. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დადგინდა განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, განსახილველად დაშვებულ ნაწილში საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ამავე ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაშვებულ (ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის) ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილთან მიმართებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079 ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ... ტერიტორიული ორგანოს ..., თვითმმართველი ერთეულის ... თემში ა. (ჯ.) ო-ი 2013 წლის 18 თებერვლიდან. ა. (ჯ.) ო-ი სამუშაოდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გათავისუფლდა. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 18 თებერვლის №23-080 ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ... ტერიტორიული ორგანოს ..., თვითმმართველი ერთეულის ... თემში შ. ჯ-ი 2013 წლის 18 თებერვლიდან. შ. ჯ-ი სამუშაოდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გათავისუფლდა. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან დაბა ... ტერიტორიული ორგანოს ..., თვითმმართველი ერთეულის ... დაბა ... თემში ა. ბ-ი 2013 წლის 18 თებერვლიდან. ა. ბ-ი სამუშაოდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გათავისუფლდა. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის 18 თებერვლის №23-110 ბრძანებით გათავისუფლდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... გ. ქ-ი დაკავებული თანამდებობიდან 2013 წლის 1 მარტიდან. გ. ქ-ი სამუშაოდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანო-

ნის 50-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის საფუძველზე გათავისუფლდა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს 65 წლის ასაკს მიღწეული ყველა მოხელე სამუშაოდან არ გაუთავისუფლებია, წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესთან. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საპენსიო ასაკს მიღწეული მოხელის სამუშაოდან გათავისუფლება ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი ინიციატივით შესაძლოა გადაეწყვიტა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50-ე, 101-ე მუხლების 20.03.2013 წლამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით) მოხელის შრომისუნარიანობის, პროფესიული მომზადებისა და სხვა გარემოებების შეფასების შემდეგ. ადმინისტრაციის მხრიდან ამგვარი გარემოებების გაურკვევლობა არ ქმნის სადავო საკითხის სასამართლოს მიერ გადაწყვეტის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლში მოცემულია საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები. მათი დაცვის უზრუნველსაყოფად საჯარო სამსახური უფლებამოსილია როგორც კადრების შერჩევის, ასევე უკვე დასაქმებული მოხელის სამუშაოსთან შესაბამისობის შეფასებით მიიღოს კონკრეტულ შემთხვევაში კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, რაც თავის თავში მოიცავს როგორც მოხელის სამუშაოდან გათავისუფლებას, ისე დანიშნურებას, სხვა სამუშაოზე გადაყვანას და სხვ.. მიუხედავად იმისა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი პირდაპირ არ ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, მაგრამ აღნიშნული საკანონმდებლო აქტის რიგი ნორმების შინაარსი, რაც წინამდებარე საკითხებს აწესრიგებს არ გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭებას. ამასთან, ამგვარი გადაწყვეტილება ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც შეიძლება ამა თუ იმ გადაწყვეტილებას დაედოს საფუძველად, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვით. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-079, 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-080, 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-082 და 2013 წლის 27 თებერვლის №2პ-110 ბრძანებები არ შეიცავს დასაბუთებას, საიდანაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის მიმართ სა-

პენსიო ასაკის გამო სამუშაოდან გათავისუფლების მართებულობა დადგინდებოდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სზაკ-ის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა უგულვებელყოფით, რაც მათი ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეთა შრომისუნარიანობის, პროფესიული მომზადების, უნარ-ჩვევების და სხვა გარემოებათა გამოკვლევა დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება, სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი და სადავო საკითხის, – მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერების საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №23-079, 2013 წლის 18 თებერვლის №23-080, 2013 წლის 18 თებერვლის №23-082 და 2013 წლის 27 თებერვლის №23-110 ბრძანებები.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლი სადავო ბრძანებების გამოცემის მომენტისათვის სამსახურში ყოფნის ზღვრულ ასაკს განსაზღვრავდა 65 წლით. ამავე კანონის 101-ე მუხლი ითვალისწინებდა მოხელის გათავისუფლების შესაძლებლობას სამსახურიდან ასაკის გამო ამ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე. 2013 წლის 20 მარტს №358 კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები.



კანონის 50-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მოსამსახურე პენსიაში გადის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“, ხოლო კანონის 101-ე მუხლი ამოღებულ იქნა. ამდენად, კანონმდებელმა აღნიშნული ცვლილებით დაადგინა, რომ მოხელის საპენსიო ასაკის გამო მოსამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს მხოლოდ დასაქმებულის უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს პენსიაზე გასვლის საკითხი. ხოლო დამსაქმებელისათვის მოხელის ასაკი („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 5.1 პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან) აღარ წარმოადგენს მოხელის სამუშაოდან დათხოვნის შესაძლებლობას. ამდენად, საპენსიო ასაკს მიღწეული მოხელე, ისევე როგორც სხვა მოსამსახურე, ადმინისტრაციამ შეიძლება გაათავისუფლოს სამუშაოდან საერთო საფუძველით (საჯარო მოსახურის შესახებ კანონის 94-ე-მე-100 მუხლებით გათვალისწინებული საფუძველებით).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიანიჭა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ლენტიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმი-

ნისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-079, 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-080, 2013 წლის 18 თებერვლის №2პ-082 და 2013 წლის 27 თებერვლის №2პ-110 ბრძანებები და ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. (ჯ.) ო-ის, შ. ჯ-ის, ა. ბ-ისა და გ. ქ-ის შრომითი მოწყობის საკითხის გადასაწყვეტად;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სამსახურიდან გათავისუფლება ხელშეკრულების პაღის გასვლის გამო**

### **ბანჩინება**

№ბს-623-598(კ-13)

17 ივნისი, 2014 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**მოსარჩელე:** მ. ს-ე

**მოპასუხე:** ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**სარჩელის სახე:** ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

### **სარჩელის საგანი:**

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 26 იანვრის №1-005 ბრძანების ბათილად ცნობა;
2. სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

### **სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:** მოსარჩელესა და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის 2007 წლის 26 მარტს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2007 წლის 26 მარტის №1 ბრძანებით დაინიშნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარ სპეციალისტად, ხოლო 2011 წლის 26 იანვრის №1-005 ბრძანებით გათავისუფლდა სამსახურიდან 2007 წლის 26 მარტის №1 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

მოსარჩელის მტკიცებით, ბრძანება მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე უკანონოა, ვინაიდან, მხარეებს შორის 2007 წლის 26 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების ვადის – ერთი წლის გასვლის შემდეგ მოპასუხეს იგი არ გაუთავისუფლებია სამსახურიდან, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ შრომითი ხელშეკრულება გაუგრძელდა უვადოდ.

**სამართლებრივი:** მოსარჩელის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამსახური (შემდგომ – სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-2 მუხლს მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენს – საკრებულო. ამავე კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: საჯარო მოსამსახურე (შემდგომ – მოსამსახურე) ამ კანონით დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: მოსამსახურე, რომელსაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსთან, არის სახელმწიფო მოსამსახურე, ხოლო პირი, რომელიც სამსახურებრივ ურთიერთობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან, არის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე. ამავე კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: „საჯარო სამსახურს ეწევა: მოხელე. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, კი მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩე-

ვა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14.1 მუხლის თანახმად: საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით, ამავე კანონის 21-ე მუხლის თანახმად, კი მოხელე სამსახურში მიიღება თანამდებობაზე დანიშვნით ან არჩევით. 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოხელე სამსახურში ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება განუსაზღვრელი ვადით, გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თანამდებობაზე დანიშვნა ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის განმარტებით, იგი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს – ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეს, რომელიც თანამდებობაზე მიღებული იყო განუსაზღვრელი ვადით, მიუხედავად ხელშეკრულებისა, მისი სამსახურში მიღება გაფორმდა ბრძანებით და მისი გათავისუფლებისას მოპასუხეს უნდა ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და არა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით.

მოსარჩელის მტკიცებით, არ შეიძლება მისი სამსახურიდან გათავისუფლება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო, ვინაიდან საჯარო მოსამსახურე სამსახურში მიიღება განუსაზღვრელი ვადით და საჯარო მოსამსახურეზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რაც არ ითვალისწინებს განუსაზღვრელი ვადით მიღებული მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას ვადის გასვლის გამო. მოსარჩელის განმარტებით, არ შეიძლებოდა მისი სამსახურში მიღება განსაზღვრული ვადით, შესაბამისად, მხარეებს შორის გაფორმებული შრომის ხელშეკრულების შესაბამისი პუნქტი, რომელიც მიუთითებს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე, არის ბათილი, რადგან იგი ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, თუნდაც შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო სამსახურიდან გათავისუფლების დასაშვებად მიჩნევის შემთხვევაშიც გასაჩივრებული

ბრძანება მაინც უკანონოა, რადგან მხარეებს შორის 2007 წლის 26 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების ვადის გასვლისას ერთი წლის შემდეგ მოპასუხეს იგი არ გაუთავისუფლებია სამსახურიდან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მას გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულება უვადოდ.

ასევე გასაჩივრებული ბრძანება მიღებული იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52.2-ე მუხლის უგულებელყოფით, ვინაიდან, მასში არ იყო მითითებული ის ორგანო, რომელშიც შეიძლებოდა ბრძანების გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის წარდგენის ვადა.

მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1, მე-4.1, მე-6, 21-ე, 23.1-ე, 37-ე 112-ე, 127-ე მუხლებზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსზე.

მოპასუხე – ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელე 2006 წლის 1 დეკემბერს დაინიშნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარ სპეციალისტად. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, 2007 წლის 26 მარტს, მასთან გაფორმდა ახალი №1 ხელშეკრულება, ერთი წლის ვადით, 2008 წლამდე. 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანებით მოსარჩელეს გაუგრძელდა ხელშეკრულების ვადა ერთი წლით და დაუდგინდა ახალი თანამდებობრივი სარგო.

მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელის – მ. ს-ის სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის საფუძველზე – ვადის გასვლის გამო.

მოპასუხე არ იზიარებს, მოსარჩელის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ იგი ითვლებოდა მოხელედ, ვინაიდან, მოპასუხის განმარტებით, იმ პერიოდში საკრებულოში არ არსებობდა საშტატო ნუსხა და ყველა თანამშრომელი აყვანილი იყო ხელშეკრულებით, მათ შორის, მ. ს-იც.

#### **საქმის გარემოებები:**

მოსარჩელესა და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის 2007 წლის 26 მარტს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2007 წლის 26 მარტის №1 ბრძანების თანახმად, დაინიშნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარ სპეციალისტად, დანიშვნის საფუძველად მიეთითა – პირადი განცხდება და ხელშეკრულება.

ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, 2007 წლის 26 მარტს, მასთან გაფორმდა ახალი №1 ხელშეკრულება, ერთი წლის ვადით. 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანებით მოსარჩელეს გაუგრძელდა ხელშეკრულების ვადა ერთი წლით და განესაზღვრა ახალი თანამდებობრივი სარგო, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 26 იანვრის №1-005 ბრძანებით გათავისუფლდა სამსახურიდან 2007 წლის 26 მარტის №1 დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

**რაიონული/საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/ სარეზოლუციო**

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2006 წლის 1 დეკემბრის №1 ბრძანების თანახმად, მ. ს-ე დაინიშნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარ სპეციალისტად.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 26 იანვრის №1-005 ბრძანებით მ. ს-ეს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, მისი ვადის გასვლის გამო.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანების საფუძველზე, მოსარჩელეს გაუგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი წლით და განესაზღვრა ახალი თანამდებობრივი სარგო.

2011 წლის 26 იანვარს, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გამოსცა №1-005 ბრძანება ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ, რომლის საფუძველზეც ვადის გასვლის გამო შეუწყდათ ხელშეკრულება 2011 წლის 27 იანვრიდან საკრებულოს აპარატის მთელ რიგ თანამშრომლებს, მათ შორის მოსარჩელესაც.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2011 წლის 26 იანვარს გამოიცა №1-006 ბრძანება ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ, რითაც დასტურდება, რომ აღნიშნულ პერიოდამდე არ არსებობდა საშტატო ნუსხა და ყველა თანამშრომელი მიიღებოდა მხოლოდ ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით.

**სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:**

სადავოა გასაჩივრებული ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება.

**სასამართლოს დასკვნები** – რაიონულმა სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

სადავოდ მიჩნეული ფაქტების შეფასება: რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ვინაიდან, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2007 წლის 26 მარტს გაფორმებული შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, მოპასუხე არ გაათავისუფლა სამსახურიდან, ხელშეკრულება გაუგრძელდა უვადოდ. სასამართლოს შეფასებით, საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით.

სასამართლოს მითითებით, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანების საფუძველზე, მოსარჩელეს გაუგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი წლით, რადგან მასში შეტანილ იქნა ცვლილება თანამდებობრივ სარგოებთან დაკავშირებით. მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე დაადასტურა ის ფაქტი, რომ მას გაეზარდა თანამდებობრივი სარგო, რაც სასამართლოს მოსაზრებით იმის დასტური იყო, რომ იგი დაეთანხმა ახალი ხელშეკრულების პირობებს.

სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი მონესრიგებულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლებით. ხსენებული კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა.

სასამართლოს დასკვნით, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 26 იანვრის №1-005 ბრძანების თანახმად, ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო შრომითი ხელშეკრულება შეუწყდათ ცაგერის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს, მათ შორის, მ. ს-ესაც, რის საფუძველდაც მითითებულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რაც შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

#### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

რაიონულმა სასამართლომ სარჩელის არ დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველზეად მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი და საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლი.

**აპელანტი:** მ. ს-ე  
**მონინალმდეგე მხარე:** ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**აპელაციის საგანი და მოცულობა:**

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 13 ივნისის განწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

**აპელაციის მოტივები:**

**ფაქტობრივი:** აპელანტის განმარტებით, 2008 წლის 26 იანვრის შემდეგ რადგან მოპასუხეს არ გაუთავისუფლებია სამსახურიდან შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო და არც 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანების შინაარსი გაუცვნია, მიუთითებს იმაზე, რომ მას შრომითი ხელშეკრულება უვადოდ გაუგრძელდა.

აპელანტის მტკიცებით, 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანებით გაგრძელებულ შრომით ხელშეკრულებას მოქმედების ვადა გაუვიდა 2010 წლის 26 იანვარს. მიუხედავად ამისა, 2010 წლის 26 იანვრიდან 2011 წლის 26 იანვრამდე ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ რაიმე აქტი არ გამოუცია, ე.ი. რაიონული სასამართლოს მსჯელობის გაზიარების შემთხვევაშიც, რომ მისთვის ცნობილი იყო აღნიშნული ბრძანების შესახებ, 2010 წლის 26 იანვრიდან მასსა და მოპასუხეს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება უვადოდ გაგრძელებულად ითვლება, ვინაიდან, მიუხედავად შრომითი ხელშეკრულების 1 წლიანი ვადის გასვლისა, არც მოპასუხეს არ გამოუცია ბრძანება მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, მოქმედების ვადის გასვლის გამო და არც მას შეუწყვეტია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, ე.ი. ხელშეკრულება გაგრძელდა უვადოდ.

**სამართლებრივი:** ამასთან, აპელანტის მოსაზრებით, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო მისი გათავისუფლება იყო უკანონო, ვინაიდან, იგი წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს – ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეს, რომელიც სამსახურში მიღებული იქნა განუსაზღვრელი ვადით (მიუხედავად მხარეებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა), მისი დანიშვნა გაფორმდა ბრძანებით და მისი გათავისუფლებისას მოპასუხეს უნდა ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით. აპელანტის განმარტებით, საჯარო მოსამსახურე სამსახურში მიიღება განუსაზღვრელი ვადით და მასზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არ ითვალისწინებს განუსაზღვრელი ვადით მიღებული მოხელის გათავისუფ-



ლებას ვადის გასვლის გამო.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 23 სექტემბრის განჩინებით მ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება.

**გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:**

სააპელაციო პალატის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლი არეგულირებს შრომითი ხელშეკრულების დადებას. აღნიშნული ნორმის (სადავო შრომითი ურთიერთობის პერიოდში მოქმედი რედაქციით) პირველი პუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით. ამავე კანონის 37-ე მუხლი განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის თანახმად, სამსახურის ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამსახურიდან თავისუფლდება პირი, რომელიც თანამდებობაზე გარკვეული ვადით იყო არჩეული ან დანიშნული.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მ. ს-ე ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა 2007 წლის 26 მარტის შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც იგი დაინიშნა საკრებულოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. ხელშეკრულება ძალაში შევიდა მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაში იყო ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც მხარეებს შორის შრომის ხელშეკრულების მოქმედების ვადა ფაქტობრივად გრძელდებოდა 2009 წლის 26 იანვრამდე. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანებით მ. ს-ეს გაუგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი წლით, თუმცა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შრო-

მითი ურთიერთობა აღნიშნული ვადის ამონაწერის შემდეგაც გაგრძელდა. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 26 იანვრის №1-005 ბრძანებით კი მ. ს-ეს 2011 წლის 27 იანვრიდან შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება მისი ვადის გასვლის გამო, რაც სრულ შესაბამისობაშია ზემოთ მითითებულ ნორმებთან.

სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვინაიდან, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად გაგრძელდა და ხსენებული ვადის დასრულებისთანავე არცერთ მხარეს არ მოუთხოვია მისი შეწყვეტა, შრომითი ურთიერთობა ითვლებოდა განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, საქართველოს 1973 წლის 28 ივნისის შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თუ შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) ვადის გასვლის შემდეგ შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად გრძელდებოდა და არც ერთი მხარე არ მოითხოვდა მის შეწყვეტას, ხელშეკრულების მოქმედება ითვლებოდა გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით, თუმცა მითითებული კოდექსი ძალადაკარგულია საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონით (რომელიც ამოქმედდა 2006 წლის 4 ივლისიდან). სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ამგვარ დათქმას არც სადავო შრომითი ურთიერთობის პერიოდში და არც ამჟამად მოქმედი შრომის კოდექსი აღარ ითვალისწინებს.

**კასატორი:** მ. ს-ე

**მონინალმდეგე მხარე (მოპასუხე):** ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა

**კასაციის საგანი და მოცულობა:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 23 სექტემბრის განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

**კასაციის მოტივები/სამართლებრივი/:**

**პროცესუალური:** კასატორის მითითებით გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამასთან, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არასწორად განმარტა კანონი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-394-ე მუხლების თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

**მატერიალური:** კასატორის მითითებით, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2006 წლის 1 დეკემბრის №1 ბრძანებით დაინიშნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარ სპეციალისტად, რის საფუძვლადაც მითითებულია პირადი განცხადება და ხელშეკრულება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულს თავმჯდომარის 2009 წლის 26 იანვრის №7 ბრძანებით გაუგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1 წლით და განესაზღვრა ახალი თანამდებობრივი სარგო.

ცაგერის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის 2011 წლის 26 იანვრის №01-005 ბრძანებით საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, 2011 წლის 27 იანვრიდან შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანებით მოსარჩელეს გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1 წლით, თუმცა ხელშეკრულების ვადა გაგრძელდა 1 წლის გასვლის შემდეგაც.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომაც დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 27 იანვრიდან 2011 წლის 27 იანვრამდე მხარეებს შორის შრომითი ურთიერთობა გაგრძელდა ახალი ვადიანი ხელშეკრულების გაფორმებისა და ცაგერის საკრებულოს მუნიციპალიტეტის ახალი „შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების“ შესახებ ბრძანების გამოცემის გარეშე. შესაბამისად, მხარეების მიერ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დასრულებისთანავე მხარეთა მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მოუთხოვნელობის გამო, მხარეებს შორის შრომითი ურთიერთობა ითვლება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად.

კასატორის მტკიცებით, დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ მხარეებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლისას 2010 წლის 27 იანვრისას მხარეებს შორის ახალი ვადიანი ხელშეკრულება არ გაფორმებულა და არც ბრძანება არ გამოცემულა დამსაქმებლის – ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის და შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით გაგრძელების შესახებ. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

**სამართლებრივი:** კასატორის მტკიცებით, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა შრომის კანონთა კოდექსი და უნდა ეხელ-

მძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 559.2 მუხლის ანალოგიის გამოყენებით.

საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებით მ. ს-ის წარმომადგენელმა მოითხოვა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

წერილობით წარმოდგენილი მოსაზრებით საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა მოითხოვა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ.

### **საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წანამძღვრები:**

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე დასაშვებია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც აბსოლუტური კასაცია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 23 სექტემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია: ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2006 წლის 1 დეკემბრის №1 ბრძანებით მ. ს-ე „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებათა მოთხოვნათა შესაბამისად, დაინიშნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარ სპეციალისტად, დანიშვნის საფუძვლად მითითებულია პირადი განცხადება და ხელშეკრულება.

2007 წლის 26 მარტის ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და მ. ს-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების 9.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 1 წლით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანებით ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მუშაკებს, მათ შორის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის საკითხებში საკრებულოს მთავარ სპეციალისტს – მ. ს-ეს, გაუგრძელდათ ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 1 წლით და დაუდგინდათ ახალი თანამდებობრივი სარგოები.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 26 იანვრის №1-005 ბრძანებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14, 93-ე, 94-ე, 104-ე მუხლების და საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებების ვადის გასვლის გამო, 2011 წლის 27 იანვრიდან შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 17 თანამშრომელს, მათ შორის, მ. ს-ეს.

2011 წლის 26 იანვარს, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოიცა №1-006 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტაგო ნუსხა.

კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელის საგანს წარმოადგენს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 26 იანვრის №1-005 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც ცაგერის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები და მათ შორის მოსარჩელეც დაითხოვეს სამსახურიდან, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, სადავო ბრძანების გაუქმებას მოსარჩელე ითხოვს იმ საფუძველით, რომ 2007 წლის 26 მარტის ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და მ. ს-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება დაიდო 1 წლის ვადით, 1 წლის გასვლის შემდეგ მ. ს-ესა (დასაქმებული) და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (დამსაქმებელი) შორის არ დადებულა ახალი ხელშეკრულება, იგი აგრძელებდა მუშაობას, 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანებით გაუგრძელდა ხელშეკრულება კვლავ 1 წლის ვადით, ანუ 2010 წლის იანვრამდე, მისი სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება კი, რომლის საფუძველი იყო ხელშეკრულების ვადის გასვლა, მიღებულია 2011 წლის 26 იანვარს.

საკაცაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით განმარტავს, დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია იმ საკითხის გარკვევა ხელშეკრულება (რომლის საფუძველზეც მოსარჩელე აიყვანეს სამსახურში) არის

კერძო სამართლებრივი ხასიათის თუ ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ვინაიდან, განსხვავებულია მათი გაფორმების კრიტერიუმებიც და მათი სამართლებრივი ბუნებაც.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემდგენლობის უმრავლესობით განმარტავს, რომ ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების მხარეების ურთიერთთანმხვედრი, საერთო მიზნისკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის, როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, ანუ მას შეუძლია დადოს როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

სწორედ ადმინისტრაციული და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნას ემსახურება ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნების ლეგალურ დეფინიციაში მოცემული ელემენტი: „საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით“. ხელშეკრულების მიზანი უნდა განვსაზღვროთ მისი შინაარსიდან გამომდინარე, არსებითია იმის დადგენა, თუ როგორია საქმის ფაქტობრივი გარემოებების, განსაკუთრებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ან დადგენილი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება.

კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულება, რომლის შეწყვეტაც წარმოადგენს დავის საგანს, დადებულია ფიზიკურ პირსა და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 2.4 მუხლით, ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ: ა) საკრებულო; ბ) გამგეობა, მერია; გ) მუნიციპალიტეტი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, საჯარო სამსახურის ერთ-ერთი სახეა ასევე ადგილობრივი თვითმმართველობა (მუხლი 3).

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულია საჯარო მოსამსახურის სახეები, კერძოდ: საჯარო სამსახურს ეწევა: ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი; ბ) მოხელე; გ) დამხმარე მოსამსახურე; დ) შტატგარეშე მოსამსახურე. შტატგარეშე მოსამსახურე ეს არის – პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შე-

სასრულებლად („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 8.).

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე არეგულირებს შრომის კოდექსის მოქმედებას საჯარო მოსამსახურეებზე, კერძოდ, 14.1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს შრომის კანონმდებლობა მოხელეებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიიჩნევს, რომ მ. ს-ესა და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ვინაიდან, მ. ს-ე დასაქმდა თანამდებობაზე, რომელიც განეკუთვნება საჯარო მოსამსახურის კატეგორიას, მისი ფუნქციები არ ატარებდა დამხმარე ხასიათს. იგი ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურის ორგანულ კომპეტენციას ახორციელებდა. აღნიშნულის დასტურია ის ფაქტი, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 იანვრის №1-006 ბრძანებით დამტკიცდა ცაგერის მუნიციპალიტეტის აპარატის სამტატო ნუსხა და საკრებულოში დაშვებულ იქნა შტატები, მათ შორის, მ. ს-ის მიერ დაკავებული თანამდებობაც – ნამყვანი სპეციალისტი – საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, ის ფაქტი, რომ 2011 წლის 26 იანვრამდე მ. ს-ის მიერ დაკავებული თანამდებობა შტატებით დაშვებული არ იყო, არ განაკუთვნებს მას დამხმარე მოსამსახურის კატეგორიას, შესაბამისად, მ. ს-ე წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს, რომელიც შტატის არარსებობის გამო აყვანილ იქნა სამსახურში ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზეც გამოიცა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანება, ამდენად, მ. ს-ე ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას, ხოლო მასთან დადებული ხელშეკრულება ატარებდა საჯარო უფლებამოსილების მიღწევის მიზანს, რის გამოც მისი დადების, შეწყვეტის ან შესრულების კანონიერება უნდა შეფასდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის შეფასებით, სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველი არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ვინაიდან, მას გააჩნია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დამახასიათებელი ყველა ელემენტი, კერძოდ, მოსარჩელე შრო-

მითსამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან – ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან და მისი საქმიანობით იგი ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის განმარტებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების საკანონმდებლო საფუძვლები მონესრიგებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების, როგორც საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებული შეთანხმების, კანონიერად მიჩნევისათვის აუცილებელია იგი აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულ, როგორც ფორმალურ ასევე მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს, კერძოდ: ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფორმალური კანონიერება გულისხმობს: 1. ორმხრივ ნებას, რომელიც გამოიხატება ოფერტა და აქცეპტში. ანუ ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება ჩაითვალოს დადებულად თუ გამოხატულია მხარეთა ორმხრივი, თანმხვედრი ნება, ერთის მხრივ, წინადადების შეთავაზება (ოფერტი) ხელშეკრულების დადებაზე და მეორე მხარის მიერ გამოხატული თანხმობა (აქცეპტი) წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების აუცილებელ წინაპირობას; 2. ხელშეკრულების ფორმა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 69-ე მუხლის მიხედვით „ადმინისტრაციული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით“. აღნიშნული კრიტერიუმი ერთ-ერთ განმასხვავებელ ფაქტორად გვევლინება კერძო სამართლებრივ ხელშეკრულებასთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის მითითებით, არამართებულია კასატორის აპელირება იმაზე, რომ ვინაიდან, 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანებით განსაზღვრული ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, მოსარჩელეს არ შეუწყვიტეს ხელშეკრულება, იგი ითვლებოდა განუსაზღვრელი ვადით დადებულად, რადგან განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების უვადო ხელშეკრულებაში გადაზრდის საკითხს ადგენდა საქართველოს შრომის კანონმდებლობა 2006 წლამდე.

2013 წლის 12 ივნისის №729 ცვლილებით შრომის კოდექსში შეტანილ იქნა ნორმა, რომლითაც ეს საკითხი კიდევ დაექვემდებარა თავდაპირველ მონესრიგებას, კერძოდ, მე-6 მუხლის 1<sup>3</sup>-ლი პუნქტის შესაბამისად: „თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით, ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელ-



დება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევრობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული შრომითი ხელშეკრულება გაგრძელდა მისი ვადის გასვლისთანავე ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება დაიდო პირველი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში. (12.06.2013. №729). (ამ მუხლის 1<sup>1</sup>-1<sup>3</sup> პუნქტების მოქმედება ვრცელდება „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (12.06.2013 №729) ამოქმედების შემდეგ დადებულ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებაზე ან/და კოლექტიურ ხელშეკრულებაზე. მე-6 მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტის პირობების მიუხედავად, ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე დასაქმებულთან, რომლის შრომითი ურთიერთობები ერთსა და იმავე დამსაქმებელთან გრძელდება 5 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, უვადო შრომითი ხელშეკრულება მე-6 მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტის შესაბამისად დადებულად ჩაითვლება ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის შემდეგ, ხოლო თუ ასეთივე დასაქმებულის შრომითი ურთიერთობები ერთსა და იმავე დამსაქმებელთან გრძელდება 5 წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში, მასთან უვადო შრომითი ხელშეკრულება მე-6 მუხლის 1<sup>3</sup> პუნქტის შესაბამისად დადებულად ჩაითვლება „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (12.06.2013 №729) ამოქმედებიდან 2 წლის შემდეგ“.

მ. ს-ისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის ხელშეკრულების დადება, შეწყვეტის პერიოდში შრომის კოდექსი არ იცნობდა ვადიანი ხელშეკრულების უვადო ხელშეკრულებაში გადაზრდის ცნებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შრომის კოდექსი აწესრიგებს კერძო სამართლის სუბიექტებს შორის დადებულ შრომით ხელშეკრულების პირობებს, სტანდარტს და სხვა. მაშინ, როცა განსახილველი შემთხვევა განეკუთვნება არა კერძო სამართლებრივი შრომითი ურთიერთობის განმსაზღვრელი შრომითი ხელშეკრულების (სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება), არამედ საჯარო შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის (ადმინისტრაციული ხელშეკრულება) კატეგორიას, შესაბამისად, სამოქალაქო შრომითი ხელშეკრულების წესების უპირობო გავრცელება-გამოყენება საჯარო შრომით-სამართლებრივი, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ, არამართებულია.

შრომის კოდექსის მოსარჩელისათვის ხელსაყრელი, ჯერ კიდევ აუშოქმედებელ ნორმის გავრცელების პირობებშიც მ. ს-ის მოთხოვნა არ არის კანონიერი, ვინაიდან, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის დადების ერთადერთი ლეგიტიმური ფორმა არის წერილობითი, მისი გაგრძელება ასევე, უნდა გაფორმდეს წერილობით, რასაც მოცემულ შეთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

შესაბამისად, არარსებობს სადავო ბრძანების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან, შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების საფუძველია ხელშეკრულების ვადის გასვლა. კონკრეტულ შემთხვევაში, 2009 წლის 26 იანვრის №97 ბრძანებით ცაგერის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს და მათ შორის მ. ს-ქს შრომითი ხელშეკრულების ვადა გაუგრძელდათ 1 წლის ვადით ანუ 2010 წლამდე და მას შემდეგ მოსარჩელესა და ცაგერის მუნიციპალიტეტს ახალი ხელშეკრულება აღარ დადებულა ანუ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან მ. ს-ისათვის რაიმე შეთავაზებას ადგილი არ ჰქონია და ის, რომ იგი სამსახურში მიღებული იყო განსაზღვრული ვადით, ცნობილი იყო თავად მ. ს-ისთვისაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიაჩნია, რომ არ არსებობს მ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილების საშუალებები საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 23 სექტემბრის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243.2, 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 23 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. მიუღებელი თანხის დაკისრება

#### ხელფასის ოდენობის განსაზღვრა

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-620-608(კ-12)

11 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 3 თებერვალს ა. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 20 წლის განმავლობაში მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. 2011 წლის 22 თებერვლიდან არის დათხოვნაში. საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების საინჟინრო ბრიგადის საინჟინრო ბატალიონის შტაბის ოფიცრად ყოფნის დროს მისი ხელფასი შეადგენდა 1189 ლარს. „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 0,75%-ის ნამრავლით ზემოთხსენებულ ორგანოში მუშაობის სტაჟზე, რაც ჯამში 174 ლარს შეადგენს. სოციალური მომსახურების სააგენტომ საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის №46/ნ ბრძანებაზე დაყრდნობით, ხელფასის ოდენობა მხოლოდ თანამდებობრივი სარგოს, წელთა ნამსახურების პროცენტული დანამატის და სამხედრო წოდებისათვის დადგენილი სარ-

გოების ჯამით დაიანგარიშა და ა. კ-ეს კომპენსაციის სახით 53.78 ლარი დაუნიშნა, რაც მოსარჩელეს უკანონოდ მიაჩნია.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №05/3207 გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 9 იანვრის №04/1092 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრისათვის ა. კ-ისათვის კომპენსაციის სახით მისი ხელფასიდან – 1189 ლარიდან 174 ლარის ოდენობით თანხის დანიშვნის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად მოსარჩელემ დამატებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბათილად ცნობა მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ საქმეში მოპასუხედ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჩართვაზე მიუთითა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 19 აპრილის განჩინებით ა. კ-ის სარჩელზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის ბათილად ცნობის ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება სარჩელის დაუმეგობლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით ა. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის განჩინებით ა. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 22 აგვისტოს №2371 ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების საინჟინრო ბატალიონის შტაბის შ-1-ის ოფიცერი, ... ა. კ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2011 წლის 30 ივნისიდან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის (ზღვრული ასაკის მიღწევისას) თანახმად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2011 წლის 2 სექტემბრის №4759 ფულადი ატესტატის თანახმად, ... ა. კ-ე თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე იღებდა: 1. სარგოს სამხედრო წოდებისათვის 60 ლარს; 2. სარგოს თანამდებობისათვის 220 ლარს; 3. პროცენტულ დანამატს ნამსახურობისათვის 84 ლარს; 4. კვების კომპენსაციას 75 ლარს; 5. კატეგორიის დანამატს 750 ლარს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №05/3207 და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 9 იანვრის №04/1092 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც ა. კ-ეს დაენიშნება კომპენსაცია მისი ხელფასიდან – 1189 ლარიდან 174 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად კანონმდებლობა კომპენსაციისა (გარდა ერთგვრადი კომპენსაციებისა) და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძველებია: ა) კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადის ამო-

წურვა; მე-2 პუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ: ე) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირებს; იმავე კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სამხედრო მოსამსახურეებს კომპენსაცია ენიშნებათ ერთ-ერთი შემდეგი პირობით და მისი ოდენობაა: ა) 55 წლამდე დანიშვნის შემთხვევაში – დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 0,75%-ის ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე; ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების, აგრეთვე კომპენსაციის დანიშვნის წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით. ხოლო, იმავე კანონის მე-40 მუხლის შესაბამისად განისაზღვრა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა 2006 წლის 15 მარტამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და მისი გაცემის განახლებისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების წესი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 22-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს რიგებიდან დათხოვნილ პირთათვის კომპენსაციების გაანგარიშებისათვის საჭირო ხელფასის ოდენობა შეადგენს: თანამდებობრივი სარგოს, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის სარგოს და სამხედრო წოდებისათვის დადგენილი სარგოების ჯამს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სპეციალური კანონით და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით

ცალსახად არის განსაზღვრული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რიგებიდან დათხოვნილი პირისათვის განკუთვნილი სახელმწიფო კომპენსაციის დაანგარიშების წესი. ხსენებული პირების შრომის ანაზღაურება შედგება რამოდენიმე კომპონენტისაგან, კერძოდ, მოსარჩელე მუშაობის პერიოდში თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე იღებდა: სარგოს სამხედრო წოდებისათვის, სარგოს თანამდებობისათვის, პროცენტულ დანამატს ნამსახურობისათვის, კვების კომპენსაციას და კატეგორიის დანამატს. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კომპენსაციის გაანგარიშებისას ხელფასის ოდენობაში შედის მხოლოდ თანამდებობრივი სარგო, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატი და სარგო სამხედრო წოდებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლზე, რომლის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომლებზე/მომსახურეებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად ხელფასის ოდენობა დადგენილია სპეციალური კანონმდებლობით და მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლზე მითითება არ არის მართებული. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ ხელფასის ოდენობის განსაზღვისას სოციალური მომსახურების სააგენტოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით უნდა ეხელმძღვანელა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №05/3207 და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 9 იანვრის №04/1092 გადაწყვეტილებების გამოცემისას გამოკვლეული და შესწავლილი იყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. მოპასუხე მხარის მიერ ადგილი არ ჰქონია კანონის

ისეთ დარღვევასა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის ისეთ არსებით დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლოა და არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. მოსარჩელის მიერ ვერც სააპელაციო სასამართლო სხდომაზე იქნა წარდგენილი რაიმე მტკიცებულება (სსსკ 102-ე მუხლი), იმ გარემოებების დასადგენად, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულ იქნა კანონის მოთხოვნათა ისეთი დარღვევით, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად შეიძლება გამხდარიყო მათი ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაბათილებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნები სარჩელის უსაფუძვლობის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილები-სა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნის, ხოლო შემდეგ სააპელაციო საჩივრის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანება, იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრავს ხელფასის ოდენობას (საიდანაც უნდა იქნეს გამოთვლილი კომპენსაცია



(22-ე მუხლის მე-6 პუნქტი)), თავისთავად ეწინააღმდეგება კანონს და შესაბამისად, იგი ვერ იქნება უპირატესი იურიდიული ძალის მატარებელი, რის გამოც კომპენსაციის გაანგარიშებისას არ უნდა იქნეს გამოყენებული მასში მითითებული წესი.

კასატორი მიიჩნევს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-40 მუხლის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დაევალა მხოლოდ სტიპენდიის დანიშვნისა და მისი გაცემა-განახლებისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების წესის ჩამოყალიბება. რაც შეეხება სხვა საკითხების, მათ შორის კომპენსაციის გადაანგარიშების წესს, აღნიშნულის რეგულირების კომპეტენცია არ გააჩნია ჯანდაცვის მინისტრს. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში მინისტრის ბრძანება წარმოადგენს არარა აქტს.

ამასთან, კასატორის განმარტებით, როდესაც კანონქვემდებარე აქტი ეწინააღმდეგება კანონს, გამოიყენება კანონი, ვინაიდან, მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა („ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი), ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილველი სასამართლოს აზრით კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის მიხედვით. კასატორის მითითებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებს არ უმსჯელიათ მის არგუმენტებზე და გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 14 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. კ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ა. კ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2013 წლის 7 თებერვალს 12:30 საათზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს სადავო საკითხს და ისე მიიღეს გადაწყვეტილება განსახილველ საქმეზე, რომ არ იმსჯელეს მოსარჩელის არგუმენტებზე და ვერ დაასაბუთეს ა. კ-ის მოთხოვნის უსაფუძვლობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 22 აგვისტოს №2371 ბრძანებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების საინჟინრო ბატალიონის შტაბის შ-1-ის ოფიცერი, ... ა. კ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2011 წლის 30 ივნისიდან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის (ზღვრული ასაკის მიღწევისას) თანახმად. 2011 წლის 2 სექტემბრის №4759 ფულადი ატესტატის მიხედვით, ... ა. კ-ე თავდაცვის სამინისტროს საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე იღებდა: 1. სარგოს სამხედრო წოდებისათვის 60 ლარს; 2. სარგოს თანამდებობისათვის 220 ლარს; 3. პროცენტულ დანამატს ნამსახურობისათვის 84 ლარს; 4. კვების კომპენსაციას 75 ლარს; 5. კატეგორიის დანამატს 750 ლარს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №05/3207 გადაწყვეტილებით ა. კ-ის სახელმწიფო კომპენსაცია 53.78 ლარის ოდენობით განისაზღვრა; ხოლო, სსიპ სოციალური მომ-

სახურების სააგენტოს 2012 წლის 9 იანვრის №04/1092 გადან-  
ყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ა. კ-ის ადმინისტრაციული სა-  
ჩივარი მისთვის დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის გაან-  
გარიშების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემ-  
თხვევაში ა. კ-ე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვა-  
კე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2011  
წლის 28 ნოემბრის №05/3207 გადანყვეტილების, სსიპ სოცია-  
ლური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 9 იანვრის №04/1092  
გადანყვეტილების ბათილად ცნობასა და სსიპ სოციალური მომ-  
სახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსა-  
ხურების ცენტრისათვის ა. კ-ისათვის კომპენსაციის სახით მი-  
სი ხელფასიდან – 1189 ლარიდან 174 ლარის ოდენობით თანხის  
დანიშვნის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის  
გამოცემის დავალებას მოითხოვს. კასატორის წარმომადგე-  
ნელმა სასამართლო სხდომაზე დააფიქსირა, რომ ა. კ-ეს მისი  
ხელფასიდან – 1189 ლარიდან 174 ლარის ოდენობით სახელმწი-  
ფო კომპენსაცია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს  
ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრში კომ-  
პენსაციის დანიშვნის თაობაზე განცხადების წარდგენის დღი-  
დან უნდა დანიშვნოდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემ-  
თხვევაში დავის საგანს ა. კ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაცი-  
ის ოდენობის განსაზღვრა წარმოადგენს. ამასთან, მხარეთა შო-  
რის დავას ხელფასის (საიდანაც უნდა გაანგარიშდეს კომპენ-  
საცია) ცნება და მისი შემადგენელი კომპონენტები იწვევს. შე-  
საბამისად, სადავო საკითხის სწორად გადანყვეტისათვის არ-  
სებით მნიშვნელობას იძენს ხელფასის ცნებასთან დაკავშირე-  
ბით სათანადო კანონის გამოყენება. კერძოდ, სადავო ხელფა-  
სის ოდენობის განსაზღვრისას ადმინისტრაციულ ორგანოს უნ-  
და ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართვე-  
ლოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, რომლის თანახ-  
მად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს  
თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინე-  
ბულ დანამატებს, თუ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის  
№46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სა-  
ხელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტი-  
პენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 22-ე მუხლის მე-6 პუნ-  
ქტით, რომლის მიხედვით, თავდაცვის სამინისტროს რიგები-  
დან დათხოვნილ პირთათვის კომპენსაციების გაანგარიშები-

სათვის საჭირო ხელფასის ოდენობა შეადგენს: თანამდებობრივი სარგოს, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის სარგოს და სამხედრო წოდებისათვის დადგენილი სარგოების ჯამს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის (სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედი რედაქცია) თანახმად, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სამხედრო მოსამსახურეებს 55 წლამდე დანიშვნის შემთხვევაში კომპენსაცია ენიშნებათ დათხოვნის მომენტისათვის მისი ხელფასის 0,75%-ის ნამრავლი ზემოხსენებულ ორგანოებში მუშაობის სტაჟზე. ამდენად, აღნიშნული ნორმის თანახმად, კომპენსაციის ოდენობა გამოითვლება და გაანგარიშდება ხელფასის ოდენობიდან. შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს თავად ხელფასის კომპონენტების განსაზღვრა.

ამასთან, აღნიშნული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების, აგრეთვე კომპენსაციის დანიშვნის წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით. ხოლო, ამავე კანონის მე-40 მუხლით განისაზღვრა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა 2006 წლის 15 მარტამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და მისი გაცემის განახლებისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების წესი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს აღნიშნული ნორმიებიდან გამომდინარე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის კომპეტენციაზე, კერძოდ, იმაზე, თუ კონკრეტულად რა ჰქონდა კანონით მინისტრს დავალებული. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მინისტრს უნდა განესაზღვრა კომპენსაციის დანიშვნის წესი და პირობები. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტზე, რომლის თანახმად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგა-

ნოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, იმ პირობებში, როდესაც ნორმატიული აქტით უნდა განსაზღვრულიყო კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების, აგრეთვე კომპენსაციის დანიშვნის წესი და პირობები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 22-ე მუხლის მე-6 პუნქტით განისაზღვრა თავდაცვის სამინისტროს რიგებიდან დათხოვნილ პირთათვის კომპენსაციების გაანგარიშებისათვის საჭირო ხელფასის ოდენობა, რომელიც შეადგენს: თანამდებობრივი სარგოს, წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის სარგოს და სამხედრო ნოდებისათვის დადგენილი სარგოების ჯამს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად ხელფასის ოდენობა დადგენილია სპეციალური კანონმდებლობით და მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლზე მითითება არ არის მართებული. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომლებზე/მოსამსახურეებზე ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, მაგრამ საკასაციო სასამართლო სპეციალურ წესრიგად ვერ მიიჩნევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესს“. აღნიშნულ კანონქვემდებარე აქტს ვერ

განვიხილავთ სპეციალურ რეგულირებად. საკასაციო სასამართლო ასეთ სპეციალურ რეგულირებად მაგალითისათვის მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც აწესრიგებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის სოციალური დაცვის საკითხებს (მათ შორის ხელფასის კომპონენტებს). საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს ასეთ სპეციალურ დათქმას ხელფასის კომპონენტების მიმართ.

დამატებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახეზე გვაქვს ორი იერარქიულად სხვადასხვა საფეხურზე მდგომი აქტი – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი“. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. ამდენად, უდავოა, რომ განსახილველ შემთხვევაში ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას სოციალური მომსახურების სააგენტომ უნდა იხელმძღვანელოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს თავად კომპენსაციის ბუნებაზე და მისი დანიშვნის საფუძველზე. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი პუნქტის მიხედვით, ეს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძველებს, მათი ოდენო-

ბის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. ამდენად, კომპენსაციის მიზნებიდან და მისი დანიშვნის საფუძვლებიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც კომპენსაცია თავისი არსით პირისათვის დამატებით სოციალური დაცვის გარანტს უნდა წარმოადგენდეს, მისი ოდენობა განსხვავებული უნდა იყოს ჩვეულებრივი პენსიის ოდენობისგან და იგი, მისი ოდენობიდან გამომდინარე, მისი მიზნების შეუსაბამო არ უნდა იყოს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, ასევე, ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგენენ სადავო საკითხს და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს განსახილველ სამართალურთიერთობას. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერ დაასაბუთეს სადავო აქტების კანონიერება, ხოლო კასატორმა – ა. კ-ემ შეძლო წარმოედგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სავალდებულო წინაპირობები, რომლებიც მათი რეალიზების თვალსაზრისით, ამ მუხლში არა კუმულაციური, არამედ, ალტერნატიული სახით არის წარმოდგენილი. ამასთან, არსებით დარღვევად ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა, სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია საქარ-

თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი აქტის გამოცემა დაავალოს.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძველები. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ა. კ. ისათვის კომპენსაციის სახით 53.78 ლარის დანიშვნის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №05/3207 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კომპენსაციის კანონმდებლობის შესაბამისად დანიშვნისა და მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურების თაობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობასთან ერთად საყურადღებოა მოთხოვნილი – 174 ლარის ოდენობით კომპენსაციის დანიშვნის პერიოდი, ვინაიდან, კანონმდებლობამ კომპენსაციის გაანგარიშების ახალი წესი შემოიღო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 22 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით განსხვავებულად განისაზღვრა კომპენსაციის გაანგარიშების წესი; კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით – „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზ-



რუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სამხედრო მოსამსახურეებს კომპენსაცია ენიშნებათ ერთ-ერთი შემდეგი პირობით და მისი ოდენობაა: ა) 65 წლის და მეტი ასაკიდან დანიშვნის შემთხვევაში – პენსიის ოდენობას დამატებული: ა.ა) საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისათვის (გარდა ოფიცრებისა) ან უმცროსი სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 2 ლარზე; ა.ბ) საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის უმცროსი ოფიცრების შემადგენლობისათვის ან საშუალო სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 5 ლარზე; ა.გ) კადრის სამხედრო სამსახურის უფროსი ოფიცრების შემადგენლობისათვის ან უფროსი სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 10 ლარზე; ა.დ) კადრის სამხედრო სამსახურის უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობისათვის ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების ნამრავლი 15 ლარზე; ბ) 65 წლამდე დანიშვნის შემთხვევაში – ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კომპენსაციის 80%.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრს მიუთითებს, რომ ა. კ-ისათვის კომპენსაციის განგარიშებისა და კომპენსაციის დანიშვნის პერიოდის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედების დრო.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 9 იანვრის №04/1092 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ა. კ-ეს უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავ ან ქვემდგომ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალ-

ლურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითკონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს გააჩნია უპირატესობა, კერძოდ, ადმინისტრაციულ საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მონაშენება გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა და კანონიერება, მაშინ როდესაც სასამართლო ივარგლება აქტის მხოლოდ კანონიერების შემოწმებით. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული მასშტაბით გამოყენებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადაფორმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, როგორც საჩივრის განმხილველ ორგანოს, გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშევა მაღალი ხარისხით. აღნიშნული კი გულისხმობს იმას, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოკვლეული უნდა ყოფილიყო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილების ან საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ იმის ნაცვლად, რომ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დამატებით გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცა სადავო საკითხისათვის, სრულად გაიზიარა და უცვლელად დატოვა სადავოდ ქცეული კომპენსაციის სახით 53.78 ლარის დანიშვნის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომ-

სახურების ცენტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №05/3207 გადაწყვეტილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 9 იანვრის №04/1092 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე არსებობს გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის განჩინების გაუქმებისა და ა. კ-ის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. ა. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 9 იანვრის №04/1092 გადაწყვეტილება;
5. სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ა. კ-ისათვის კომპენსაციის სახით 53.78 ლარის დანიშნის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრის 2011 წლის 28 ნოემბრის №05/3207 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაცი-

ულ-სამართლებრივი აქტი კომპენსაციის კანონმდებლობის შე-  
საბამისად დანიშვნისა და მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურ-  
ების თაობაზე;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და  
არ საჩივრდება.

## **გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურების საფუძველი**

### **განჩინება**

№ბს-98-91(კ-13)

25 ივნისი 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელების დავალევა;

**აღწერილობითი ნაწილი:**

**მოსარჩელები** – გ. ბ-ი; ვ. გ-ი;

**მოპასუხე** – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**სარჩელის სახე:** საქართველოს ადმინისტრაციული საპრო-  
ცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე ქმედების განხორ-  
ციელების დავალევა;

**სარჩელის საგანი:**

2011 წლის კუთვნილი შვებულების სარგებლობის გარეშე  
დათხოვნა და მოსარჩელებისათვის გამოუყენებელი შვებულე-  
ბის ფულადი ანაზღაურება;

**სარჩელის საფუძველი:**

**ფაქტობრივი:** გ. ბ-ი 1995 წლიდან 2012 წლამდე მსახურობ-  
და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. საქართველოს თავ-  
დაცვის მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №223 ბრძანების სა-  
ფუძველზე გ. ბ-ი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სის-  
ტემაში უმნიკვლო სამსახურისათვის დაჯილდოვდა პირველი  
ხარისხის მედლით.

სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის წინ, მოსარჩელე – გ.  
ბ-ს არ მისცეს 2011 წლის შვებულებით სარგებლობის უფლება,

რომელიც მას ეკუთვნოდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების IX თავის მე-6 პუნქტის საფუძველზე.

ვ. გ-ი 1997 წლიდან 2012 წლამდე მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №223 ბრძანების საფუძველზე ვ. ა. გ-ი „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმნიშვნელო სამსახურისათვის“ დაჯილდოვდა მესამე ხარისხის მედლით.

სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის წინ, მოსარჩელე – ვ. გ-ს არ მისცეს 2011 წლის კუთვნილი შვებულებით სარგებლობის უფლება საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების IX თავის მე-6 პუნქტის საფუძველზე.

**სამართლებრივი:** გ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული კუთვნილი შვებულების გამოუყენებელი 34 დღის ფულადი ანაზღაურება, რაც შეადგენს 1292 ლარს. მოსარჩელე უთითებს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების 22-ე მუხლს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე და 361-ე მუხლებს.

ვ. გ-ის წარმომადგენელი მოითხოვს 2011 წლის კუთვნილი შვებულების გამოუყენებელი 40 დღის ფულად ანაზღაურებას, რაც შეადგენს 1520 ლარს. ვ. გ-ისა და გ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივი საფუძველები იდენტურია.

#### **მოპასუხის შესაგებელი:**

**ფაქტობრივი:** მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა შესაგებლით არ ცნო გ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა იმ მოტივით, რომ მოსარჩელე შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-3 მუხლისა და მე-13 მუხლის 1-

ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. მოპასუხის მტკიცებით, აღნიშნული ბრძანების თანახმად, კომპენსაცია გაიცემა ისეთ მოსამსახურეზე, რომელიც დათხოვნილია ზღვრული ასაკის, ავადმყოფობის ან რეორგანიზაციის და შტატების შემცირების გამო. მოსარჩელე გ. ბ-ი დათხოვნილია კადრების განკარგულებიდან მინისტრის №583 ბრძანებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტის თანახმად, სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან სარჩელის სამართლებრივი საფუძველი განსხვავებულ შემთხვევას ანესრიგებს.

**მოპასუხემ** – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა დამატებით მიუთითა საარტილერიო ბრიგადის 09.08.12 წლის მე-3 მუხლის №2290 წერილი, რომლის მიხედვით, გ. ბ-მა მისივე მოთხოვნის საფუძველზე 2011 წელს ისარგებლა კუთვნილი შვებულებიდან 11 დღით.

მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა შესაგებლით არ ცნო ვ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა და აღნიშნა, რომ მოსარჩელე შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-3 მუხლისა და მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად.

მოპასუხის განმარტებით, კომპენსაცია გაიცემა ისეთ მოსამსახურეზე, რომელიც დათხოვნილია ზღვრული ასაკის, ავადმყოფობის ან რეორგანიზაციის და შტატების შემცირების გამო. მოსარჩელე კი, დათხოვნილია კადრების განკარგულებიდან საქართველოს თავდაცვის მინისტრის №583 ბრძანებით. მოპასუხემ არ გაიზიარა სარჩელის სამართლებრივი საფუძველი იმ მოტივით, რომ იგი განსხვავებულ შემთხვევას ანესრიგებს.

მოპასუხის წარმომადგენელმა დამატებით მიუთითა საარტილერიო ბრიგადის 09.08.12 წლის №2290 წერილი, რომელიც ადასტურებს ვ. გ-ის მიერ მისივე მოთხოვნის საფუძველზე 2011 წელს კუთვნილი შვებულებიდან 6 დღით სარგებლობას.

**სამართლებრივი:** მოპასუხის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტი არ შეესაბამება სასარჩე-

ლო მოთხოვნის შინაარსს, ვინაიდან იგი განსხვავებულ რეგულაციას შეიცავს.

**საქმის გარემოებები:**

მოსარჩელები გ. ბ-ი და ვ. გ-ი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 30 სექტემბრის №2628 ბრძანებით, ამავე მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და გადაიყვანეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის განკარგულებაში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 1 მარტის №488 ბრძანების თანახმად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/ მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის და 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გ. ბ-ი დაითხოვეს საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 1 მარტის №488 ბრძანების თანახმად, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის საფუძველზე, ვ. გ-ი დაითხოვეს საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

**რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. ბ-ისა და ვ. გ-ის სარჩელი, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, არ დაკმაყოფილდა.

**სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:**

**მოსარჩელები** – გ. ბ-ი და ვ. გ-ი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 30 სექტემბრის №2628 ბრძანებით, ამავე მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/ მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გაათავისუფლეს დაკა-

ვებულის თანამდებობიდან და გადაიყვანეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის განკარგულებაში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 1 მარტის №488 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობიდან „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/ მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის თანახმად დაითხოვეს გ. ბ-ი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 1 მარტის №488 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობიდან „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/ მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის თანახმად დაითხოვეს ვ. გ-ი.

#### **სასამართლოს დასკვნები:**

საქმის მასალებზე გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ გ. ბ-ისა და ვ. გ-ის სარჩელი, მოპასუხე თავდაცვის სამინისტროს მიმართ, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:**

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურიდან დასათხოვ ოფიცერს ზღვრული ასაკის, ავადმყოფობის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, დათხოვნის წინ ეძლევა შევბულება. შემდეგ იგი იგზავნება სამხედრო-საექიმო კომისიაზე სამხედრო სამსახურისთვის ვარგისიანობის დასადგენად. მოცემული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეებს არ მისცეს 2011 წლის კუთვნილი შევბულებით სარგებლობის უფლება.

#### **მხარეთა მიერ სადავოდ განხდარი ფაქტების შეფასება:**

#### **სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:**

თბილისის საქალაქო სასამართლომ სადავო საკითხის სამართლებრივი შეფასებისას გამოიყენა საქართველოს ადმინისტრატ-



ციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის I და 31-ე მუხლები, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის I მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის I პუნქტი და მიიჩნია, რომ მოსარჩელებმა დაკარგეს კუთვნილი შვებულებით სარგებლობის უფლება, ვინაიდან მათ არ გაუსაჩივრებიათ თანამდებობიდან დათხოვნის ბრძანებები.

**აპელანტები** – გ. ბ-ი, ვ. გ-ი;

**მონინაალმდგეე მხარე** – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება; გ. ბ-ის 2011 წლის 34 დღის კუთვნილი გამოუყენებელი შვებულების 1292 ლარისა და ვ. გ-ის 40 დღის კუთვნილი გამოუყენებელი შვებულების 1404 ლარის ანაზღაურება.

**აპელაციის მოტივები:** აპელანტებმა მიიჩნიეს, რომ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ამასთან, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

**ფაქტობრივი:** აპელანტის განმარტებით, გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის 3.1.2. პუნქტში მითითებულია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩელები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის განკარგულებაში. აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელების პოზიცია, თავდაცვის მინისტრის

ბრძანებების კანონიერების საკითხთან დაკავშირებით. აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნული აქტები გამოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა მნიშვნელოვანი დარღვევებით.

სადავო აქტებს საფუძვლად არ უდევს სხვა საკანონმდებლო ან ნორმატიული აქტები. ამასთან, სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები. მხედველობაში არ მიიღო საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-15 თავის პირველი პუნქტი.

სასამართლომ შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა დააფუძნა თავდაცვის სამინისტროს 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებულ „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულებით განსაზღვრულ წესებს.

სამართლებრივი შეფასებისას სასამართლომ ექვევემ დააყენა თავდაცვის სამინისტროს მიერ მოსარჩელებისათვის ზინის მიყენების ფაქტი და აღნიშნა, რომ მოსარჩელებმა ვერ დაასაბუთეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების შედეგად მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების პირდაპირი და უშუალო შელახვა.

აპელანტებისთვის გაუგებარია, რატომ მიიჩნია სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნები დაუსაბუთებლად, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია სათანადო მტკიცებულებები.

აპელანტების მოსაზრებით, წინააღმდეგობრივია სასამართლოს პოზიცია კუთვნილი შვებულების სარგებლობის და დაკარგვის საკითხებთან დაკავშირებით. არასწორია მტკიცება იმის შესახებ, რომ კანონი არ ითვალისწინებს გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების თანხის ანაზღაურების შესაძლებლობას.

საქართველოს პრეზიდენტის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-15 თავის მე-6 პუნქტში პირდაპირ არის მითითებული, რომ „თუ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურეს არ უსარგებლია ყოველწლიური კუთვნილი შვებულებით, მას მიეცემა მიმდინარე წლის კუთვნილი შვებულების (გამოუყენებელი ნაწილის) ანაზღაურება“.

აპელანტის წარმომადგენლის განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანების გამოცემა მიზნად ისახავდა რუსეთში განათლებამიღებულ ოფიცრების საქართველოს არმიიდან ჩამოშორებას. ამავდროულად, საგულისხმოა, რომ იმ დროისათვის სამსახურიდან დათხოვნის გასაჩივრებას აპელანტებისათვის შესაძლოა სავალალო შედეგები მოჰყოლოდა.

**სამართლებრივი:** აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არ გამოიყენა ის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც უნდა მიეღო გადაწყვეტილება, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულება და არასწორად განმარტა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის შინაარსი.

**მონინააღმდეგის შეპასუხება:** მონინააღმდეგე მხარე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ დაეთანხმა აპელანტების მოთხოვნას უსაფუძვლობის გამო და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული და კანონიერია.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:**

გ. ბ-ისა და ვ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება.

**სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:**

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და დამატებით მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

**ფაქტობრივი:** სააპელაციო სასამართლოს საქმესთან დაკავშირებით ფაქტობრივ გარემოებებზე დამატებით არ უმსჯელია.

**სამართლებრივი:** სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლზე, რომელიც საჯარო მოხელისათვის მინიჭებული სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანების გასაჩივრების უფლების შესახებ მითითებას შეიცავს. აგრეთვე „შრომის კოდექსის“ 22.1 მუხლზე, რომლის თანახმად, დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი

თვის შემდგომ.

სააპელაციო სასამართლო ძირითადად აპელირებს იმ საკითხზე, რომ აპელანტებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის №488 ბრძანება გასაჩივრებული არ აქვთ, შესაბამისად, მათი მოთხოვნა მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს.

**შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:** სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ფაქტობრივად და სამართლებრივად არსებითად სწორად არის დასაბუთებული, ამიტომ უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება.

**კასატორები** – გ. ბ-ი, ვ. გ-ი;

**მონინალმდგე მხარე** – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

**კასაციის საგანი მოცულობა /ფარგლები/:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინების გაუქმება და უზენაესი სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

**კასაციის მოტივები:**

**სამართლებრივი:**

**პროცესუალური:** გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

**მატერიალური:** სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-15 თავის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვით, კასატორებს უნდა მიეღოთ ყოველწლიური კუთვნილი შვებულების გამოუყენებელი დღეების ფულადი ანაზღაურება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, სასამართლოს სამართლის ანალოგიის გათვალისწინებითაც შეეძლო აპელანტების მოთხოვნის დაკმაყოფილება.

კასატორების წარმომადგენლის მტკიცებით, საქალაქო სასამართლოს ისევე როგორც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მატერიალურსამართლებრივად დაუსაბუთებელია. სასამართლომ არასწორად განმარტა აპელანტების მიერ მითითებული სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი. (საქართველოს პრეზიდენტის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-15 თავის მე-6 პუნქტი).

კასატორებს სამსახურიდან დათხოვნამდე უნდა ესარგებლათ კუთვნილი შვებულებით და მხოლოდ შვებულების ვადის ამონურვის შემდეგ ჩათვლილიყვნენ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილებად.

პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორების მტკიცება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან მოსარჩევეებისთვის პირდაპირი და უშუალო, მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების თაობაზე.

სასამართლომ მოსარჩევეებს დაავალა მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების დასაბუთება, მაშინ, როცა საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ მაიორმა გ. ბ-მა 2011 წლის კანონით დადგენილი კუთვნილი შვებულებიდან, ნაცვლად 45 დღისა – ისარგებლა 11 დღით, ხოლო კაპიტანმა ვ. გ-მა – 5 დღით.

მონინალმდევე მხარემ – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა უზენაეს სასამართლოში გ. ბ-ისა და ვ. გ-ის საკასაციო საჩივართან დაკავშირებით წარმოადგინა მოსაზრება, რომლითაც საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა მოითხოვა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორების – გ. ბ-ისა და ვ. გ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობის თაობაზე და იგი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც პროცესუალური კასაცია.

2013 წლის 12 მაისს კასატორებმა – ვ. გ-მა და გ. ბ-მა საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი წერილობით მოსაზრებით განმარტეს, რომ მათი მოთხოვნა კანონიერია. ამავდროულად, ვ. გ-მა უარი თქვა სასარჩელო მოთხოვნაზე – 2011 წლის კუთვნილი შვებულების გამოუყენებელი 39 დღის ფულად ანაზღაურებაზე, რასაც მონინალმდევე მხარე დაეთანხმა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შე-

მონმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ბ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ვ. გ-ის შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის თაობაზე დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; ვ. გ-ის სარჩელის ნაწილში გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას დაარღვია მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე „ე“ მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. გ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, მისი სარჩელის ნაწილში გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის თანახმად, ვ. გ-ის სარჩელზე შეწყდეს საქმის წარმოება, სარჩელზე უარის თქმის გამო.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტროს 2012 წლის პირველი მარტის №488 ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 შემადგენლობიდან დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მეორე საარტილერიო ბრიგადის შტაბის ყოფილი G-1 კადრების ოფიცერი – მაიორი – გ. გ. ბ-ი დაითხოვეს საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან.

დადგენილია, რომ კასატორმა გ. ბ-მა 2011 წლის კუთვნილი შევებულებიდან ისარგებლა მხოლოდ 11 დღით.

საქართველოს პრეზიდენტის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-8 პუნქტის თანახმად, მას ეკუთვნოდა 45 დღე, როგორც 10 კალენდარულ წელზე მეტი ნამსახურობის მქონე სამხედრო მოსამსახურეს.

საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შედეგად, გ. ბ-ს არ მიეცა 2011 წლის შევებულების დარჩენილი დღეების ფულადი ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის განმარტებას, რომ შვებულების ანაზღაურების შესაძლებლობის მოსპობა კანონიერია, იმიტომ, რომ კასატორი დათხოვნილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანების საფუძველზე, ვინაიდან მოპასუხის აღნიშნული პოზიცია დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის სწორი გაგება-გამოყენების პრინციპიდან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტის განმარტება ეწინააღმდეგება კანონიერი სამართალშეფარდების პრინციპსა და საერთაშორისო სამართლით დამკვიდრებული ფასიანი შვებულების შესახებ ანაზღაურების გარანტიას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. ამდენად, ნორმის შეფარდების პროცესში საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები შიდაეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად უშუალოდ გამოიყენება.

„ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენციის (რათიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით) მე-5 მუხლი ერთმნიშვნელოვნად კრძალავს მონაწილე სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი წესებისა და კანონების არსებობას, რომლითაც დასაქმებულმა შესაძლოა დაკარგოს ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება.

1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით) 24-ე მუხლის მიხედვით ყველას აქვს პერიოდული ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლება.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26

მარტის განჩინებაში (სამოქალაქო საქმეზე №ას-836-1122 თ. ც-დის სარჩელისა გამო ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ), ჩამოყალიბებულ სამართლებრივ განმარტებებსა და სასამართლო დასკვნებს გამოუყენებელი საშვებულებო დახმარების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენციის (რაციფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 22 თებერვლის დადგენილებით, ძალაშია 1997 წლის 22 ივნისიდან) მე-6 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც გათავისუფლებულია მენარმის მიზეზით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს.

განსახილველი ნორმით გათვალისწინებული პირობების არსებობისას დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს იმ წელს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით დასაქმებულს არ შეიძლება წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა“.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეებზე ჩამოყალიბებული აღნიშნული განმარტება და სასამართლო დასკვნა სავსებით ესადაგება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სივრცეში საჯარო შრომითი ურთიერთობების სწორ და კანონშესაბამის მონესრიგებას, შრომითი უფლებების რეალიზაციის ხასიათის იდენტურობის გამო.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. ბ-ი სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, ესე იგი, თავად დამსაქმებლის ინიციატივით, შესაბამისად, მოთხოვნა გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია „ყოველწლიური ფასიანი შვებულების“ შესახებ კონვენციის მე-6 მუხლის, შიდაეროვნული კანონმდებლობისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სწორი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ფასიანი შვებულებით სარგებლობის უფლების განხორციელებისას, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოს გააჩნია აქტიური სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ მან არათუ ხელი არ უნდა შეუშალოს აღნიშნული უფლებით სარგებლობას, არამედ – უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესაძ-



ლებლობა.

ფასიანი შევებულებით სარგებლობის უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უზრუნველყოს დასაქმებულთა მიერ ამ უფლების სამართლიანი რეალიზება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოებმა სამართალშეფარდების პროცესში არ გამოიყენეს კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინათ და გამოიყენეს კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინათ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილია ნორმატიული აქტების იერარქია მათი იურიდიული ძალის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტების იერარქიის დაცვა განაპირობებს სამართლიან და კანონიერ სამართალშეფარდებას. 1996 წლის 29 ოქტომბრის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ნორმატიული აქტების იერარქიის შესაბამისად, საქართველოს კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიმართ. აღნიშნული კანონის მე-17 მუხლის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელსაც უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს მინისტრის ბრძანების მიმართ. საქართველოს მინისტრის ბრძანება წარმოადგენს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომელიც უნდა გამოიციეს კანონის საფუძველზე, ესე იგი, შეესაბამებოდეს იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს. აღნიშნული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის წარმოქმნისას უპირატესობა ენიჭება იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამხედრო სამსახური წარმოადგენს საჯარო სამსახურს სახელმწიფოს თავდაცვის სისტემაში. 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტისა და 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მოსამსახურეთათვის დგინდება ყოველწლიური ანაზღაურებადი შევებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით. 1998 წლის 25 ივნისის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახურის გავლისას სამხედრო მოსამსახურეს ეძლევა ყოველწლიური შევებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო

სასამართლოს დასკვნას, რომ კასატორების მიერ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ მინისტრის ბრძანების გასაჩივრების უფლების გამოუყენებლობა იწვევს შვებულების ანაზღაურების უფლების დაკარგვას, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავით განსაზღვრულია, რომ შვებულების ანაზღაურების უფლება დათხოვნის შესახებ ბრძანების გასაჩივრების გარეშეა გარანტირებული.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის №583 ბრძანება არ ითვალისწინებს დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა შვებულების ანაზღაურებას, რაც სარჩელის არდაკმაყოფილების საფუძველი გახდა, უხეშად უგულებელყოფს მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, ნორმატიული აქტების ურთიერთმიმართებისა და მათი გამოყენების წესს.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე განმარტავს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის №583 ბრძანების მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის დათხოვნის შემთხვევაში კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლება გათვალისწინებული არ არის. მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანება გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესი“ მტკიცდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით. ამ წესით განისაზღვრება აღნიშნულ თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურებრივი ურთიერთობების საკითხები, მათ შორის, თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების, სამსახურის გავლის, ატესტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, ნახალისების ფორმებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების წესი და საფუძველები. ამ კანონის მოქმედება ამ პუნქტში მითითებულ თანამშრომლებზე/მოსამსახურეებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ სამხედრო მოსამსახურეებთან ურთიერთობების მარეგულირებელი კანონმდებლობით და ამავე პუნქტში მითითებული წესით სხვაგვარად არ რეგულირდება შესაბამისი სამსახურებრივი ურთიერთობები“.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, გ. ბ-ის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის უფლებაზე, ერთი მხრივ, ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლი, რომლითაც დადგენილია შვებულების ანაზღაურების ზოგადი წესი, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-15 თავის მე-6 პუნქტი, რომელიც გამოცემულია 1997 წლის 17 სექტემბრის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის საფუძველზე.

„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით ასევე დადგენილია სამხედრო მოსამსახურის უფლება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების შესახებ, რომლის მოქმედება უნდა გავრცელდეს კასატორზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს სადავო საკითხის გადასაწყვეტად უნდა გამოეყენებინა უპირველეს ყოვლისა, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს პრეზიდენტის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავის მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვით სამხედრო სამსახურიდან დასათხოვ ოფიცერს ზღვრული ასაკის, ავადმყოფობის გამო, რეორგანიზაციასთან და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით დათხოვნის წინ ეძლევა კუთვნილი შვებულება, რის შემდეგაც იგი იგზავნება სამხედრო-საექიმო კომისიაზე სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად.

აღნიშნული ნორმის ნამდვილი შინაარსის სწორი განმარტებით ცალსახად დგინდება გ. ბ-ის უფლება ფასიანი შვებულებით სარგებლობის შესახებ, ამიტომ საინააღმდეგო განმარტება გამოიწვევს პირის კანონით დაცული უფლებების შელახვას.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ შესახებ №583 ბრძანება, რომელიც არ ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში გამოუყენებელი, ყოველწლიური კუთვნილი შვებულების ფულად ანაზღაურებას, ეწინააღმდეგება იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს – სა-

ქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას, რომლითაც დამტკიცდა „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულება. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს შორის ამგვარი წინააღმდეგობის არსებობისას სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის აღნიშნული ბრძანების გამოყენებით არსებითად იზღუდება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავით დადგენილი უფლებრივი სივრცე.

აღნიშნული ბრძანების სადავო სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოყენების შედეგად, კასატორს უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად შეეზღუდა კუთვნილი შვებულების დარჩენილი ნაწილის ფულადი ანაზღაურების უფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება არის ყველა დანარჩენი უფლების რეალიზების საშუალება. სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების განხორციელება მოიცავს სამართალშეფარდების არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ – შინაარსობრივ კანონიერებას.

საკასაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას სარჩელის საფუძვლებზე უნდა იმსჯელოს 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ და 1998 წლის 25 ივნისის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონების, აგრეთვე 1998 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის“ წესის შესახებ დებულებით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში შეადგენდა 1292 ლარს. საქმის საკასაციო წესით განხილვისას კასატორმა წერილობითი მოსაზრებაში მოთხოვნის ოდენობად მიუთითა 1310 ლარი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოს საერთოდ არ გამოუკვლევია და არ მოუპოვებია მტკიცებულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან, სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების შემთხვევაში, რამდენი ეკუთვნოდათ აუნაზღაურებელი შვებულების თანხა მოსარჩელეებს.

ამდენად, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სარწმუნოდ

უნდა დადასტურდეს და სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით განსაზღვრული ოფიციალობის პრინციპის საფუძველზე უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს გ. ბ-ის აუნაზღაურებელი შვებულების თანხის ოდენობა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412.2 მუხლის თანახმად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მატერიალური და პროცესუალური საფუძვლები, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით განსაზღვრული ახალი გადაწყვეტილების მიღება საკასაციო სასამართლოს მიერ შეუძლებელია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს მითითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი მატერიალური და პროცესუალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 257-ე, 272-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. გ-ისა და გ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ვ. გ-ის შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის თაობაზე დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. ვ. გ-ის სარჩელის ნაწილში გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება;
5. ვ. გ-ის სარჩელზე შეწყდეს საქმის წარმოება, სარჩელზე უარის თქმის გამო;
6. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# პრემიის ანაზღაურების დაკისრება

## განჩინება

№ბს-1445-1427(კ-11)

4 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** დავალიანების ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ვ-ემ, ლ. ლ-ემ, ო. კ-ემ, მ. ი-ემ, ჯ. ლ-მა, მ. გ-ემ, გ. ჩ-ემ, გ. ა-ემ, მ. მ-ემ, ც. გ-ემ, პ. მ-მა, ტ. უ-ამ, დ. მ-ემ, გ. ხ-ამ, ე. ჭ-ა, ა. გ-ემ, გ. კ-მა, ნ. ი-ემ, ნ. ა-ემ და რ. ჯ-მა 13.05.09წ. სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, სახელფასო და სხვა დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით. სამართალწარმოების მიმდინარეობისას მოსარჩელეთა წარმომადგენელმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და წარმოადგინა იგი ცხრილის სახით.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ წლების განმავლობაში მუშაობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წყალტუბოს რაიონის სამხედრო კომისარიატში და ცენტრალურ სამხედრო სანატორიუმ „წყალტუბოში“ სხვადასხვა თანამდებობებზე, საიდანაც გათავისუფლდნენ სხვადასხვა დროს. მოპასუხეს მათ მიმართ გააჩნია სახელფასო და სხვა სახის დავალიანებები, რომლებიც ექვემდებარებიან ანაზღაურებას.

ი. ხ-ემ 04.03.09 წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.12.09წ. საოქმო განჩინებით მოსარჩელეთა წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმეთა გაერთიანების თაობაზე დაკმაყოფილდა, ადმინისტრაციული საქმე №3/1189-09, მ. ვ-ის, ლ. ლ-ის, ო. კ-ის, მ. ი-ის, ჯ. ლ-ის, მ. გ-ის, გ. ჩ-ის, გ. ა-ის, მ. მ-ის, ც. გ-ის, პ. მ-ის, ტ. უ-ის, დ. მ-ის, გ. ხ-ის, ე. ჭ-ის, ა. გ-ის, გ.

კ-ის, ნ. ი-ის, ნ. ა-ის და რ. ჯ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ დავალიანების ანაზღაურების თაობაზე და ადმინისტრაციული საქმე №3/3451-09, ი. ხ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ დავალიანების ანაზღაურების თაობაზე გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭა №3/1189-09.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.02.10წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელების მ. ვ-ის, ლ. ლ-ის, ო. კ-ის, მ. ი-ის, ჯ. ლ-ის, ი. ხ-ის, მ. გ-ის, გ. ჩ-ის, გ. ა-ის, მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აღნიშნული მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება; ც. გ-ის, პ. მ-ის, ტ. უ-ას, დ. მ-ის, გ. ხ-ას და ე. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად: მოპასუხეს მათ სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო და სხვა სახის დავალიანების ანაზღაურება, ხოლო მოსარჩელებს გ. კ-ს, ნ. ი-ეს, ნ. ა-ეს და რ. ჯ-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვათ უარი უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც, მ. ვ-ემ, ლ. ლ-ემ, ო. კ-ემ, მ. ი-ემ, ჯ. ლ-მა, ი. ხ-ემ, მ. გ-ემ, გ. ჩ-ემ, გ. ა-ემ, მ. მ-ემ, გ. კ-მა, ნ. ი-ემ, ნ. ა-ემ და რ. ჯ-მა (სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში), ასევე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.04.10წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.02.10წ. გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში; მ. ვ-ის, ლ. ლ-ის, ო. კ-ის, მ. ი-ის, ჯ. ლ-ის, ი. ხ-ის, მ. გ-ის, გ. ჩ-ის, გ. ა-ის, მ. მ-ის, ნ. ი-ის, ნ. ა-ისა და რ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.02.10წ. გადაწყვეტილება მ. ვ-ის, ლ. ლ-ის, ო. კ-ის, მ. ი-ის, ჯ. ლ-ის, ი. ხ-ის, მ. გ-ის, გ. ჩ-ის, გ. ა-ის, მ. მ-ისათვის პრემიისა და დახმარების, რ. ჯ-ის დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმის, ნ. ი-ის ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურებაზე უარის თქმის, ნ. ა-ისათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; უცვლელად დარჩა თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.02.10წ. გადაწყვეტილება ნ. ი-ის და გ. კ-ის საწინააღმდეგო ქონების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.

აღნიშნული განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომლის საკასაციო საჩივარიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.09.10წ. განჩინებით მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.11.10წ. გადაწყვეტილებით გ. ა-ეს, ი. ხ-ეს, გ. ჩ-ეს, მ. მ-ეს, მ. გ-ეს, მ. ვ-ეს, ლ. ლ-ეს, ო. კ-ეს, მ. ი-ეს, ჯ. ლ-ს, ნ. ი-ეს, რ. ჯ-ს და ნ. ა-ეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვათ უარი ხანდაზმულობისა და უსაფუძვლოების გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის და „სამხედრო სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 1998-1999 წწ. მოქმედი რედაქციის საფუძველზე აღნიშნა, რომ ჯილდო და დახმარება ხელფასის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს, რადგან საქართველოს პრეზიდენტის 5.11.2004 წ. №493 „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ ბრძანებულების თანახმად ხელფასი მოიცავს თანამდებობრივ სარგოს და წოდების სარგოს, ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმა დაადგინა რომ მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, ამავე დროს ხსენებული კანონით დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებათა ფარგლებში. პრემიას და დანამატებს ხელფასის სტატუსი არ გააჩნია და ხელფასის შემადგენელ ნაწილად არ მოიაზრება, რადგან კანონი დანამატების გაცემას უკავშირებს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებათა ფარგლებში განხორციელებას. სასამართლომ მითითებული ვალდებულებები (ჯილდო და დახმარება) პერიოდულად შესასრულებულ ვალდებულებებად მიიჩნია და ვინაიდან პერიოდულად შესრულებელი ვალდებულებები არ წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონითა და შრომის კანონთა კოდექსით ან სპეციალური კანონით სამხედრო მოსამსახურის შესახებ, მათ მიმართ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის



სამწლიანი ვადა. აღნიშნულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით მოსარჩელებს გ. ა-ეს, ი. ხ-ეს, გ. ჩ-ეს, მ. მ-ეს, მ. გ-ეს, მ. ვ-ეს, ლ. ლ-ეს, ო. კ-ეს, მ. ი-ეს და ჯ. ლ-ს ჯილდოსა და დახმარების ანაზღაურებაზე ეთქვათ უარი ხანდაზმულობის გამო.

საქალაქო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით განსაზღვრულ მტკიცების ტვირთის განაწილების წესზე მითითებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ ასევე: ნ. ი-ეს (615 ლარის ოდენობით გაუცემელი ერთჯერადი დახმარების ანაზღაურებაზე), რ. ჯ-ს (674,66 ლარის ოდენობით გაუცემელი დავალიანების ანაზღაურებაზე), ნ. ა-ეს (771,83 ლარის ოდენობით გაუცემელი დავალიანების ანაზღაურებაზე).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.11.10წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ვ-ემ, ლ. ლ-ემ, ო. კ-ემ, მ. ი-ემ, ჯ. ლ-მა, ი. ხ-ემ, მ. გ-ემ, გ. ჩ-ემ, გ. ა-ემ, მ. მ-ემ, გ. კ-მა, ნ. ი-ემ და რ. ჯ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.07.11წ. განჩინებით მ. ვ-ის, მ. გ-ის, ლ. ლ-ის, მ. მ-ის, ო. კ-ის, მ. ი-ის, გ. ა-ის, ჯ. ლ-ის, გ. ჩ-ის, ნ. ა-ის, ნ. ი-ის, რ. ჯ-ისა და ი. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.11.10წ. გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება და აღნიშნა, რომ აპელანტის მიერ ვერ იქნა გაბათილებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რისი გათვალისწინებითაც მიიჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. პალატამ ასევე მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილია კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.11.2006წ. გადაწყვეტილების ასლი, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ ნ. ი-ის მიერ აღძრული იყო სარჩელი 2126,75 ლარის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით, რაც დაკმაყოფილდა. სახელფასო დავალიანება მოიცავდა ხელფასისა და კვების თანხებს, ასევე ჯილდოს, დახმარების და კომპენსაციის ოდენობებს.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. ვ-ემ, ლ. ლ-ემ, ო. კ-ემ, მ. ი-ემ, ჯ. ლ-მა, ი. ხ-ემ, მ. გ-ემ, გ. ჩ-ემ, გ. ა-

ემ, მ. მ-ემ, გ. კ-მა, ნ. ი-ემ და რ. ჯ-მა. კასატორებმა მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.07.11წ. განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ ლ. ლ-ემ, მ. ი-ემ და მ. მ-ემ მოითხოვეს პრემიის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხების ანაზღაურება, მ. ვ-ემ, ო. კ-ემ, ჯ. ლ-მა, ი. ხ-ემ, მ. გ-ემ, გ. ჩ-ემ და გ. ა-ემ – პრემიის და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხების ანაზღაურების მოთხოვნასთან ერთად მოითხოვეს ასევე კვების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება, რ. ჯ-მა – გადაუხდელი თანხის, ნ. ი-ემ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების და სანივთე ქონების კომპენსაციის თანხის, ხოლო გ. კ-მა სანივთე ქონების კომპენსაციის ანაზღაურება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.03.2012წ. განჩინებით მ.ვ-ის, ლ.ლ-ის, ო.კ-ის, მ.ი-ის, ჯ.ლ-ის, ი.ხ-ის, მ.გ-ის, გ.ჩ-ის, გ.ა-ის, მ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.07.11წ. განჩინებაზე პრემიის თანხების ანაზღაურების, ნ.ი-ის საკასაციო საჩივარი ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების და გ.კ-ის საკასაციო საჩივარი სანივთე ქონების კომპენსაციის თაობაზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად; მ.ვ-ის, ო.კ-ის, ჯ.ლ-ის, ი.ხ-ის, მ.გ-ის, გ.ჩ-ის და გ.ა-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.07.11წ. განჩინებაზე კვებისა და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების თაობაზე, ლ.ლ-ის, მ.ი-ის, მ.მ-ის საკასაციო საჩივარი ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების თაობაზე, რ.ჯ-ის საკასაციო საჩივარი გადაუხდელი თანხის ანაზღაურების თაობაზე და ნ.ი-ის საკასაციო საჩივარი სანივთე ქონების კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. კ-ის საკასაციო საჩივარზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება, ხოლო მ. ვ-ის, ლ. ლ-ის, ო.კ-ის, მ.ი-ის, ჯ.ლ-ის, ი.ხ-ის, მ.გ-ის, გ.ჩ-ის, გ.ა-ის, მ.მ-ის და ნ.ი-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორების მ. ვ-ის, ლ.ლ-ის, ო.კ-ის, მ.ი-ის, ჯ. ლ-ის, ი.ხ-ის, მ.გ-ის, გ.ჩ-ის, გ.ა-ის და მ.მ-ის განსახილველად დაშვებულ მოთ-

ხოვნას შეადგენს მოპასუხისათვის პრემიის ანაზღაურების დაკისრება. აღნიშნულთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი დასაბუთება და აღნიშნა, რომ პრემია არ არის ხელფასის შემადგენელი ნაწილი, მას არ აქვს ხელფასის სტატუსი და იგი წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რომელზეც ვრცელდება სკ-ის 129-ე მუხლის მოქმედება, რის საფუძველზეც, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტთა მოთხოვნა პრემიის ანაზღაურების შესახებ ხანდაზმულია. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), ხელფასი მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დანესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრემია განიხილება ხელფასის შემადგენელ ნაწილად, ხელფასის დანამატად, რადგან თავად კანონი განსაზღვრავს პრემიის სამართლებრივ სტატუსს. პრემიის სამართლებრივ ბუნებას არ ცვლის ის ფაქტი, რომ იგი გაიცემა პერიოდულად. მისი გაცემა გარკვეული ინტერვალებით არ წარმოშობს სკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისთვის, პრემიის პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებად მიჩნევის საფუძველს.

პრემიის დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ არ გავრცელდება არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასარჩელო ხანდაზმულობის ერთთვიანი ვადა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134<sup>1</sup> მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა მოხდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის შესაბამისად. სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურად ხდება წარმოქმნილ დავალიანებათა დასაფარავად გარკვეული თანხების გამოყოფა და განისაზღვრება დავალიანების დაფარვის წესი. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ გასაცემლებზე (მათ შორის პრემიაზე) ხანდაზმულობის გამო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის

თქმა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. კასატორთა სამსახურიდან 2005 წლის 1 იანვრამდე დათხოვნა და პრემიალური თანხის დავალიანების არსებობა ქმნის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. ამდენად, საქმეზე საჭირო დასადგენ გარემოებათა რიგს განეკუთვნება კასატორთა სამსახურიდან გათავისუფლების თარიღი და პრემიალური დავალიანების არსებობა, შემადგენლობა და მისი ოდენობა, საქმეზე უნდა გაირკვეს აგრეთვე თუ რა სტატუსით სარგებლობდნენ მოსარჩელები გათავისუფლების მომენტში, კერძოდ მათზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-5 – მე-7 მუხლებით გათვალისწინებული მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის სტატუსის გავრცელების შესაძლებლობა. გარკვევას საჭიროებს აგრეთვე ხანდაზმულობის გამომრიცხავი გარემოებების არსებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით პრემიალური თანხების დავალიანების ანაზღაურებაზე უარი არ არის დასაბუთებული. დაუსაბუთებელია აგრეთვე ნ.ი-ის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი იმ გარემოებაზე მითითებით, რომ კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.11.2006წ. გადაწყვეტილებით ნ.ი-ის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა 2126,75 ლარის ოდენობით სახელფასო დავალიანების გადახდა. საქმეზე არ არის დადგენილი 16.11.06 წ. გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული ანაზღაურება მოიცავდა თუ არა ერთჯერად გასასვლელ თანხას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს არსებითად უნდა ემსჯელა ნ. ი-ის მოთხოვნის სასამართლებრივ საფუძვლებზე. ამასთანავე, უკეთუ არსებობდა იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე და იმავე საფუძვლით გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, აღნიშნული წარმოადგენდა საქმის წარმოების შეწყვეტის (სსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) და არა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. საქმის მასალებს არ ემყარება აგრეთვე სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქმეში არ არის დაცული ნ.ი-ის მიმართ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალიანების დამადასტურებელი მტკიცებულება. საქმეში დაცულია ყოფილი სამხედრო სანატორიუმ „წყალტუბოს“ თანამშრომელთა სახელფასო დავალიანების შესახებ საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსის მიერ ხელმოწერილი ცნობა, რომლის თანახმადაც ნ. გ. ი-ის მიმართ გასასვლელი დახმარების დავალიანება შეადგენს 615 ლარს. ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო პალატა

მიუთითებს, რომ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება არ არის მოცული ხელფასის ცნებით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134<sup>1</sup> მუხლის მოქმედება არ ვრცელდება კანონით განსაზღვრულ კომპენსაციაზე, ამდენად საქმეზე გარკვევას საჭიროებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცულობის საკითხიც. სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის დადგენილი ნ.ი-ის სამსახურიდან გათავისუფლების დრო, რაც შეუძლებელს ხდის სარჩელის აღძვრის მომენტში (13.05.09წ.) მოსარჩელის მიერ სკ-ის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დაცულობის გარკვევას. აღნიშნულთან დაკავშირებით დადგენას საჭიროებს აგრეთვე ხანდაზმულობის გამომრიცხავი გარემოებების გარკვევა, კერძოდ, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის მოთხოვნით უფლებამოსილი ორგანოსადმი მიმართვა, ვალდებულების აღიარება. საკასაციო პალატა ვერ იქონიებს მსჯელობას ნ. ი-ის მოთხოვნაზე სანივთო ქონების კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში, აგრეთვე რ. ჯ-ისათვის გადაუხდელი თანხის ანაზღაურების ნაწილში, ვინაიდან ეს მოთხოვნები დაუშვებლად იქნა მიჩნეული საკასაციო სასამართლოს მიერ. საკასაციო პალატა ვერ იქონიებს მსჯელობას აგრეთვე დანარჩენი კასატორების ერთჯერადი გასასვლელი დახმარებების თანხის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნის მიმართ, ვინაიდან სსკ-ის 406-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება საკასაციო განხილვის ეტაპზე დაუშვებელია, შესაბამისად მოთხოვნის ეს ნაწილი საკასაციო სასამართლოს მიერ არ იქნა დაშვებულად ცნობილი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ უნდა შეწყდეს საკასაციო წარმოება გ.კ-ის მოთხოვნასთან დაკავშირებით. გ. კ-ის მოთხოვნას შეადგენს მოპასუხისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის 909,4 ლარის ოდენობით სანივთე ქონების კომპენსაციის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.02.2010წ. გადაწყვეტილებით გ.კ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც სხვა აპელანტებთან ერთად გაასაჩივრა გ. კ-მა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.04.2010წ. განჩინებით უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება გ. კ-ისთვის სანივთე ქონების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, გადაწყვეტილება გაუქმდა სხვა პირთა მოთხოვნების ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია გ. კ-ს. ამდენად, სსკ-ის

264-ე მუხლის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.02.2010 წ. გადაწყვეტილება გ. კ-შვილის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში კანონიერ ძალაში შესული. პირველი ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოება გაგრძელდა სასარჩელო მოთხოვნათა იმ ნაწილში, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოში ხელახალი განხილვისთვის დააბრუნა. აღნიშნული სამართალწარმოება დასრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.11.2010წ. გადაწყვეტილებით, რომლის სარეზოლუციო ნაწილიც არ წარმოშობდა რაიმე უფლება-მოვალეობებს გ.კ-ისთვის, რადგან მისი მოთხოვნის ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილება (11.02.2010წ. გადაწყვეტილება) კანონიერ ძალაში იყო შესული. მიუხედავად აღნიშნულისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.11.2010წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით, სხვა აპელანტებთან ერთად, გ.კ-მაც გაასაჩივრა. სადავო გადაწყვეტილებასთან (30.11.2010წ. გადაწყვეტილება) მიმართებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ისე გამოიტანა 26.07.2011 წ. განჩინება, რომ სააპელაციო ინსტანციაში მიმდინარე სამართალწარმოებაში გ.კ-ი წართული არ ყოფილა: იგი არ მოწვეულა სასამართლო სხდომებზე, მას არ ეგზავნებოდა წარმოების მასალები და არც სააპელაციო პალატის განჩინებაში ყოფილა მსჯელობა მის სასარჩელო მოთხოვნაზე. მიუხედავად ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.07.2011წ. განჩინება საკასაციო წესით, სხვა კასატორებთან ერთად, გ. კ-მაც გაასაჩივრა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 264-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტს, ხოლო სსკ-ის 266-ე მუხლი ადგენს ფორმალურად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებს და უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო და სავალდებულო ძალას. სსკ-ის 266-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში მოთხოვნები იმავე საფუძველზე. სსკ-ის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმადაც, სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით წყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შო-

რის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. სწორედ აღნიშნული გარემოება განსახილველ შემთხვევაში სახეზე: გ.კ-ი საკასაციო წესით ასაჩივრებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.07.2011წ. განჩინებას და ითხოვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის 909,4 ლარის ოდენობით სანივთე ქონების კომპენსაციის დაკისრებას, მაშინ როდესაც მის ამ მოთხოვნაზე უკვე ნამსჯელი აქვთ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს და სააპელაციო პალატის განჩინება მისი მოთხოვნის ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული. აღნიშნული გარემოება სსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გ. კ-ის საკასაციო საჩივარზე წარმოების შეწყვეტის საფუძველია. ამასთანავე, სზაკ-ის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილ სუბიექტებს წარმოადგენენ მხარეები ან სავალდებულო მონვევის მესამე პირები ანუ პირები, რომელთა მიმართაც გარკვეული უფლება-მოვალეობების განსაზღვრის მიზნით მიიღება გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ გამოუტანია გ. კ-ის მიმართ. სააპელაციო პალატის განჩინებაში მსჯელობა არ ყოფილა მის სასარჩელო მოთხოვნაზე და არც სარეზოლუციო ნაწილი შეიცავდა რაიმე დათქმას გ.კ-თან დაკავშირებით. ამდენად, გ. კ-ი მოკლებული იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.07.2011წ. განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას, რადგან ერთი მხრივ, მისი სასარჩელო მოთხოვნის მიმართ უკვე გამოტანილი იყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ხოლო მეორე მხრივ, გასაჩივრებული განჩინება არ წარმოშობდა გ.კ-ისათვის რაიმე სახის უფლება-მოვალეობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად არ არის გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, რის გამოც სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე იგი უნდა გაუქმდეს მ.ვ-ის, ლ.ლ-ის, ო.კ-ის, მ.ი-ის, ჯ.ლ-ის, ი.ხ-ის, მ.გ-ის, გ.ჩ-ის, გ.ა-ის და მ.მ-ის პრემიის თანხების ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმისა და ნ.ი-ის ერთჯერადი (გამოსასვლელი) თანხის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ხოლო გ.კ-ის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. გ.კ-ის საკასაციო საჩივარზე შეწყდეს საქმის წარმოება;
2. მ.ვ-ის, ლ.ლ-ის, ო.კ-ის, მ.ი-ის, ჯ.ლ-ის, ი.ხ-ის, მ.გ-ის, გ.ჩ-ის, გ.ა-ის, მ.მ-ის, ნ.ი-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.07.2011წ. განჩინება მ.ვ-ის, ლ.ლ-ის, ო.კ-ის, მ.ი-ის, ჯ.ლ-ის, ი.ხ-ის, მ.გ-ის, გ.ჩ-ის, გ.ა-ის და მ.მ-ის პრემიის თანხების ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმისა და ნ.ი-ის ერთჯერადი (გამოსასვლელი) თანხის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ერთჯერადი განასკლავი დახმარების ანაზღაურება**

### **განჩინება**

№ბს-1292-1277(კ-კს-11)

4 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** დავალიანების ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მოსარჩელეებმა: ლ. ა-მა, გ. ა-ამ, ნ. ა-ამ, გ. ა-ემ, ი. ა-მა, ზ. გ-მა, ჯ. გ-ემ, მ. -ემ, ც. გ-ემ, დ. გ-ემ, მ. გ-ემ, ს. ე-ამ, ლ. ე-ემ, ზ. ზ-



ამ, გ. თ-ამ, ლ. ი-მა, რ. ი-მა, ი. კ-ამ (მ. კ-ას მემკვიდრე), ნ. კ-მა, მ. კ-მა, გ. მ-მა, მ. მ-მა, ნ. მ-ემ, ნ. მ-ემ, ე. მ-მა, ლ. პ-ამ, ლ. პ-მა, ლ. რ-ამ, ი. ტ-ემ, ა. ტ-ომ, ნ. უ-ამ, ნ. ფ-ამ, ზ. ქ-ემ, ო. ჩ-მა, მ. ჩ-ემ, მ. ჩ-ემ, ლ. ჩ-ემ, შ. წ-მა, ი. წ-ა-ო-მა, ა. ხ-ამ, ე. ჯ-ემ, მ. ჯ-ამ, ნ. ჯ-ამ, გ. ჯ-ემ, მ. ჯ-ემ, მ. მ-ემ, მ. მ-ემ, ა. ო-მა, მ. ვ. ა-ემ, თ. ა-ემ, მ. ო. ა-ემ, ა. ლ-ემ, ი. ა-მა, ნ. მ-მა, თ. ჯ-ემ (ნ. ჯ-ის მემკვიდრემ), მ. ბ-ემ, ლ. ა-ამ 06.05.10წ. სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელებმა სარჩელში აღნიშნეს, რომ წლების განმავლობაში მუშაობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ სამხედრო სანატორიუმ „წყალტუბოში“, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მათ მიმართ გააჩნდა სახელფასო და სხვა სახის დავალიანება. შესაბამისად, მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხეს მათ სასარგებლოდ დაეკისროს მიუღებელი სახელფასო დავალიანების, ერთჯერადი და გასასვლელი დახმარების თანხების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.12.10წ. საოქმო განჩინებით, სსსკ-ის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეჩერდა საქმის წარმოება მოსარჩელე თ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნაზე მისი გარდაცვლილი მეუღლის ნ. ხ-ას მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში უფლებამონაცვლობის დადგენამდე, ხოლო თ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნა ნ. ხ-ას მემკვიდრედ ცნობის შესახებ განსჯადობით გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რომლის შემადგენლობაშიც შედის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაგისტრატი მოსამართლე იმავე საოქმო განჩინებით მ. კ-ას უფლებამონაცვლედ, სსსკ-ის 92-ე მუხლის საფუძველზე, ცნობილ იქნა ი. კ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.01.11წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელების: ლ. ა-ის, ს. ე-ას, რ. ი-ის, ან. გარდაცვლილი მ. კ-ას უფლებამონაცვლის ი. კ-ას, ნ. მ-ის, ე. მ-ის, გ. ჯ-ის, მ. ვ. ა-ის, მ. ბ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ: მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების 81,01 ლარის, ს. ე-ას სასარგებლოდ – სახელფასო დავალიანების 256,49 ლარის, რ. ი-ის სასარგებლოდ – სახელფასო დავალიანების 515,13 ლარის, ი. კ-ას (ან. გარდაცვლილი მ. კ-ას უფლებამონაცვლის) სასარგებლოდ – სახელფასო დავალიანების 449,72 ლარის, ნ. მ-ის სასარგებლოდ – სახელფასო დავალიანების 416,32 ლარის, ე. მ-

ის სასარგებლოდ – სახელფასო დავალიანების 51,92 ლარის, გ. ჯ-ის სასარგებლოდ – სახელფასო დავალიანების 495,17 ლარის, მ. ვ. ა-ის სასარგებლოდ – სახელფასო დავალიანების 561,30 ლარის, მ. ბ-ის სასარგებლოდ – სახელფასო დავალიანების 530,28 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელებს გ. ა-ას, ნ. ა-ას, გ. ა-ეს, ი. ა-ს, ზ. გ-ს, ჯ. გ-ეს, მ. გ-ეს, ც. გ-ეს, დ. გ-ეს, მ. გ-ეს, ლ. ე-ეს, ზ. ზ-ას, გ. თ-ას, ლ. ი-ს, ნ. კ-ს, მ. კ-ს, გ. მ-ს, მ. მ-ს, ნ. მ-ეს, ლ. პ-ას, ლ. პ-ს, ლ. რ-ას, ი. ტ-ეს, ა. ტ-ოს, ნ. უ-ას, ნ. ფ-ას, ზ. ქ-ეს, ო. ჩ-ს, მ. ჩ-ეს, მ. ჩ-ეს, ლ. ჩ-ე, შ. ნ-ს, ი. ნ-ა-ო-ს, ა. ხ-ას, ე. ჯ-ეს, მ. ჯ-ას, ნ. ჯ-ას, მ. ჯ-ეს, მ. თ. მ-ეს, მ. მ-ეს, ა. ო-ს, თ. ვ. ა-ეს, მ. ო. ა-ეს, ა. ლ-ეს, ი. ა-ს, ნ. მ-ს, თ. ჯ-ეს, სასარჩელო მოთხოვნაზე – მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაკისრების თაობაზე ეთქვათ უარი უსაფუძვლობის გამო. მოსარჩელებს – ლ. ა-ს, გ. ა-ას, ნ. ა-ას, გ. ა-ეს, ი. ა-ს, ჯ. გ-ეს, მ. გ-ეს, ც. გ-ეს, დ. გ-ეს, მ. გ-ეს, ს. ე-ას, ლ. ე-ეს, ზ. ზ-ას, გ. თ-ას, ლ. ი-ს, რ. ი-ს, ნ. კ-ს, მ. კ-ს, გ. მ-ს, მ. მ-ს, ნ. მ-ეს, ნ. მ-ეს, ე. მ-ს, ლ. პ-ას, ლ. რ-ას, ი. ტ-ეს, ნ. უ-ას, ნ. ფ-ას, ზ. ქ-ეს, ო. ჩ-ს, მ. ჩ-ეს, მ. ჩ-ეს, ლ. ჩ-ეს, შ. ნ-ს, ი. ნ-ა-ო-ს, ა. ხ-ას, ე. ჯ-ეს, მ. ჯ-ას, ნ. ჯ-ას, მ. ჯ-ეს, მ. მ-ეს, მ. მ-ეს, ა. ო-ს, მ. ვ. ა-ეს, თ. ა-ეს, ა. ლ-ეს, ი. ა-ს, ნ. მ-ს, ლ. ა-ას სასარჩელო მოთხოვნაზე – მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ერთჯერადი და საბოლოო გასასვლელი დახმარების თანხების დაკისრების თაობაზე ეთქვათ უარი უსაფუძვლობის გამო. მოსარჩელებს – ს. ე-ას, რ. ი-ს, ნ. მ-ეს, გ. ჯ-ეს, მ. ვ. ა-ეს, მ. ბ-ეს უარი ეთქვათ მოპასუხისათვის კვების კომპენსაციის თანხის ანაზღაურების დაკისრებაზე, ხოლო ე. მ-ს – სანივთე ქონების კომპენსაციის თანხის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 12.01.2011წ. გადანყვეტილებაში მიუთითა, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.2004 წ. №493 ბრძანებულების 33-ე პუნქტის თავდაპირველი რედაქციის შესაბამისად სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის გამო ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების მიხედვით ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოს სა-

ხით. 31.12.2004 წ. საქართველოს პრეზიდენტის №640 ბრძანებულებით ცვლილება შევიდა №493 ბრძანებულებაში, რის შედეგადაც ზემოაღნიშნული 33-ე პუნქტი გაიყო ორ პუნქტად და ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი იმ პირებზე, რომლებიც დათხოვნილნი იქნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტით განისაზღვრა. იმავე ბრძანებულების 61<sup>1</sup> პუნქტით ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 სექტემბრის №531 ბრძანებულებით ზემოაღნიშნული 33<sup>1</sup> პუნქტით ბრძანებულებიდან საერთოდ იქნა ამოღებული. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის 05.11.2004 წ. №493 ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტმა იმოქმედა 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 21 სექტემბრამდე, ხოლო სარჩელი სასამართლოში აღძრულია 06.05.2010 წ., მოსარჩელებს ერთჯერადი გასასვლელი დახმარების მოთხოვნით ნორმის მოქმედების პერიოდში არ მიუძღრთავთ სასამართლოსთვის ანუ არ მოუხდენიათ უფლების რეალიზაცია. შესაბამისად, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების და საბოლოო გასასვლელი დახმარების თანხების ანაზღაურების შესახებ მოსარჩელეთა მოთხოვნა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.01.11წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც მოსარჩელებმა (ი. კ-ას, ე. მ-ის, ი. ტ-ის და ა. ტ-ოს გარდა), ასევე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.11წ. გადაწყვეტილებით ლ. ა-ის, გ. ა-ას, ნ. ა-ას, გ. ა-ის, ი. ა-ის, ზ. გ-ის, ჯ. გ-ის, მ. გ-ის, ც. გ-ის, დ. გ-ის, მ. გ-ის, ს. ე-ას, ლ. ე-ის, ზ. ზ-ას, გ. თ-ას, ლ. ი-ის, რ. ი-ის, ნ. კ-ის, მ. კ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ის, ნ. მ-ის, ნ. მ-ის, ლ. პ-ას, ლ. პ-ის, ლ. რ-ას, ნ. უ-ას, ნ. ფ-ას, ზ. ქ-ის, ო. ჩ-ის, მ. ჩ-ის, მ. ჩ-ის, ლ. ჩ-ის, შ. წ-ის, ი. წ-ა-ო-ის, ა. ხ-ას, ე. ჯ-ის, მ. ჯ-ას, ნ. ჯ-ას, გ. ა. ჯ-ის, მ. ჯ-ის, მ. მ-ის, მ. მ-ის, ა. ო-ის, მ. ვ. ა-ის, თ. ა-ის, მ. ო. ა-ის, ა. ლ-ის, ი. ა-ის, ნ. მ-ის, მ. ბ-ის, ლ. ა-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.01.11წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მოსარჩელების – ს. ე-

ას, ნ. მ-ის, ლ. ა-ის, რ. ი-ის და მ. ვ. ა-ის მიმართ შეწყდა საქმის წარმოება სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გარდაცვლილი ნ. ხ-ას (ჯ-ის) მემკვიდრის – თ. ჯ-ის სასარჩელო მოთხოვნის შეჩერების ნაწილში საქმე დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განსახილველად.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასება ერთჯერადი და საბოლოო გასასვლელი დახმარების თანხების ანაზღაურების თაობაზე და მიუთითა, რომ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება და საბოლოო გასასვლელი დახმარება არის ერთმანეთის იდენტური ცნებები. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასაბუთება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ს. ე-ას, ნ. მ-ის, ლ. ა-ის, რ. ი-ის და მ. ვ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში სახეზეა სსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, რომელიც გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეწყვეტას, თუკი არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. სააპელაციო პალატის მითითებით აღნიშნულ პირებზე იგივე სასარჩელო მოთხოვნის თაობაზე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილებები, რაც გამორიცხავს იგივე მხარეების მიერ იგივე სადავო სამართალურთიერთობის დარეგულირების, იგივე საფუძვლით განხილვის და გადაწყვეტის საპროცესო შესაძლებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.11წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს კასატორებმა ლ. ა-მა და სხვებმა (46 კასატორი) და მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.11წ. გადაწყვეტილების გაუქმება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებულ ნაწილში და გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღება სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე, კერძოდ, ლ. ა-მა, გ. ა-ამ, ნ. ა-ამ, გ. ა-ემ, ჯ. გ-ემ, მ. გ-ემ, ც. გ-ემ, დ. გ-ემ, მ. გ-ემ, ლ. ე-ემ, ზ. ზ-ამ, გ. თ-ამ, ლ. ი-იმ, რ. ი-მა, ნ. კ-მა, მ. კ-მა, გ. მ-მა, მ. მ-მა, ნ. მ-ემ, ლ. პ-ამ, ლ. რ-ამ, ნ. უ-ამ, ნ. ფ-ამ, ზ. ქ-ემ, ო. ჩ-მა, მ. ჩ-ემ, მ. ჩ-ემ, ლ. ჩ-ემ, შ. ნ-მა, ი. ნ-ა-ო-მა, ა. ხ-ამ, ე. ჯ-ემ, მ. ჯ-ამ, ნ. ჯ-ამ, მ. ჯ-ემ, მ. მ-ემ, ა. ლ-ემ, ი. ა-მა, ნ. მ-მა, მ.

ბ-ემ და ლ. ა-ამ მოითხოვეს საბოლოო და ერთჯერადი გასასვლელი თანხების ანაზღაურება, ლ. ა-მა და რ. ი-მა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნასთან ერთად მოითხოვეს ასევე სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაც, ხოლო გ. ჯ-ემ, მ. მ-ემ, მ. ვ. ა-ემ, თ. ა-ემ, მ. ო. ა-ემ – მხოლოდ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა „სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. №493 ბრძანებულების 33<sup>1</sup> და 61<sup>1</sup> პუნქტები, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134<sup>1</sup> მუხლი. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ როგორც სახელფასო დავალიანების, ისე ერთჯერადი გასასვლელი თანხის ანაზღაურების მოთხოვნით არაერთხელ მიმართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 21 სექტემბრამდე პერიოდში. კერძოდ, 04.07.06წ. მიმართეს საქართველოს პრემიერ მინისტრს, 10.08.06წ-ს მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, 24.06.06წ. მიმართეს საქართველოს ფინანსთა მინისტრს, 10.07.07წ. მიმართეს საქართველოს თავდაცვის მინისტრს, 09.07.07წ. მიმართეს საქართველოს თავდაცვის მინისტრს, 06.06.07წ. №41, 10.07.10წ. №66, 26.07.07წ. №85 წერილებით მოსარჩელების წარმომადგენელმა მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ თავდაცვის სამინისტროს 06.07.07წ. №9/2035 და 01.08.06წ. №9/2438 წერილები, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს 19.07.06წ. №04-02/7165 წერილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ დაპირებას.

სააპელაციო სასამართლოს 15.06.2011 წ. გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გასაჩივრდა რ. ი-ის, ლ. ა-ის, მ. ვ. ა-ის, ს. ე-ას და ნ. მ-ის მიერ საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.12.11წ. განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2011წ. გადაწყვეტილებაზე ნ. მ-ის, მ. ბ-ისა და მ. ჯ-ას საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად ხარვეზის შეუუსებლობის გამო, ხოლო ლ. ა-ის, გ. ა-ას, ნ. ა-ას, გ. ა-ის, ჯ. გ-ის, მ. გ-ის, ც. გ-ის, დ. გ-ის, მ. გ-ის, ლ. ე-ის, ზ. ზ-ას, გ. თ-ას, ლ. ი-ის, რ. ი-ის, ნ. კ-ის, მ. კ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ის, ლ. პ-ას, ლ. რ-ას, ნ. უ-ას, ნ. ფ-ას, ზ. ქ-ის, ო. ჩ-ის, მ. ჩ-ის, მ. ჩ-ის, ლ. ჩ-ის, შ. წ-ის, ი. წ-ა-ო-ის, ა. ბ-ას, ე. ჯ-ის, ნ. ჯ-ას, გ. ჯ-ის, მ. ჯ-ის, მ. მ-ის, მ. მ-ის, მ. ვ. ა-ის, თ. ა-ის, მ. ო. ა-ის, ა. ლ-ის, ი. ა-ის, ნ. მ-ის და ლ. ა-ას (43

კასატორი) საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.03.2012წ. განჩინებით ლ. ა-ის, გ. ა-ას, ნ. ა-ას, გ. ა-ის, ჯ. გ-ის, მ. გ-ის, ც. გ-ის, დ. გ-ის, მ. გ-ის, ლ. ე-ის, ზ. ზ-ას, გ. თ-ას, ლ. ი-ის, რ. ი-ის, ნ. კ-ის, მ. კ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ის, ლ. პ-ას, ლ. რ-ას, ნ. უ-ას, ნ. ფ-ას, ზ. ქ-ის, ო. ჩ-ის, მ. ჩ-ის, მ. ჩ-ის, ლ. ჩ-ის, შ. წ-ის, ი. წ-ა-ო-ის, ა. ხ-ას, ე. ჯ-ის, ნ. ჯ-ას, მ. ჯ-ის, მ. მ-ის, ა. ლ-ის, ი. ა-ის, ნ. მ-ის და ლ. ა-ას საკასაციო საჩივარი საბოლოო და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ხოლო ლ. ა-ის, რ. ი-ის, გ. ჯ-ის, მ. მ-ის, მ. ვ. ა-ის, თ. ა-ის და მ. ო. ა-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.11წ. განჩინებაზე სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო და კერძო საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ა-ის, გ. ა-ას, ნ. ა-ას, გ. ა-ის, ჯ. გ-ის, მ. გ-ის, ც. გ-ის, დ. გ-ის, მ. გ-ის, ლ. ე-ის, ზ. ზ-ას, გ. თ-ას, ლ. ი-ის, რ. ი-ის, ნ. კ-ის, მ. კ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ის, ლ. პ-ას, ლ. რ-ას, ნ. უ-ას, ნ. ფ-ას, ზ. ქ-ის, ო. ჩ-ის, მ. ჩ-ის, მ. ჩ-ის, ლ. ჩ-ის, შ. წ-ის, ი. წ-ა-ო-ის, ა. ხ-ას, ე. ჯ-ის, ნ. ჯ-ას, მ. ჯ-ის, გ. ჯ-ის, მ. მ-ის, ა. ლ-ის, ი. ა-ის, ნ. მ-ის და ლ. ა-ას საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორთა განსახილველად დაშვებულ მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის ერთჯერადი და გასასვლელი თანხების გადახდის დაკისრება. კასატორები მიიჩნევენ, რომ ერთჯერადი და გასასვლელი თანხები სხვადასხვა სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელი ცნებებია და შესაბამისი თანხები ცალ-ცალკე უნდა იქნენ ანაზღაურებულნი, რასაც სასამართლო არ ეთანხმება. კასატორების მოსაზრება ამ ნაწილში არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს. საკასაციო პალატა იზიარებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და თვლის, რომ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება და საბოლოო გასასვლელი დახმარება იდენტური ცნებებია, შესაბამისად, არ არსებობს მათი ცალ-ცალკე გან-

ხილვის და დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 30.12.10წ. გადაწვეტილებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება იმის შესახებ, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. №493 ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 31.12.04წ. №640 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილების თანახმად ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი იმ პირებზე, რომლებიც დათხოვნილი იქნენ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, განისაზღვრა ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტით. იმავე ბრძანებულების 61<sup>1</sup> პუნქტით ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 21.09.07წ. №531 ბრძანებულებით ზემოაღნიშნული 33<sup>1</sup> პუნქტი გაუქმდა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედების პერიოდში (01.01.06 წ. – 21.09.07. წ.) მოსარჩელებს არ მიუძღოთათვთ თავთ თავდაცვის სამინისტროსათვის ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით, მათ ნორმის მოქმედების პერიოდში ვერ მოახდინეს თავიანთი უფლების რეალიზაცია, რის გამოც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების დაკავშირება ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედებაზე არ არის დასაბუთებული. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 05.11.04წ. №493 ბრძანებულების ადრინდელი რედაქცია ითვალისწინებდა სამსახურიდან გათავისუფლებული სამოქალაქო პირების ერთჯერადი დახმარების უფლებას, კერძოდ ბრძანებულების 35-ე პუნქტი უთითებდა, რომ სამოქალაქო პირებს, რომლებიც გათავისუფლებული არიან სამსახურიდან ეძლეოდათ ერთჯერადი დამხმარება, რომლის ოდენობა უკავშირდებოდა გათავისუფლების საფუძველს. ბრძანებულების ხსენებული ნორმა გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 21.09.07წ. №531 ბრძანებულებით, ამდენად მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნიდა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი მოსაზრება სამსახურიდან მოსარჩელეთა დათხოვნის პერიოდში ბრძანებულების 33<sup>1</sup> პუნქტის არარსებობის, 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედების პერიოდში მოთხოვნის წარუდგენლობის შესახებ. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის 31.12.04 წ. ბრძანებულების 35-ე პუნქტის მოქმედების

2006 წლის 1 იანვრამდე შეჩერებას 31.12.01 წ. №640 ბრძანებულების 61<sup>1</sup> პუნქტით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნორმის მოქმედების შეჩერება უფლების დაკარგვის საფუძველს არ ქმნის, შეჩერება არ ნიშნავს ნორმით აღიარებული უფლების გაუქმებას. საქართველოს პრეზიდენტის 21.09.07წ. ბრძანებულებით 35-ე პუნქტის ამოღება ასევე არ გამოორიცხავდა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, სააპელაციო პალატას არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ სსენებული ნორმის მოქმედების გაუქმებისთანავე გამოიცა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 26.09.07წ. №560 ბრძანება, რომლის 26-ე – 28-ე მუხლები ითვალისწინებენ სამსახურიდან გათავისუფლებული სამხედრო და სამოქალაქო პირებისათვის ერთჯერადი დახმარების გაცემას, მათ შორის დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში. ამასთანავე, მოსარჩელების მითითებით მათ აღნიშნული მოთხოვნით არაერთგზის მიმართეს სხვადასხვა ორგანოებს, კერძოდ, 04.07.06წ. მიმართეს საქართველოს პრემიერ მინისტრს, 10.08.06წ – საქართველოს პრეზიდენტს, 24.06.06წ. – საქართველოს ფინანსთა მინისტრს, 10.07.07წ. – საქართველოს თავდაცვის მინისტრს, 09.07.07წ. – საქართველოს თავდაცვის მინისტრს, 06.06.07წ. №41, 10.07.10წ. №66, 26.07.07წ. №85 წერილებით მოსარჩელების წარმომადგენელმა მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს. სააპელაციო სასამართლოს სარწმუნოდ უნდა დაესაბუთებინა, თუ რატომ არ ქმნიდნენ წარდგენილი მიმართვები 33<sup>1</sup> პუნქტის მოქმედების პერიოდში უფლების რეალიზებულად მიჩნევის საფუძველს. არასწორია პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ სანატორიუმის ყოფილი თანამშრომლები მიმართვებში აყენებდნენ მხოლოდ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საკითხს. საქმეში დაცული პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარისადმი 12.06.05წ. მიმართვაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი 04.07.06წ. მიმართვებში სახელფასო დავალიანების ანაზღაურებასთან ერთად განმცხადებლები აყენებდნენ აგრეთვე ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების საკითხსაც. სააპელაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს 33-ე და 33<sup>1</sup> პუნქტებზე დაფუძნებულ სამართლებრივ დასაბუ-



თებას, მაშინ როდესაც არ აქვს გარკვეული მოსარჩელების სტატუსი, კერძოდ მათ მიერ სამხედრო სტატუსით სარგებლობა. ვინაიდან „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. №493 ბრძანებულების 33-ე და 33<sup>1</sup> პუნქტებით გათვალისწინებული ერთჯერადი (გასასვლელი) დახმარება ეძლეოდათ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებს, საქმეზე დადგენას საჭიროებდა მოსარჩელების მიერ სამხედრო მოსამსახურეების სტატუსით სარგებლობა დათხოვნამდე, მათზე „სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსის შესახებ“ კანონის გავრცელების საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ 31.12.04 წ. №640 ბრძანებულებით ცვლილების შეტანამდე საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04 წ. №493 ბრძანებულება არ ითვალისწინებდა რეორგანიზაციის გამო პირის გათავისუფლებისას ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის შესაძლებლობას, გარკვევას საჭიროებს აგრეთვე მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების დრო.

უკეთეს კასატორები იყვნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებული სამოქალაქო პირები, სააპელაციო პალატას უნდა ემსჯელა კასატორთა სამსახურიდან გათავისუფლების დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო სამართალურთიერთობების მიმართ გამოყენების შესაძლებლობაზე. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ამავე კანონის მე-6 და მე-7 მუხლები განსაზღვრავენ საჯარო მოხელისა და დამხმარე მოსამსახურის ცნებებს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის თანახმად, დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა თანამდებობრივი სარგო. მითითებული ნორმით გათვალისწინებული გასასვლელი დახმარების გაცემის მიზანია სამსახურიდან გათავისუფლებული პირისათვის სხვა სამსახურის დაწყებამდე არსებობის შენარჩუნების მინიმალური ფინანსური უზრუნველყოფა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის საკითხის გადაწყვეტისათვის საქმეზე უნდა გაირკვეს თუ რა სტატუსით სარგებლობდნენ მოსარჩელები გათავისუფლების მო-

მენტში, კერძოდ მათზე მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის სტატუსის გავრცელების შესაძლებლობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დანესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელისათვის კომპენსაციის გაცემა თავისი ბუნებით არის კომპენსაციური ხასიათის ერთჯერადი სავალდებულო გადახდა, მისი ოდენობის განსაზღვრა, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მუშაკის თანამდებობრივი სარგოდან ხდება. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა მოსარჩელე სუბიექტთა სტატუსი და მათზე საჯარო მოსამსახურის სტატუსის გავრცელების დადგენის შემთხვევაში ემსჯელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის ანაზღაურების საფუძვლის არსებობაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 109-ე მუხლის მოქმედების არაერთჯერადი შეჩერება (13.07.2000 წ., 13.12.2000 წ., 15.02.02 წ., 29.01.03 წ., 31.12.03 წ., 29.12.04 წ. კანონები) ასევე არ ქმნიდა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების უფლების დაკარგვის საფუძველს (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05 წ. გადაწყვეტილება).

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის მიერ 14.12.10წ. გაცემული №3-11/8787 ცნობაზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რიგი მოსარჩელების მიმართ დავალიანება ჩამოწერილია სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე. აღნიშნულის დასადასტურებლად სააპელაციო პალატა უთითებს აგრეთვე კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უკეთუ არსებობს იმავე მხარეებს შორის იმავე დავის საგანზე ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხის დავალიანებაზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, აღნიშნული წარმოადგენდა არა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, არამედ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს. სააპელაციო პალატის განჩინება წინააღმდეგობრივია, სააპელაციო სასამართლომ ერთის მხრივ შეწყვიტა საქმის წარმოება რიგი მოსარჩელების (ს. ე-ა, ნ. მ-ე, ლ. ა-ი, რ. ი-ი, მ. ა-ე) იმ მოთხოვნის მიმართ, რომელიც ეწებოდა სახელფასო დავალიანების ანაზღაურებას, საქმის შეწყვეტის საფუძველად სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ არსებობდა

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. ანალოგიური მოსაზრება სააპელაციო პალატის მიერ გამოითქვა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხის ანაზღაურების მიმართ, მიუხედავად ამისა მოთხოვნის ამ ნაწილში საქმის წარმოება არ შეწყვეტილა. სააპელაციო პალატა ზოგადად აღნიშნავს, რომ სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებებით უკვე განხილულია ერთჯერადი გასასვლელი დახმარების მოთხოვნა, თუმცა არ უთითებს კონკრეტული მოსარჩელების მიმართ რომელი გადაწყვეტილებით არის განხილული მოთხოვნა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხის შესახებ. სსკ-ის 266-ე მუხლის, 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავის კანონიერი გადაწყვეტა საჭიროებს თვითოეული კასატორის მიმართ დავალიანების ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო აქტების შესწავლას, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლის არსებობის გარკვევას. სასამართლო გადაწყვეტილების რეკვიზიტების განუსაზღვრელობა შეუძლებელს ხდის არამართო გადაწყვეტილებათა იდენტიფიკაციას, არამედ მათ კანონიერ ძალაში შესვლის საკითხის გარკვევასაც. აღნიშნულს მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის კანონიერ ძალაში შესული, სახეზეა არა სსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, არამედ სსკ-ის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში საქმის წარმოება არ გრძელდება, მათი სამართლებრივი შედეგი განსხვავებულია, კერძოდ: საქმის წარმოების შეწყვეტისას პირი კარგავს შესაძლებლობას კვლავ მიმართოს სასამართლოს იმავე დავაზე, იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით (სსკ-ის 273.2 მუხ.), ხოლო სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოდავე მხარეს არ ერთმევა სასამართლოსათვის ხელახალი მიმართვის შესაძლებლობა სამართალწარმოების შემაფერხებელი გარემოების აღმოფხვრისას (სსკ-ის 278-ე მუხ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება არ არის მოცული ხელფასის ცნებით, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134<sup>1</sup> მუხლის მოქმედება არ ვრცელდება კანონით განსაზღვრულ კომპენსაციაზე, ამდენად, საქმეზე გარკვევას საჭიროებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცულობის საკითხი. საქმეზე არ არის დადგენილი მოსარჩელების სამსახურიდან გათავისუფლების დრო, აღნიშ-

ნული შეუძლებელს ქმნის სარჩელის აღძვრის მომენტში მოსარჩელების მიერ სკ-ის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის დაცულობის გარკვევას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სანატორიუმ „წყალტუბოს“ ზოგი თანამშრომელი განთავისუფლდა სამსახურიდან თავდაცვის მინისტრის იმ ბრძანების საფუძველზე, რომლითაც მოხდა სანატორიუმის რეორგანიზაცია და შტატების შემცირება, ხოლო ზოგი სანატორიუმის ლიკვიდაციის დროს. მოსარჩელეთა სამსახურიდან განთავისუფლების მომენტის დაუდგენლობა შეუძლებელს ქმნის სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის გადანყვეტას. რიგი მოსარჩელებისა სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავენ, რომ მოპასუხე დავალიანებას უხდოდა დროდადრო, ნაწილებად. სკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტამდე გასული დრო მხედველობაში არ მიიღება და ხანდაზმულობის ვადის დენა თავიდან იწყება. სასამართლოს არ უმსჯელია ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის ისეთ საფუძველზე, როგორცაა მოთხოვნის არსებობის აღიარება, არ შეუფასებია მიმართებებზე ადმინისტრაციული ორგანოს პასუხები.

საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების იმ ნაწილში გაუქმების საფუძველი, რომლითაც შეწყდა საქმის წარმოება მოსარჩელების: ს.ე-ას, ნ. მ-ის, ლ. ა-ის, რ. ი-ის და მ. ვ. ა-ის მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ლ. ა-ის, ს.ე-ას, ნ. მ-ის, ს. ი-ის, მ. ვ. ა-ის არაერთი სარჩელის მიმართ გამოტანილია გადანყვეტილებები, რომლითაც, სხვა მოთხოვნებთან ერთად, განხილული იქნა აგრეთვე სახელფასო ანაზღაურების საკითხები, კერძოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს კანონიერ ძალაში მყოფი გადანყვეტილებები: ს. ე-ას მიმართ – №3/1706-07 და №3/1844-10 საქმეებზე; რ. ი-ის მიმართ – №3/1844-10, №3/38-08 საქმეებზე; ნ. მ-ის მიმართ – №3/3459-07, №3/1844-10 საქმეებზე; მ. ვ. ა-ის მიმართ – №3/ბ-2105-07 და №3/1844-10 საქმეებზე; ლ. ა-ის მიმართ – №3/1844-10 საქმეზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობდა სსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სა-

სამართლო მიიჩნევს, რომ სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე ინსტანციის სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, 412-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ა-ის, გ. ა-ას, ნ. ა-ას, გ. ა-ის, ჯ. გ-ის, მ. გ-ის, ც. გ-ის, დ. გ-ის, მ. გ-ის, ლ. ე-ის, ზ. ზ-ას, გ. თ-ას, ლ. ი-ის, რ. ი-ის, ნ. კ-ის, მ. კ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ის, ლ. პ-ას, ლ. რ-ას, ნ. უ-ას, ნ. ფ-ას, ზ. ქ-ის, ო. ჩ-ის, მ. ჩ-ის, მ. ჩ-ის, ლ. ჩ-ის, შ. წ-ის, ი. წ-ა-ო-ის, ა. ხ-ას, ე. ჯ-ის, ნ. ჯ-ას, მ. ჯ-ის, მ. მ-ის, ა. ლ-ის, ი. ა-ის, ნ. მ-ის და ლ. ა-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2011წ. გადაწყვეტილება ლ. ა-ის, გ. ა-ას, ნ. ა-ას, გ. ა-ის, ჯ. გ-ის, მ. გ-ის, ც. გ-ის, დ. გ-ის, მ. გ-ის, ლ. ე-ის, ზ. ზ-ას, გ. თ-ას, ლ. ი-ის, რ. ი-ის, ნ. კ-ის, მ. კ-ის, გ. მ-ის, მ. მ-ის, ლ. პ-ას, ლ. რ-ას, ნ. უ-ას, ნ. ფ-ას, ზ. ქ-ის, ო. ჩ-ის, მ. ჩ-ის, მ. ჩ-ის, ლ. ჩ-ის, შ. წ-ის, ი. წ-ა-ო-ის, ა. ხ-ას, ე. ჯ-ის, ნ. ჯ-ას, მ. ჯ-ის, მ. მ-ის, ა. ლ-ის, ი. ა-ის, ნ. მ-ის და ლ. ა-ას საბოლოო, ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. ნ. მ-ის, რ. ი-ის, ლ. ა-ის, მ. ვ. ა-ის, და ს. ე-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2011წ. გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# მიუღებელი ხელფასის და დანამატის ანაზღაურების საფუძველი

## განჩინება

№ბს-302-293(კ-13)

24 აპრილი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების, სადეპუტატო და-  
ნამატისა და ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 25 აგვისტოს გ. ხ-ის მემკვიდრის – ს. ხ-ისა და ი. ჩ-  
ის მემკვიდრის – გ. ჩ-ის წარმომადგენლებმა – მ. გ-მა და მ. დ-მა  
სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სა-  
ქართველოს პარლამენტის მიმართ.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 1990 წლის 28 ოქტომბერს 5  
წლის ვადით არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პირვე-  
ლი მოწვევის უზენაესი საბჭო, რომლის დეპუტატებიც იყვნენ  
მოსარჩელები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
პრეზიდიუმის 1991 წლის 19 ნოემბრის №311 დადგენილების თა-  
ნახმად, უზენაესი საბჭოს წევრის ხელფასი შეადგენდა 1400 მა-  
ნეთს, ხოლო „საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრის საქმიან-  
ობის უზრუნველყოფის დროებითი დებულების შესახებ“ სა-  
ქართველოს 1990 წლის 20 დეკემბრის კანონი ითვალისწინებდა  
ყოველთვიურად სადეპუტატო დანამატის – 200 მანეთის გაცე-  
მას.

1992 წლის 2 იანვრიდან კრიმინალური შეიარაღებული ფორ-  
მირებების მიერ დამხობილ იქნა რესპუბლიკის უმაღლესი სა-  
ხელმწიფო ხელისუფლება, ქვეყნიდან იძულებით განდევნეს  
რესპუბლიკის პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო, მინისტრთა კა-  
ბინეტი, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველო-  
ბის ორგანოები. წლების მანძილზე დეპუტატების მიმართ ხორ-  
ციელდებოდა დევნა მათი პოლიტიკური მრწამსის გამო.

2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო  
დადგენილება, რომლითაც დაიგმო სახელმწიფო პოლიტიკური

პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრისა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის მეთოდები. საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1104 დადგენილებით დადასტურდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელები ცნობილ იქნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

2009 წლის 27 ივლისს მოსარჩელებმა მიმართეს საქართველოს პარლამენტს სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებით, მრავალი წლის მანძილზე პოლიტიკური მოტივით განხორციელებული უკანონო დევნითა და რეპრესიით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზიანის რეალური კომპენსაციის მიღების მიზნით, მაგრამ 2011 წლის 6 აპრილის პასუხით უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ პარლამენტს მოსარჩელეთა მიმართ კრედიტორული დავალიანება არ ერიცხებოდა, რაც უკანონოდ მიიჩნიეს მოსარჩელებმა.

მოსარჩელებმა მიუთითეს შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებზე:

მოსარჩელეთა განმარტებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 იანვრის №85 დადგენილების მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი შეიცავს მითითებას უზენაესი საბჭოს სამდივნოსადმი დეპუტატებისათვის სახელფასო დავალიანების გადახდის თაობაზე.

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი ავალდებულებს სახელმწიფოს უზრუნველყოს მოქალაქის ამ პაქტით აღიარებული უფლებები. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე ყველა სახელმწიფოს ვალდებულია უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით ნებისმიერი პირი, რომლის ამ პაქტით აღიარებული უფლებებიც შელახულია.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, რეპრესირებულ პირს აღუდგება პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს ეფექტურად

ალადგინოს თავისი უფლებები კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოში იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია მისი კონსტიტუციული თუ კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით მუშაკს უფლება აქვს თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს დისკრიმინაციის გარეშე თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურების უფლება.

ევროპის სოციალური ქარტიის პირველი ნაწილის მე-2 და მე-4 პუნქტებით ყველა მომუშავეს აქვს უფლება შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე.

მოსარჩელეთა მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით აღიარებულ შრომით უფლებებსა და შრომის ანაზღაურების სამართლიან პრინციპს ეფუძნება მათი მოთხოვნა სახელფასო დავალიანებისა და მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების თაობაზე სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

„შრომის კანონთა კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მუშაკს უფლება აქვს თანაბარი მუშაობის პირობებში ჰქონდეს თანაბარი ანაზღაურება შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

მოსარჩელებმა შემოსავლის მიუღებლობით გამონვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე და აღნიშნეს, რომ კუთვნილი თანხის მიუღებლობით გამონვეული ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის სავარაუდო შემოსავალი, რომელსაც მიიღებდნენ მიუღებელი კუთვნილი თანხის გამოყენებით, რაც შესაძლოა ყოფილიყო სარგებელი ჩვეულებრივი სამოქალაქო ურთიერთობის შემთხვევაში.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას სადეპუტატო უფლებამოსილების დარჩენილი ვადის იძულებითი განაცდურისა და სადეპუტატო დანამატის ანაზღაურების შესახებ, მოსარჩელე-



ებმა მიუთითეს, რომ „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1990 წლის კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, უზენაეს საბჭოში აირჩეოდა 250 დეპუტატი 5 წლის ვადით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

საქართველოს „შრომის კანონთა კოდექსის“ 207-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, უკანონოდ დათხოვნის შემთხვევაში იძულებით გაცდენილი დროის ანაზღაურება შეუძლია დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, ხოლო ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ მოსამსახურეს სასამართლოს გადაწყვეტილებით აუნაზღაურდება იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან, ხოლო რაც შეეხება სამუშაოზე აღდგენის საკითხს, სადეპუტატო უფლებამოსილების ვადა გასულია და შესაბამისად, ინტერესს მოკლებულია აღუსრულებადი მოთხოვნა.

მოსარჩელეთა მოსაზრებით, საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებით უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობის დადასტურება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ფორმალურად ტოლფასია იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება უკანონოდ დათხოვნილი პირის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ამდენად, მოსარჩელებმა მოითხოვეს თითოეულისათვის 1991 წლის დეკემბრის მიუღებელი ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის ანაზღაურება 1600 მანეთის ოდენობით, რაც სტატისტიკის დეპარტამენტის 2011 წლის 9 ივნისის მონაცემებზე დაყრდნობით, შეადგენს 979,77 ლარს; დეკემბრის ხელფასისა და დანამატის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,0715%-ის ოდენობით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ასევე უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადის – 1992 წლის 1 იანვრიდან 1995 წლის ოქტომბრის ჩათვლით, 3 წლისა და 8 თვის (სულ 46 თვის) იძულებით გაცდენილი დროის ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის ანაზღაურება თითოეულ მოსარჩელეზე 73600 მანეთის ოდენობით, რაც შეადგენს 45069,42 ლარს და 46 თვის ხელფასისა და დანამატის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ამასთან, მოსარჩელებმა მოითხოვეს განეული საადვოკატო ხარჯების ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება.

2011 წლის 7 ივლისს ვ. ხ-მა, ე. ჯ-ემ, ლ. ა-მა და სხვებმა (37 პირი) სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს პარლამენტის მიმართ.

მოსარჩელებმა იგივე სასარჩელო მოთხოვნები დააყენეს იმავე სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 18 მაისის საოქმო განჩინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, ან გარდაცვლილი ი. ჩ-ის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება გ. ჩ-ე, გ. ხ-ის უფლებამონაცვლედ – ს. ხ-ე, მ. მ-ის უფლებამონაცვლედ – ნ. მ-ი, მ. ს-ის უფლებამონაცვლედ – თ. ს-ე, მ. მ-ის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაებნენ – მ. ჩ-ი, ს., ე. და დ. მ-ები.

მოსარჩელე ი. კ-ის ნაწილში სარჩელზე საქმის წარმოება შეჩერდა ამ უკანასკნელის გარდაცვალების გამო და ამ ნაწილში საქმე გამოიყო ცალკე წარმოებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ვ. ც-ის, ე. ჯ-ის, ლ. ა-ისა და სხვათა სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელები აღიარებულნი არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებით მრავალი წლის მანძილზე პოლიტიკური მოტივით განხორციელებული უკანონო დევნითა და რეპრესიით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზიანის რეალური კომპენსაციის მიღების მიზნით მოსარჩელებმა განცხადებით მიმართეს საქართველოს პარლამენტს, საიდანაც მიიღეს უარყოფითი პასუხი მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით, მე-8 მუხლით და აღნიშნა, რომ მითითებული კანონის საფუძველზე მოსარჩელები აღიარებულნი არიან პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, მაგრამ მათი სადავო უფლება არ განეკუთვნება არც პოლიტიკური და არც სამოქალაქო უფლებების რიცხვს. გამომდინარე იქედან, რომ „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის

მე-8 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესის შესახებ კანონი არ არის მიღებული, არ არსებობს მოსარჩელეთა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების აღდგენის სამართლებრივი საფუძველი. მართალია, დღეისათვის არსებობს სამართლებრივი ბაზა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და ამ აღიარების გარკვეული თანმდევი შედეგების რეგულირების შესახებ, მაგრამ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა დაცვის კანონში მოცემულია დათქმა, რომ რეპრესირებულთა უშუალოდ ქონებრივი საკითხების რეგულირება ჯერ არ არის განსაზღვრული, განისაზღვრება მომავალში და ისიც ცალკე კანონით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ამჟამად, ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს და გადაწყვიტოს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა – მოსარჩელეთა ქონებრივი საკითხები მოთხოვნილი მიუღებელი სახელფასო და სადეპუტატო-სადაწამატო განაცდურის ჩათვლით.

საქალაქო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 2 თებერვლის განჩინება საქმეზე „კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ, გ) სამართლებრივი შეფასების 58-ე პარაგრაფის თანახმად აღნიშნულია, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 მუხლის მესამე პარაგრაფი არ იძლევა იმის გაგების საშუალებას, რა სახის ქონება იქნება მიჩნეული შესაბამისი უფლებების „აღდგენის“ საფუძველად, მიიღებს თუ არა აღნიშნული აღდგენა რესტიტუციის ფორმას იქ, სადაც ეს შესაძლებელია ანუ თანაბარი ღირებულების ქონების ან ფულადი კომპენსაციის მიცემა. პირთა, რომელ კატეგორიებს შეეძლებათ აღნიშნული უფლების მოთხოვნა (ძველ მესაკუთრეებს, ანუ პირდაპირ მსხვერპლებს, მათ შთამომავლებს და ა.შ) და როგორ, რომელი უწყება იქნება პასუხისმგებელი შესაბამის ქონების იდენტიფიცირებასა და მის ღირებულების განსაზღვრაზე და ა.შ. ამრიგად, ბევრ სხვას შორის აღნიშნული კრიტერიუმები განსაზღვრავს საჭიროებას და ამისთვის სახელმწიფოს შეფასების ფართო არეალი გააჩნია. ხოლო, მე-60 პარაგრაფის თანახმად, დასკვნის სახით სასამართლო მიიჩნევს, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფი იმ სახით, რას სახითაც ის ძალაშია 1998 წლის 1 იანვრის შემდეგ, არ წარმოშობს რეალურ და მოთხოვნად ვალს, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა ლეგიტიმური მოლოდინის დამყარება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. იმავე კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. იმავე კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, საქართველოს საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. იმავე კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად კი, მტკიცებულებას სასამართლოს წარუდგენენ მხარეები, ხოლო იმავე კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოსთვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შემდეგაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში არ არსებობს და ვერც მხარეთა მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებანი სახელფასო და სადეკლარაციო დანამატის დავალიანების თაობაზე. მოპასუხის მიერ წარმოდგენილ იქნა მოსარჩელეთა მიმართ გაგზავნილი 2011 წლის 13 სექტემბრის №6166 წერილი, რომელიც არის ანალოგიური შინაარსის საქმეში არსებული 2011 წლის 6 აპრილის №2941/3-1 წერილისა, რაც თავის დროზე ეცნობათ მოსარჩელებს და სადაც აღნიშნულია, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრების მიმართ კრედიტორული დავალიანება არ ირიცხებოდა, რაც ასევე მხარეთა მიერ არის დადასტურებული საქმის სასამართლოში განხილვის დროს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოპასუხემ სრულად

გართვა თავი მისთვის კანონით დაკისრებულ მტკიცების ტვირთს, რამაც ფაქტიურად განსაზღვრა დავის გადაწყვეტის შედეგი, ხოლო მოსარჩელებმა ზემოხსენებული პროცედურული ნორმების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, სასამართლოს ვერ წარუდგინეს მოპასუხე მხარის მიერ გამოკვლეული ფაქტებისა და საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებისგან განსხვავებული ფაქტები და ამ უკანასკნელთა ადეკვატური მტკიცებულებები, გარდა სასარჩელო განცხადებაში სამართლებრივ საფუძვლად მითითებული 1992 წლის 30 იანვრის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის №85 დადგენილებისა, რაც სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული მოსარჩელეთა მიმართ არსებული დავალიანების გადახდის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს არ გააჩნია არავითარი სამართლებრივი საფუძველი დააკმაყოფილოს მოსარჩელების სასარჩელო მოთხოვნა როგორც სახელფასო დავალიანების, სადეპუტატო დანამატების, ისე მიუღებელი ხელფასის და სადეპუტატო დანამატებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. გარდა ამისა, სასამართლოს მითითებით, რომც არსებობდეს სადავო წლების არსებული სახელფასო დავალიანება, მოსარჩელების მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შრომის კოდექსი გამოქვეყნდა 2006 წლის 19 ივნისს (რომელიც ამჟამად ძალადაკარგულია 2010 წლის 17 დეკემბრის ორგანული №4113 კანონით), იგი ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს – 2006 წლის 5 ივლისს. აღნიშნული სამართლებრივი ნორმა სიახლეა შრომითი და მისი თანმდევი ურთიერთობების მიმართ, ვინაიდან ასეთ დათქმას არ ითვალისწინებდა 2006 წლის 25 მაისამდე მოქმედი „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი“. „საქართველოს შრომის კოდექსის“ 53-ე მუხლიდან გამომდინარე, კოდექსის მოქმედება ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დღისა (აღნიშნული დათქმა ასევე განერილია დღეისათვის მოქმედ 2010 წლის 17 დეკემბრის საქართველოს შრომის კოდექსის 53-ე მუხლში).

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ, როგორც ძალადაკარგული, ისე დღეისათვის მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მესამე ნაწილი ვერ გავრცელდებოდა 1991 წელს არსებულ ურთიერთობებზე, მითუმეტეს, რომ საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტები არ ითვალისწინებდნენ ხელფასის დროული გადა-

უხდებლობისათვის პროცენტის ოდენობით ანაზღაურების ვალდებულებას.

უსაფუძვლობის მოტივით საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელეთა აპელირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე, რაც გულისხმობს კუთვნილი თანხის მიუღებლობით გამონვეული ზიანის ოდენობის ანაზღაურებას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, რაც შეეხება მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნას მათ მიმართ იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასის, სადეპუტატო დანამატის და მათი მიუღებლობით გამონვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, ხოლო იმავე კანონის 127-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მართალია მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1104 დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად დადასტურდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩე-

ული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და ამავე დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად დაიგმო 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, აღნიშნული გარემოება ვერ მიიჩნევა მოსარჩელეთა სამსახურიდან იძულებითი გათავისუფლების ტოლფასად ისეთი შემთხვევებისა, როცა სასამართლოს მიერ ხორციელდება უკანონოდ დათხოვნილის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, რადგან იძულებით განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს სამსახურში აღდგენის მოთხოვნის თანმდევ შედეგს, ურომლისოდაც განცალკავებულად შეუძლებელია ხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილება. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა სამსახურში აღდგენა არ მომხდარა და შესაბამისად, არ არსებობს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, გარდა ზემოთხსენებულისა, უდავოა, რომ მოსარჩელეებს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუჩერდათ 1992 წლის იანვრის თვეში იმ პერიოდისათვის მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშას ამ მოსამსახურეს სასამართლოს გადანყვეტილებით აუნაზღაურდებოდა იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა (13.08.92 წლის შეტანილი ცვლილებით 3 თვე გაიზარდა 1 წლამდე). ზემოთაღნიშნული ნორმის შინაარსი უდავოდ ცხადყოფს, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობას კანონმდებელი უკავშირებდა ორი პირობის ერთდროულად არსებობის ფაქტს. კერძოდ, სახეზე უნდა ყოფილიყო სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი და უნდა მომხდარიყო პირის სამუშაოზე აღდგენა. ამ ორი პირობის ერთდროულად არსებობის გარეშე იძულებითი განაცდური არ ანაზღაურდებოდა, განსხვავებით ამჟამად მოქმედი ნორმებისაგან, რომელიც გათავისუფლების თაობაზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას უკავშირებს პირის უფლებას მოითხოვოს უკანონო აქტით მიყენებული ზიანის იძულებითი განაცდურის სახით ანაზღაურება (იხ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის ბს-708-674(კ-09) განჩინება). ყოველივე ზემოთ-

ხსენებულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა არის სამართლებრივად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ც-მა, ე. ჯ-ემ, ლ. ა-მა და სხვებმა, რომლებმაც მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი ი. კ-ის ნაწილში დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 24 იანვრის განჩინებით ვ. ც-ის, ე. ჯ-ის, ლ. ა-ისა და სხვათა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელების მოთხოვნა – სახელფასო დავალიანების, სადეპუტატო დანამატისა და მათი მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, ასევე, იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასის, სადეპუტატო დანამატისა და მათი მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე ეფუძნებოდა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით, ასევე მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, რომლის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირს აღუდგება პოლიტიკური რეპრესიის შედეგად დარ-



ღვეული ყველა პოლიტიკური, სამოქალაქო და სხვა სახის უფლება და თავისუფლება, სამხედრო და სპეციალური ნოდებები, უბრუნდება პოლიტიკური რეპრესიის შედეგად ჩამორთმეული სახელმწიფო ფილდოები, მიენიჭება შედეგათები ამ კანონით დადგენილი წესით. იმავე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის თანახმად, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ვინაიდან „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესის შესახებ კანონი არ არის მიღებული, ამიტომ არ არსებობს მოსარჩელეთა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების აღდგენის სამართლებრივი საფუძველი. მართალია, დღეისათვის არსებობს სამართლებრივი ბაზა პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარებისა და ამ აღიარების გარკვეული თანმდევი შედეგების რეგულირების შესახებ, მაგრამ პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლთა დაცვის კანონში მოცემულია დათქმა, რომ რეპრესირებულთა უშუალოდ ქონებრივი საკითხების რეგულირება ჯერ არ არის განსაზღვრული, განისაზღვრება მომავალში და ისიც ცალკე კანონით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვიდრე ცალკე კანონით არ მოწესრიგდება რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის კონკრეტული წესი და პროცედურა, გადასაცემი ქონების ან ასანაზღაურებელი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის მექანიზმი, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენაზე პასუხისმგებელი კონკრეტული სახელმწიფო ორგანო, სასამართლო მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას იმსჯელოს და გადაწყვიტოს პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლთა, ამ შემთხვევაში მოსარჩელეთა ქონებრივი საკითხები მოთხოვნილი მიუღებელი სახელფასო და სადეპუტატო-სადანამატო განაცდურის ჩათვლით.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 2 თებერვლის განჩინების (საქმეზე „კლავუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“) სამართლებრივი შეფასების 58-ე პარაგრაფის თანახმად, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 მუხლის მესამე პარაგრაფი არ იძლევა იმის გაგების საშუალებას, რა სახის ქონება იქნება მიჩნეული შესაბამისი უფლებების „აღდგენის“ საფუძველად, მიიღებს

თუ არა აღნიშნული აღდგენა რესტიტუციის ფორმას იქ, სადაც ეს შესაძლებელია ანუ თანაბარი ღირებულების ქონების ან ფულადი კომპენსაციის მიცემა. პირთა რომელ კატეგორიებს შეეძლებათ აღნიშნული უფლების მოთხოვნა (ძველ მესაკუთრეებს, ანუ პირდაპირ მსხვერპლებს, მათ შთამომავლებს და ა.შ) და როგორ, რომელი უწყება იქნება პასუხისმგებელი შესაბამის ქონების იდენტიფიცირებასა და მის ღირებულების განსაზღვრაზე და ა.შ. ამრიგად, ბევრ სხვას შორის აღნიშნული კრიტერიუმები განსაზღვრავს საჭიროებას და ამისთვის სახელმწიფოს შეფასების ფართო არეალი გააჩნია. ხოლო, მე-60 პარაგრაფის თანახმად, დასკვნის სახით სასამართლო მიიჩნევს, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფი იმ სახით, რას სახითაც ის ძალაშია 1998 წლის 1 იანვრის შემდეგ, არ წარმოშობს რეალურ და მოთხოვნად ვალს, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა ლეგიტიმური მოლოდინის დამყარება.

სააპელაციო სასამართლომ 1991 წლის დეკემბრის თვის სახელფასო დავალიანების, სადეპუტატო დანამატისა და მათი მიუღებლობით გამონვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლებით და განმარტა, რომ როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ წარმოებაში მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებითა და შესაძლებლობებით. თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში აპელანტებმა ვერ დაასაბუთეს და ვერ წარადგინეს შესაბამისი მტკიცებულებები მათ მიმართ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან სახელფასო და სადეპუტატო დანამატის დავალიანების არსებობის თაობაზე. თავიანთი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელები მიუთითებდნენ 1992 წლის 30 იანვრის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის №85 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, სადაც ზოგადად საუბარია უზენაესი საბჭოს სამდივნოსადმი მითითებაზე დეპუტატისთვის სახელფასო დავალიანების გადახდის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დადგენილება ზოგადი ხასიათისაა და ვერ ადასტურებს მოპასუხის მხრიდან კონკრეტულ მოსარჩელეთა მიმართ 1991 წლის დეკემბრის თვის მიუღებელი ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის

დავალიანების არსებობის ფაქტს. მით უფრო, რომ საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 6 აპრილის წერილით მოსარჩელებს უარი ეთქვათ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ბუღალტერიაში საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 28 ოქტომბრის მონვევის უზენაესი საბჭოს წევრების მიმართ კრედიტორული დავალიანება არ ირიცხებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში ასევე წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის წერილი, რომლის თანახმად, მოსარჩელებზე საქართველოს პარლამენტის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ბუღალტერიაში დავალიანება არ ირიცხება. იმავე წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს პარლამენტის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტში, მოსარჩელების მიმართ რაიმე სახის ფინანსური ვალდებულება, ან პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ვალდებულების დარეგისტრირება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრების მიმართ არ არის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 1991 წლის დეკემბრის თვის მიუღებელი ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის დავალიანების ანაზღაურების შესახებ მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა მოთხოვნა კუთვნილი ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ ამჟამად მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. ამ მუხლის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი. იმავეს ითვალისწინებდა 2010 წლამდე მოქმედი შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მესამე ნაწილიც.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართებულია სა-

ქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ 2006 წლის საქართველოს შრომის კოდექსი გამოქვეყნდა 2006 წლის 19 ივნისს (რომელიც ამჟამად ძალადაკარგულია 2010 წლის 17 დეკემბრის ორგანული №4113 კანონით), იგი ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს – 2006 წლის 5 ივლისს. ამ კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმა ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დასაქმებულისათვის დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტის გადახდის თაობაზე, სიახლე იყო შრომითი და მისი თანმდევი ურთიერთობების მიმართ, ვინაიდან ასეთ დათქმას არ ითვალისწინებდა 2006 წლის 25 მაისამდე მოქმედი „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი“. საქართველოს შრომის კოდექსის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, კოდექსის მოქმედება ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დღისა (აღნიშნული დათქმა ასევე გაწერილია დღეისათვის მოქმედ 2010 წლის 17 დეკემბრის საქართველოს შრომის კოდექსის 53-ე მუხლში).

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც ძალადაკარგული, ასევე დღეისათვის მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი ვერ გავრცელდებოდა 1991 წელს არსებულ ურთიერთობებზე. ამასთან, საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტები არ ითვალისწინებენ ხელფასის დროული გადაუხდელობისათვის პროცენტის ანაზღაურების ვალდებულებას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა აპელირება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე, რაც გულისხმობს კუთვნილი თანხის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ოდენობის ანაზღაურებას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტების ერთერთ მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასის, სადეპუტატო დანამატისა და მათი მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, აპელანტები ითხოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ხუთი წლიდან დარჩენილი სამი წლისა და რვა თვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის ანაზღაურებას, უკანონოდ დათხოვნის დღიდან სამსახურში იძულებით არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ანუ 1992 წლის 1 იანვრიდან 1995 წლის ოქტომბრის ჩათვლით და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის მიუღებლობით გამოწვეული ზიან-

ნის ანაზღაურებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. იმავე კანონის 127-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1104 დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად, დადასტურდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და ამავე დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად დაიგმო 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ აღნიშნული გარემოება ვერ მიიჩნევა მოსარჩელეთა სამსახურიდან იძულებითი გათავისუფლების ტოლფასად, მსგავსად

ისეთი შემთხვევებისა, როცა სასამართლოს მიერ ხორციელდება უკანონოდ დათხოვნილის სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, რადგან იძულებით განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს სამსახურში აღდგენის მოთხოვნის თანმდევ შედეგს, ურომლისოდაც განცალკავებულად შეუძლებელია ხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილება. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა სამსახურში აღდგენა არ მომხდარა და შესაბამისად, არ არსებობს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელებს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუჩერდათ 1992 წლის იანვარში. იმ პერიოდისათვის მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშას ამ მოსამსახურეს სასამართლოს გადაწყვეტილებით აუნაზღაურებოდა იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა (13.08.92 წლის შეტანილი ცვლილებით 3 თვე გაიზარდა 1 წლამდე). ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი უდავოდ ცხადყოფს, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობას კანონმდებელი უკავშირებდა ორი პირობის ერთდროულად არსებობის ფაქტს. კერძოდ, სახეზე უნდა ყოფილიყო სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი და იმავედროულად, უნდა მომხდარიყო პირის სამუშაოზე აღდგენა. ამ ორი პირობის ერთდროულად არსებობის გარეშე იძულებითი განაცდური არ ანაზღაურებოდა, განსხვავებით ამჟამად მოქმედი ნორმებისაგან, რომელიც გათავისუფლების თაობაზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას უკავშირებს პირის უფლებას მოითხოვოს უკანონო აქტით მიყენებული ზიანის იძულებითი განაცდურის სახით ანაზღაურება (იხ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის №ბს-708-674(კ-09) განჩინება).

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასის, სადეპუტატო დანამატისა და მათი მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე არის სამართლებრივად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, ხოლო ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც ძალადაკარგული 2006 წლის, ასევე დღეისათვის მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი ვერ გავრცელდებოდა 1992-1995 წლებში არსებულ ურთიერთობებზე, ვინაიდან იმ პერი-

ოდში მსგავსი ნორმა არ არსებობდა. გარდა ამისა, საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტები არ ითვალისწინებდნენ ხელფასის დროული გადაუხდელობისათვის პროცენტის ანაზღაურების ვალდებულებას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ც-მა, ე. ჯ-ემ, ლ. ა-მა და სხვებმა, რომლებმაც მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორთა მოსაზრებით, ქვედა ინსტანციების სასამართლებმა არასწორად დაადგინეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად შეაფასეს ისინი, კერძოდ, კასატორთა მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს პარლამენტის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის წერილზე დაყრდნობით, რომლის თანახმად, დავალიანება მოსარჩელეთა მიმართ არ ირიცხებოდა, უსაფუძვლოდ მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა. სასამართლომ არ გაითვალისწინა 1992 წლის 30 იანვრის №85 დადგენილება. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი, მე-3 მუხლებით. მოთხოვნის უარყოფისათვის მოპასუხეს უნდა წარედგინა სახელფასო დავალიანების გადახდის უწყისები ან სხვა ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხის მიერ მოსარჩელეთა მიმართ დავალიანების გადახდის ფაქტს. შესაბამისად, სასამართლოს საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები ერთობლიობაში ობიექტურად უნდა განეხილა.

კასატორებმა არ გაიზიარეს სასამართლოთა მითითება, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენდა. კასატორთა განმარტებით, აღნიშნული კანონის საფუძველზე ისინი აღიარებულ იქნენ რეპრესირებულებად, თანამდებობიდან უკანონოდ დათხოვნის გამო. მათი მოთხოვნის საფუძველები მოცემულია საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში, სამოქალაქო კოდექსში და სარჩელში დასახელებულ სხვა აქტებში.

კასატორები არ დაეთანხმნენ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ვინაიდან „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონ-

ნის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რეაბილიტირებულ პირთა ქონებრივი უფლებების აღდგენის წესის შესახებ კანონი არ იყო მიღებული, არ არსებობდა მოსარჩელეთა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების აღდგენის სამართლებრივი საფუძველი. კასატორთა განმარტებით, მათი მოთხოვნა არ არის დაკავშირებული პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების აღდგენასთან, ისინი აღნიშნული ნორმის საფუძველზე რაიმე მოთხოვნას არ აყენებენ, რამდენადაც მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის არსებობს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო საფუძველები.

კასატორებმა ასევე არ გაიზიარეს სააპელაციო სასამართლოს მითითება ხელფასისა და დანამატის მიუღებლობის გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტები არ ითვალისწინებს ხელფასის დროულად გადაუხდელობისათვის პროცენტის ანაზღაურების ვალდებულებას. კასატორთა მოსაზრებით, აღნიშნულის საფუძველს ქმნის სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მიუღებელი შემოსავლისთვის ზიანის ანაზღაურებას. 1997 წლიდან საქართველოში არსებობს სასამართლო პრაქტიკა, როდესაც კმაყოფილდება მოთხოვნები სახელფასო დავალიანების, განაცდური ხელფასისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ. შესაბამისად, კასატორთა მოსაზრებით, ისინი განეკუთვნებიან რეპრესირებულ პირთა იმ კატეგორიას, რომელთა მიმართაც არსებობს სახელფასო დავალიანება, ისეთი სახის კანონდარღვევა, რაც წარმოადგენს ვალს და მას დაკმაყოფილების საკანონმდებლო საფუძველიც გააჩნია.

კასატორთა მოსაზრებით, სასამართლოებმა არასწორად განმარტეს 1992 წლის 30 იანვრის №85 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რამდენადაც იგი შეიცავს მითითებას სახელფასო დავალიანების გადახდის აუცილებლობაზე.

ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა ასევე არასწორად განმარტეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე და 127-ე მუხლები. მოსარჩელები განეკუთვნებიან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პოლიტიკური თანამდებობის პირებს. ამავე კანონის მე-5 მუხლი ერთმანეთისაგან განასხვავებს პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ მოხელეს, დამხმარე მოსამსახურესა და შტატგარეშე მოსამსახურეს. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა



მითითებული კანონის მე-11 მუხლით, რომლის შესაბამისად, პოლიტიკური თანამდებობის პირებზე არ ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედება გარდა 1-ლი, მე-6, მე-9, მე-10, 39-ე, 66-ე, 121-ე მუხლებისა.

კასატორთა მითითებით, მათი სასარჩელო მოთხოვნის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს 2005 წლის 11 მარტის დადგენილება, რომლითაც დადასტურდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა და რომლითაც კასატორთა მოსაზრებით, განმტკიცდა შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული იძულებითი განაცდური ხელფასის მიღების საფუძველი. ლეგიტიმურობის დადასტურება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში აღდგენის ტოლფასია. აღნიშნული მსჯელობის საფუძველიანობას ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები, რითაც უნდა ეხელმძღვანელა სასამართლოს. მითითებული ნორმის თანახმად, ძველი კანონით – შრომის კანონთა კოდექსით განსაზღვრული რეგულირება ეწინააღმდეგება 2005 წლის 11 მარტის დადგენილებას, რომელიც აფასებს სახელმწიფოსათვის გაცილებით მნიშვნელოვან მოვლენას, ლეგიტიმურად აღიარებს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოს – უზენაესი საბჭოს სათანადო კანონმდებლობით დადგენილ უფლებამოსილების ვადას. შესაბამისად, მითითებულმა დადგენილებამ მოიცვა შრომის კანონთა კოდექსით მოწესრიგებული ურთიერთობები.

კასატორთა მითითებით, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას არა უმეტეს 3 თვისა, თუმცა არ გაითვალისწინა ის განსხვავებული გარემოება, რაც მოცემულ შემთხვევაშია სახეზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 14 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ვ. ც-ის, ე. ჯ-ის, ლ. ა-ისა და სხვათა (38 პირი) განცხადების საფუძველზე საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება განახლდა, ვ. ც-ის, ე. ჯ-ის, ლ. ა-ისა და სხვათა (38 პირი) საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ნოემბრის განჩინებით წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ც-ის, ე. ჯ-ის, ლ. ა-ისა და სხვათა საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩევეები წარმოადგენდნენ 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებს. 1992 წლის 2 იანვრის დადგენილებით სამხედრო საბჭოს მიერ შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის იმ დროს მოქმედი კონსტიტუციისა და საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილება.

„1991-1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების თანახმად, 1991 წელს საქართველოში დაიწყო დაპირისპირება, რასაც მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფლიქტი. საქართველოს პარლამენტის მიერ დაგმოვილ იქნა სახელმწიფოში პოლიტიკური პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრა და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ყოველგვარი მცდელობა.

„1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1104 დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა კვლავ დაადასტურა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ამავე დადგენილებით დაიგმო 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით მოსარჩევეები აღიარებულ იქნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად.

მოსარჩევეებმა სამსახურიდან უკანონო გათავისუფლებით, მრავალი წლის მანძილზე პოლიტიკური მოტივით განხორციელებული უკანონო დევნითა და რეპრესიით გამოწვეული ზიან-

ნის რეალური კომპენსაციის მიღების მიზნით მიმართეს საქართველოს პარლამენტს, მაგრამ მათი მოთხოვნა უარყოფილ იქნა იმ მოტივით, რომ საქართველოს პარლამენტს 1990 წლის 28 ოქტომბრის მონვევის უზენაესი საბჭოს წევრების მიმართ კრედიტორული დავალიანება არ ერიცხებოდა.

მოსარჩელები წარმოდგენილი სარჩელით ითხოვდნენ 1991 წლის დეკემბრის მიუღებელი ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის, შემოსავლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის, სადეპუტატო უფლებამოსილების დარჩენილი ვადის – 46 თვის იძულებით გაცდენილი დროის ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის და შემოსავლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრებას. მოსარჩელებმა საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე შეამცირეს სასარჩელო მოთხოვნა შემოსავლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით და მოითხოვეს მიუღებელი შემოსავლისათვის ზიანის ანაზღაურება წლიური 0,15%-ის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს 1978 წლის 15 აპრილის კონსტიტუციის 104-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.

საქართველოს 1990 წლის 28 ოქტომბრის მონვევის უზენაესი საბჭოს წევრების – უზენაეს საბჭოში არჩეული დეპუტატების სტატუსს – მათ უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს განსაზღვრავდა საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის 15 აპრილის კონსტიტუცია, „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 27 დეკემბრის კანონი. მითითებული კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, უზენაესი საბჭოს წევრს, რომელიც წყვეტდა საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, აუნაზღაურდებოდა ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ხელფასის ოდენობასა და გაცემის წესს ადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას 1991 წლის დეკემბრის მიუღებელი ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს მითითებული მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას უპირველეს ყოვლისა უნდა ემსჯელა ექვემ-

დებარებოდა თუ არა დაკმაყოფილებას მოთხოვნა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ, ხოლო აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ უნდა გამოეკვლია და დაედგინა მოსარჩელეებს მიღებული ჰქონდათ თუ არა 1991 წლის დეკემბრის ხელფასი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება მითითებულ ნაწილში ემყარება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორ გადანაწილებას და შესაბამისად, საქმის გარემოებების არასწორად დადგენას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოცხადეს აქტი.

ამდენად, მართალია, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე დაყრდნობით, მხარეებს თანაბარ საპროცესო ვალდებულებას აკისრებს დაამტკიცონ გარემოებები, რომლებზეც ამყარებენ თავიანთ მოთხოვნას თუ შესაგებელს, თუმცა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებების გათვალისწინებით, მტკიცების ტვირთის პრევალირებული დანიშნულების მატარებლად შესაძლოა მოწინააღმდეგე მხარე გამოვიდეს. მით უფრო, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი აქტის გამოცემე ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრებისათვის განვითარებული მოვლენების შედეგად მათ დათხოვნამდე, 1991 წლის დეკემბრის თვის ხელფასისა და დანამატის ანაზღაურება. ქვედა ინსტანციების სასამართლოებმა ფაქტობრივად ისე უარყვეს სასარჩელო მოთხოვნა დეკემბრის მიუღებელი ხელფასისა და დანამატის ანაზღაურების შესახებ, რომ დაუდასტურებელი და-

ტოვეს ფაქტი მითითებული დავალიანების რეალურად გაცემის შესახებ, რაც არსებითი იყო მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის. სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აბსოლუტური პრივილეგია მიანიჭა საქმეში წარმოდგენილ საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის 2011 წლის 6 აპრილის №2941/3-1 და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის 2011 წლის 13 სექტემბრის წერილებს, რომელთა თანახმად, დავალიანება უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრების მიმართ არ ირიცხებოდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლოს დავალიანების არარსებობის შესახებ დასკვნის გაკეთებისას არ უმსჯელია როგორ უნდა ემტკიცებინათ ან რა სახის მტკიცებულებები უნდა წარმოედგინათ მოსარჩელებს დავალიანების არსებობის დასადასტურებლად, მით უფრო, რომ მოსარჩელები უთითებდნენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 30 იანვრის №85 დადგენილებაზე, რომელშიც მითითებული იყო უზენაესი საბჭოს ყოფილ დეპუტატებთან ანგარიშსწორებაზე. კერძოდ, მითითებული დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსს დაევალა მუდმივ კომისიებში გაერთიანებულ ყოფილ უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან ანგარიშსწორების მოხდენა 1992 წლის 1 იანვრამდე. სააპელაციო სასამართლომ მითითებული დებულება მიიჩნია ზოგადი ხასიათის ნორმად, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება, რამდენადაც აღნიშნულ დადგენილებაზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია და სამართლებრივი შეფასება მოეხდინა განხორციელდა თუ არა ანგარიშსწორება უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან და მათ მიღებული ჰქონდათ თუ არა იმთვის (1991 წლის დეკემბერი) ხელფასი, როდესაც ისინი რეალურად ახორციელებდნენ სადეპუტატო უფლებამოსილებას.

მეორე მხრივ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია საკმარისი იყო თუ არა საქმეში წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის წერილები მოთხოვნის უარყოფისათვის და თავისუფლდებოდა თუ არა მოწინააღმდეგე მხარე დავალიანების არარსებობის შესახებ დამატებით მტკიცების ტვირთისაგან იმ ვითარებაში, როდესაც კუთვნილი ხელფასის გაცემის ფაქტი უნ-

და დადასტურდეს შესაბამის დაწესებულებაში დაცული სახელფასო უწყისებით, რომელიც შეიცავს მონაცემებს ხელფასის გაცემის შესახებ და თანხის მიმღები პირის ხელმოწერას, რითაც უდავოდ დადასტურებული იქნებოდა მოსარჩელეთა მიმართ 1991 წლის დეკემბრის თვის ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის დავალიანების არარსებობის ფაქტი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ისე უარყო მოთხოვნა, რომ არც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული საპროცესო კომპეტენციით უსარგებლია და არ გამოუთხოვია დამატებითი მტკიცებულებები მითითებული ფაქტობრივი გარემოების დასადგენად.

საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 20 დეკემბრის კანონით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულებით“ განსაზღვრული იყო სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის ხელფასის ოდენობები უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და წევრებისათვის. მითითებული დებულების მე-2 პუნქტის თანახმად, უზენაესი საბჭოს წევრებს, რომლებიც წყვეტდნენ სანარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, სანარმოო თუ სამსახურებრივი საქმიანობის შეწყვეტის დღიდან ეძლეოდათ ყოველთვიური ხელფასი 600 მანეთის ოდენობით. ამავე დებულების მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყველა წევრს დეპუტატის უფლებამოსილების განსახორციელებლად ხარჯებისათვის ყოველთვიურად ეძლეოდა 200 მანეთი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 19 ნოემბრის №311 დადგენილებით დაწესდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრების ყოველთვიური ხელფასი, რომელიც იბეგრებოდა საშემოსავლო გადასახადით. ამავე დადგენილების თანახმად, უზენაესი საბჭოს წევრებისათვის, რომლებიც წყვეტდნენ სანარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას და იყვნენ მუდმივი კომისიის წევრები, ხელფასის ოდენობა შეადგენდა 1400 მანეთს. აღნიშნული დადგენილება, რომელმაც „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულებით“ განსაზღვრული ხელფასის ოდენობები შეცვალა, არ შეიცავდა მითითებას სადეპუტატო დანამატის შესახებ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს დანამატის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, 1991 წლის 19 ნოემბრის დადგენი-

ლების მიღების შედეგად გაუქმდა თუ არა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულება“ და დეპუტატებისათვის დაწესებული ხელფასის გაზრდილი ოდენობით გაცემის შემდეგ ხდებოდა თუ არა დებულებით განსაზღვრული დანამატის გაცემაც.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ 1991 წლის დეკემბრის ხელფასისა და სადეპუტატო დანამატის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით საჭიროა საქმის გარემოებების დამატებითი გამოკვლევა, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმე ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს მიერ ხელახლა განხილვას, რამდენადაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს იურისდიქციას არ განეკუთვნება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. იგი უფლებამოსილია მხოლოდ შეამოწმოს ამ პროცესის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხორციელების სისწორე, მისი შესაბამისობა მოქმედ პროცესუალურ ნორმებთან.

რაც შეეხება მოთხოვნას სადეპუტატო უფლებამოსილების დარჩენილი ვადის – 1992 წლის იანვრიდან 1995 წლის 28 ოქტომბრამდე პერიოდის, 46 თვის ხელფასისა და დანამატის, ასევე ზიანის ანაზღაურების შესახებ, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, გარკვეულწილად არათანმიმდევრულია თავად მოსარჩელეთა პოზიცია სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებასა და სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით.

კასატორთა მითითებით, ისინი ითხოვდნენ იძულებითი განაცდურისა და აღნიშნული თანხის მიუღებლობით გამონეწეული ზიანის ანაზღაურებას, ხოლო მათი სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1104 დადგენილება, შრომის კანონთა კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი და არა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამასთან, კასატორთა განმარტებით, ისინი განეკუთვნებიან რეპრესირებულ პირთა კატეგორიას, რომელთა მიმართაც არსებობს სახელფასო დავალიანება, რომლის მიღების უფლება განამტკიცა საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1104 დადგენილებამ. ამასთან, სარჩელში მოსარჩელები უთითებდნენ „საქართველოს მო-

ქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტზე, რომლის თანახმად, რეპრესირებულ პირს აღუდგება პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები, თუმცა საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ მათი მოთხოვნა სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლების აღდგენას არ წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩეველები ვერ უთითებენ მოთხოვნის კონკრეტულ სამართლებრივ საფუძვლებზე.

საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1104 დადგენილებით დადასტურდა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. აღნიშნულის შესაბამისად, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 11 დეკემბრის კანონში 2005 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიჩნეულ იქნა პირი, რომელიც რეაბილიტირებულ იქნა საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდება ემყარებოდა კანონიერი ხელისუფლების სტრუქტურებში სამსახურს ან ამ სტრუქტურების მხარდაჭერას.

ამდენად, სადავო არ არის, რომ საკანონმდებლო დონეზე დადასტურდა და აღიარებულ იქნა მოსარჩევეთა – უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრების უკანონოდ დათხოვნის ფაქტი.

მითითებულ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებს კასატორები განიხილავენ, როგორც მათი უკანონოდ დათხოვნის დადასტურების და არა სასარჩელო მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლად. ასეთად ისინი მიიჩნევენ შრომის კანონთა კოდექსსა და სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, თუმცა აქვე აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, რომ შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის დანაწესს, რომელიც იძულებითი განაცდულის ანაზღაურების აუცილებელ პირობად აღგენდა სამუშაოზე აღდგენას, მათთან მიმართებაში უტოლდებოდა საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის №1104 დადგენილებით უზე-



ნაესი საბჭოს ლეგიტიმურობის აღიარება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის განწყვეტისათვის არსებითია სწორი ფორმულირება და სამართლებრივი შეფასება მიეცეს თავად სასარჩელო მოთხოვნას, უნდა დაზუსტდეს, რომელი მატერიალური უფლების რეალიზაციას ითხოვენ ისინი.

მოსარჩელები დაზუსტებით არ უთითებენ კონკრეტულად რომელ სამართლებრივ ნორმებზე ამყარებენ თავიანთ მოთხოვნას, რამდენადაც მსჯელობენ სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებზე, აკრიტიკებენ ზოგიერთი მათგანის მათთან მიმართებაში გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა კონკრეტულად არ მიუთითებენ თითოეული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს.

იმ ვითარებაში, თუ მოსარჩელები ითხოვენ შრომითი უფლებების აღდგენას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი, სადავო პერიოდისათვის მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად, იგი არეგულირებდა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის არსებულ შრომით ურთიერთობას. ამავე კოდექსის 207-ე მუხლი ადგენდა შრომის ანაზღაურების წესსა და ოდენობას იძულებითი გაცდენილი ან დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროს.

შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი როგორც სადავო პერიოდისათვის, ასევე ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების უფლებას უკავშირებდა დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისა და ამ შეწყვეტის უკანონობის სათანადო ორგანოების მიერ დადასტურების ფაქტს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. მოსარჩელები თანამდებობიდან დათხოვნილ იქნენ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად, რაც შემდგომში დაგმობილ იქნა სახელმწიფოს მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ სახეზეა კლასიკური შრომითი ურთიერთობებისაგან განსხვავებული შემთხვევა, რამდენადაც უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება უმაღლეს სახელმწიფო ორგანოში კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით არჩეულ თანამდებობის პირებს, რომლებიც განსაკუთრებული სოციალური გარანტიებით სარგებლობდნენ და შესაბამისად, განსხვავებული იყო მათი დათხოვნის წესიც.

ამასთან, კანონმდებელმა სამართლებრივი შეფასება მოახდინა რა ლეგიტიმური ხელისუფლების ორგანოს დათხოვნის ფაქტის და მის წევრებს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის

სტატუსი მიანიჭა, სრულიად სხვა სამართლებრივ რეჟიმში მოაქცია მათი სამართლებრივი მდგომარეობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელებმა უნდა დააზუსტონ, ითხოვენ იძულებითი განაცდურის, თუ რეპრესიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რომლებსაც სრულიად სხვადასხვა სამართლებრივი რეგულირება გააჩნიათ.

იმ პირობებში, თუ მოსარჩელები ითხოვენ იძულებითი განაცდური ანაზღაურებას, სათანადო სამართლებრივი შეფასება უნდა მოხდეს რამდენად არის სახეზე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლები, ხოლო იმ ვითარებაში, თუ მათი მოთხოვნა ფორმულირებულ იქნება იმგვარად, რომ მოსარჩელები ითხოვენ პოლიტიკური რეპრესიებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, უპირველეს ყოვლისა უნდა შეფასდეს და დადგინდეს მოთხოვნის ადრესატი, ანუ ვინ არის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი – საქართველოს პარლამენტი, რომელსაც მოსარჩელები არ დაუთხოვია დაკავებული თანამდებობებიდან და მის მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებას არ უკავშირდება სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტი, თუ სახელმწიფო, რომელმაც დაგმო 1991-1992 წლების მოვლენათა უკანონობა და საკანონმდებლო დონეზე აღიარა სახელმწიფო ორგანოთა ლეგიტიმურობა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ხოლო აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის შემდეგ უნდა შეფასდეს მოთხოვნის საფუძვლიანობა, მოთხოვნა თავსდება ზიანის ანაზღაურების ზოგადი ნორმების მოქმედების ფარგლებში, თუ მოთხოვნის მიმართ უნდა გავრცელდეს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი რეგულირება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. ც-ის, ე. ჯ-ის, ლ. ა-ისა და სხვათა საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 24 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიეპელი

### 1. სამუშაოზე აღდგენა

სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი  
განაცდურის ანაზღაურება ..... 3; 16; 32

### 2. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები

სამსახურიდან გათავისუფლება ავადმყოფობის გამო ..... 44  
სამსახურიდან გათავისუფლება შტატების შემცირების გამო ..... 55  
სამსახურიდან გათავისუფლება ასაკის გამო ..... 81  
სამსახურიდან გათავისუფლება  
ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ..... 91

### 3. მიუღებელი თანხის დაკისრება

ხელფასის ოდენობის განსაზღვრა ..... 108  
გამოუყენებელი შვებულების თანხის  
ანაზღაურების საფუძველი ..... 125  
პრემიის ანაზღაურების დაკისრება ..... 143  
ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურება ..... 153  
მიუღებელი ხელფასის და დანამატის  
ანაზღაურების საფუძველი ..... 167

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 298 21 03  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)